ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№210 (269) 5-12 მარტი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ალექსანდრე ჯაჯია: ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ღირსეულად იქცევა

ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» ესაუბრება ბატონი ალექსანდრე ჯაჯია.

– ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებთ 8 თებერვალს თბილისში მომხდარ მოვლენებს?

– როდესაც **«ნაცონალური მოძრაობა»** ხელისუფლებაში მოვიდა და დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები, ხალხის ცემა, ქონების წართმევა, ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ვეუბნებოდი, – **არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი ხელისუფლებაში ყოფნა ადრე თუ გვიან დამთავრდება, ნუ იზამთ ისე, რომ რუსთაველზე დაცვის გარეშე ვეღარ გაიაროთ. ისინი მპასუხობდნენ, რომ ძალაუფლებას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ, რომ ამერიკა არავის დაანებებს მათთვის თითის დაკარებას. ამის შემდეგ, დაიჯერეს რა საკუთარი დაუსჯელობა, დაიწყეს ქუჩაში ადამიანების დახოცვა, ციხეში წამება, პოლიტიკური ოპონენტების ქვეყნიდან გაძევება. დღეს კი განკითხვის დრო მოვიდა.**

სამწუხაროდ, ეს არის უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საქართველოს ხელისუფალთა დაავადება. ყველა ხელისუფლება ისე იქცეოდა, თითქოს მას სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა ხელისუფლებაში ყოფნა გარანტირებული. გაიხსენეთ გარდაცვლილ ზურაბ ჟვანიას თავდაჯერებული განცხადებები, რომ **«მოქალაქეთა კავშირი»** ხელისუფლებაში დიდი ხნით, რამდენიმე ათწლეულით მოვიდა. ვიღას ახსოვს დღეს **«მოქალაქეთა კავშირი»?** მის ყოფილ ფუნქციონერებს რცხვენიათ იმის აღიარება, რომ ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ. აღარ იქნება სააკაშვილი პრეზიდენტი – აღარ იქნება არანაირი **«ნაციონალური მოძრაობაც»,** კიდევ ერთ-ორ წელიწადში კი ყველას დაავიწყდება, რომ ეს მოძრაობა არსებობდა, მაგრამ სანამ სააკაშვილი და მისი ოდიოზური თანაგუნდელები გამოდიან ტელევიზიით და ცდილობენ ხალხის დამოძღვრას, საზოგადოების გადიზიანება იზრდება და არ გამოვრიცხავ, რომ ამ დეპუტატებსა და ყოფილ ჩინოვნიკებს ხალხი პირველივე შესაძლებლობისთანავე დაუწყებს ცემას.

ძალიან მეცოდება ის სიმპათიური გოგონა, რომელსაც ცხვირში მოხვდა, მაგრამ ამასთანავე მახსენდება კადრები, რომელზეც აღბეჭდილია ათეულობით გასისხლიანებული ადამიანი, ხელკეტიანი და ავტომატიანი პოლიციელების ფეხქვეშ გაგდებული, ასფალტზე რომ ეყარა. დამეთანხმებით, რომ ძალადობის დონე ამ ორ შემთხვევაში არათანაზომიერია. თანამებრძოლის ცხვირის გამო აღშფოთების გამოსახატავად პირველ რიგში მორალური უფლებაა საჭირო, **«ნაციონალურმა მოძრაობამ»** კი ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის მანძილზე ეს უფლება ვერ დაიმსახურა. სხვათა შორის, ის, რაც დღეს ხდება, გაკვეთილი უნდა იყოს ახალი ხელისუფლებისთვის. ახალ დეპუტატებსა და ჩინოვნიკებს უნდა ახსოვდეთ, რომ სავარძლებში ისინი სამუდამოდ არავის დაუსვია, და ისე უნდა მოიქცნენ, რომ მომავალში შეეძლოთ ქალაქის ქუჩებში თავისუფლად სიარული და სუფთა სინდისით ადამიანებთან ურთიერთობა.

– რამდენად კვალიფიციური იყო, თქვენი აზრით, პოლიციის მოქმედება და მისი მცდელობა, – თავიდან აეცილებინა ძალადობა?

– მე არა ვარ მასობრივ ღონისძიებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალისტი, პოლიციის პროფესიონალიზმი რომ შევაფასო. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ, ვინაიდან **«ნაცმოძრაობის»** აქტივისტებს საქართველოში სისტემატურად და საყოველთაოდ ვერ სცემენ, ესე იგი სამართალდამცავები ვითარებას აკონტროლებენ.

– თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს «ნაციონალური მოძრაობის», იმ სახელისუფლო გუნდის მთავარი უბედურება, რომელიც 9 წლის მანძილზე მართავდა საქართველოს?

– მთავარი უბედურება არის მათი მორალური და პროფესიონალური მოუმზადებლობა სახელისუფლო ფუნქციების შესასრულებლად. ჩვენმა ხალხმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც 35 წლის პრეზიდენტი აირჩია. ამ ახალგაზრდამ, რომელიც მთელი რიგი კომპლექსებით იტანჯებოდა, მათ შორის მასზე უფროსი, განათლებული ადამიანების მიმართ, შემოიკრიბა ასეთივე დაკომპლექსებული, ინტელექტუალურად და ზნეობრივად ჩამოუყალიბებელი გოგო-ბიჭები და მისცა მათ საშუალება, თავიანთი კომპლექსები ქვეყნისა და ადამიანების მიმართ ენთხიათ. შედეგად ჩვენ გავხდით მოწმენი ხელისუფლების არნახული უმეცრების, გონებრივი შეზღუდულობისა და უზნეობისა. მთელი XX საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბებული ქართველ იხალხის მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი იგნორირებული აღმოჩნდა, ამ პოტენციალის მატარებელი მეცნიერები, ინჟინრები, პედაგოგები კი სოციალური ცხოვრებიდან გააძევეს. საზოგადოებამ დეგრადირება დაიწყო.

თუ გახსოვთ, ხელისუფლების გუნდის ერთ-ერთმა შტერმა წევრმა განაცხადა, რომ მას არათუ 40 წლის ადამიანი, 40 წლის ხეც კი არ სჭირდება, ანუ ქვეყნის ხელმძღვანელობამ უარი თქვა ერის უმრავლესობაზე, გამოაცხადა რა ეს უმრავლესობა თავისი ცოდნით, გამოცდილებითა და მორალით არასაჭირო, ზედმეტ ელემენტად. ეს არის არნახული დანაშაული საკუთარი ხალხის, მისი წარსულისა და მომავლის წინაშე. სხვათა შორის, დღეს ამ დანაშაულის ავტორთა უმრავლესობის ასაკი 40 წელიწადზე მეტია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ისინი ძალაუფლების დათმობას რატომღაც არ ჩქარობენ.

12-13 წლის წინ, როდესაც ცხადი გახდა, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა იმას, რომ ამერიკელები ემზადებოდნენ შევარდნაძისგან **«ახალგაზრდა რეფორმატორებისთვის»** ძალაუფლების გადასაცემად, პრესაში გამოვედი ინიციატივით, პრეზიდენტის თანამდებობისთვის მინიმალურ ასაკობრივ ცენზად 50 წელი დაგვეწესებინა. მაშინ მხარი არავინ დამიჭირა. დარწმუნებული ვარ, რომ მინისტრებიც, საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებიც, გუბერნატორებიც და, სხვათა შორის, სხვადასხვა დონის მოსამართლეებიც 40-45 წელზე ნაკლებისა არ უნდა იყვნენ. ეს ის ასაკია, როდესაც ნორმალური ადამიანი ინტელექტუალურად, პროფესიონალურად, ზნეობრივად უკვე ჩამოყალიბებულია, შეთვისებული აქვს მორალი, ქცევის ტრადიციული ნორმები, საკუთარი ხალხის სოციოკულტურული თავისებურებანი, არის ეროვნული მსოფლმხედველობის მატარებელი. ასეთი ადამიანი გრძნობს, ესმის საკუთარი ხალხის და, შესაბამისად, შეუძლია უხელმძღვანელოს მას. ეს მიდგომა არანაირად არ აკნინებს ახალგაზრდების უფლებებს. პირიქით, სწორედ ეს არის ზრუნვა ახალგაზრდა კადრების მართებულ აღზრდასა და ზრდაზე. როდესაც 23-25 წლის ადამიანი დეპუტატი ან მინისტრი ხდება, ჩათვალეთ, რომ მისი ცხოვრება დამახინჯებულია: 2-4 წელიწადში ის კარგავს თანამდებობას და ხდება არავინ: პროფესია ვერ შეითვისა, ნულიდან დაწყება უკვე **«არ ეკადრება»,** ხოლო ტრიბუნიდან მოტლიკინის რანგში ის უკვე არავის სჭირდება. მოდით, გადავხედოთ იმ ახალგაზრდა კადრებს, რომლებმაც შევარდნაძე და სააკაშვილი ხელისუფლებაში მოიყვანეს და დღეისთვის პოლიტიკურ არენაზე არ ჩანან. ვინ არიან ისინი დღეს? ზედმეტი ბარგი, პერსპექტივის გარეშე განზე მოსროლილები. კიდევ კარგი, არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრირება და ამერიკის საელჩოსთან გრანტის მიღების იმედით გრძელ რიგში დგომა მაინც ისწავლეს.

– თქვენი აზრით, რამდენად კომპეტენტურია საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა, რამდენად მაღალია ახალი მინისტრების პროფესიონალიზმის დონე?

– ხელისუფლებაში სხვადასხვაგვარი ადამიანები არიან. მე მათ პირადად არ ვიცნობ, შესაბამისად, შეფასებაც მხოლოდ მათი საჯარო გამოსვლების მიხედვით შემიძლია. დადებითი შთაბეჭდილება მოახდინეს ფინანსთა, იუსტიციის, კულტურის, ჯანდაცვის მინისტრებმა, მთავარმა პროკურორმა... მთავრობის მუშაობის შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ქვეყანა ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, რომ მოკლე დროში ვერაფერს გააკეთებ. საქართველო დღეს არის დაშლილი, არშემდგარი სახელმწიფო დანგრეული მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, სამეცნიერო-ტექნიკური ბაზით და დეგრადირებული კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემით. საჭიროა სახელმწიფოებრივი განვითარების მკაფიო კონცეფცია, ეროვნული ეკონომიკის ეფექტური მოდელი და დარგების განვითარების კონკრეტული, მიზნობრივი პროგრამები. რაც მთავარია, მთავრობის წევრებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი საქართველოს მხოლოდ ნაწილის მთავრობას წარმოადგენენ...

– საინტერესოა თქვენი აზრი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ახალი ხელისუფლების ძალისხმევათა შესახებ. შეიძლება თუ არა ახალი ხელისუფლების ნაბიჯები ამ მიმართულებით შევაფასოთ წინა წლებთან შედარებით უფრო ეფექტურ ნაბიჯებად?

– არანაირი ეფექტი არ გვაქვს და ჯერჯერობით მოსალოდნელიც არ არის. კარგია ის, რომ შეიცვალა რიტორიკა, ნაკლებია რუსეთის, აფხაზი და ოსი ხელმძღვანელების მიმართ შეურაცხმყოფელი გამოხდომები. ის მაინც იგრძნობა, რომ ახალი ხელისუფლება დაინტერესებულია პოზიტიური ცვლილებებით. ყოფილი ხელისუფლება ამით დაინტერესებული არ ყოფილა. თუ გაიხსენებთ, კერძოდ, ვინ იყო შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს ამ საკითხებით დაკავებული, ცხადი გახდება, რომ ქვეყნის ხელისუფლება შედეგით დაინტერესებული არ იყო. ჩვენთან ტერიტორიული მთლიანობის პრობლემით დაკავებული იყვნენ უღიმღამო, უსუსური ადამიანები, რომელთაც არავინ იცნობდა არც სოხუმში, არც ცხინვალში და არც მოსკოვში. არც ერთ თავმოყვარე სახელმწიფო მოღვაწეს აზრადაც კი არ მოუვიდოდა მათთან სერიოზული მოლაპარაკების გამართვა. ისე, ამ მხრივ ვითარება დიდად არ შეცვლილა. ჩვენი პოტენციური პარტნიორებისთვის დღესაც უცნობია, თუ ვინ არის დაკავებული საქართველოში ამ საკითხებით. ასახელებენ რეინტეგრაციის საქმეებში მინისტრის გვარს, მაგრამ განა ვინ დაელაპარაკება ასეთი დასახელების მქონე უწყების ხელმძღვანელს? და საერთოდ, ის ადამიანები მოსკოვსა და სოხუმში, რომლებზეც რეალურად არის საქმე დამოკიდებული, მინისტრს არ დაელაპარაკებიან.

– პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ მას დალაგებული აქვს კონტაქტები აფხაზ წარმომადგენლებთან, რომლებთანაც ხორციელდება არაოფიციალური მუშაობა ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების შესამუშავებლად.

– აფხაზეთში სულ რამდენიმე ადამიანია, რომელთაც შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება ან მათ მიღებაზე ზეგავლენის მოხდენა. არც ერთ მათგანს დღესდღეობით ქართულ მხარესთან არანაირი კონტაქტი არ აქვს. ეს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზაქარეიშვილი დიდი მონდომებით აკეთებს თავის საქმეს. ის ჩვენს კონფლიქტებში კარგ პროფესიონალად ითვლება...

– სავსებით შესაძლებელია. მე მას არ ვიცნობ, მაგრამ ღმერთმა ხელი მოუმართოს თავის საქმიანობაში წარმატების მისაღწევად. რაც შეეხება პროფესიონალიზმს, პროფესიონალი არ შესთავაზებდა აფხაზურ მხარეს რკინიგზის გახსნას ისე, რომ გარანტირებული უარი მიედო. პროფესიონალი ჯერ ჩართავდა აფხაზ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებაში სომხეთის წარმომადგენლებს, მერე სომხეთთან ერთად პროცესში რუსეთის ჩართვას უზრუნველყოფდა და მხოლოდ ამის შემდეგ, მიიღებდა რა დადებით ინფორმაციას, წამოაყენებდა შესაბამის წინადადებას. აუცილებელია საკუთარი ქვეყნის რეპუტაციაზე ზრუნვა, რომელიც კნინდება ასეთ წინადადებებზე ცივი უარის მიღებით.

– ახლახან მიხეილ სააკაშვილმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ არ კარგავს საქართველოს ევროკავშირში შესვლის იმედს. 9 წელიწადი ის ამბობდა, რომ დარწმუნებულია მალე ამ კავშირში შესვლაში, ახლა კი მხოლოდ «იმედს არ კარგავს». გახდა თუ არა ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა უფრო ეფემერული?

– ეს პერსპექტივა ეფემერული არ არის, იგი, უბრალოდ, არ არსებობს. ჯერ ერთი, ევროკავშირმა დაასრულა გაფართოების პროცესი და ახალ წევრებს აღარ მიიღებს; მეორე – წამყვანი ევროპული ქვეყნები არ მიიჩნევენ საქართველოს ევროპის ნაწილად; მესამე – ევროკავშირი რომც ფართოვდებოდეს, მასში სამხრეთკავკასიური სახელმწიფოს გაწევრიანება მხოლოდ თურქეთის გაწევრიანების შემდეგ იქნება შესაძლებელი. თურქეთი, მოგეხსენებათ, უკვე წლებია, დაჟინებით ითხოვს ევროკავშირში მიღებას და რამდენიც უნდა მოითხოვოს, მას იქ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ; და მეოთხე – ევროკავშირი თავად არის დაშლის ზღვარზე და უახლოესი 5-7 წლის მანძილზე ჩვენ მისი დაშლის უშუალო მოწმეები გავხდებით.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

მოგზაურობანი

გუდაუთა ძველად. – მეგრელი ვაჭრები. – ლიხინი. – რეზიდენცია აფხაზეთის მთავრისა. – ლიხინის ტაძარი. – შარვაშიძეთა გვარი.

ორი ამბის მოწმეა ლიხინი. ამ ორმა ამბავმა ძირიანად შესცვალა აფხაზთა ცხოვრება, ცხოვრება პოლიტიკური და ეკონომიკური. ერთია – აფხაზეთიდან რუსეთში ძალით წაყვანა უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძისა, ამ უკანასკნელის უფლებათა გაუქმებით; მორე – აფხაზთა ამბოხება, ლიხინიში დაწყებული, აფხაზთა ბრძოლა მეფის ჯარებთან.

სანამ თვით მთავრის შესახებ ვიტყოდეთ რასმე, ორიოდე სიტყვით გავაცნობთ მკითხველს შარვაშიძეთა შთამომავლობის ისტორიას.

"ქართლის ცხოვრების" თანახმად, ახლანდელი სოფელი სამურზაყანოსი – ბედია და მისი გარემო საეგროში (სამეგრელოში) შედიოდა. მაგრამ ბერძენნი რომ გაბატონდნენ შავი ზღვის პირას, გაიჩინეს ახალშენები, აქაური ერისთავნი იძულებული გახდნენ სამეგრელოსაკენ დაეხიათ. საქართველოს პირველ მეფეთა დროს ეგრისი საერისთაო იყო და საქართველოს ჰმორჩილებდა. შემდეგ სამეგრელოს დადიანები ეპატრონებიან, ხოლო აფხაზეთს – შარვაშიძენი. შარვაშიძეთა შესახებ აი, რა გადმოცემა ვიცით: დავით აღმაშენებელმა დაიმორჩილა შირვანის მთავარნი, შირვაშაჰებად, ანუ შერვაშებად წოდებულნი. იმავე დავით აღმაშენებელმა 1124 წელს ემირ ბენიშე დიდს წაართვა ქალაქი ანი და მთელი მისი გვაროვნება აფხაზეთში გადმოასახლა. ამავე დროს გადმოასახლა დავითმა შირვან-შაჰების გვარის თავადებიც, რომელთაც მერე შერვაშსძენი დაერქვათ. მატიანეში ცნობილი პირველი შარვაშიძე თამარ მეფის დროს ცხოვრობდა და სახელად დოთაღოს ერქვა. როგორც დადიანნი, ისე შერვაშიძენი დამოუკიდებელი მთავარნი შეიქმნენ XV საუკუნის მიწურულიდან.

შემდეგში სამმა ძმამ შარვაშიძემ გაიყო აფხაზეთი. ბზიფუ (კოდორიდან გაგრამდე) ერთ ძმას ერგო, აბჟუა (კოდორიდან ღალიძგამდე) მეორეს, ხოლო მესამეს (მურზაყანს) – მდინარე ღალიძგიდან მდინარე ენგურამდე. აქედან დაერქვა ამ ნაწილს სამურზაყანო, ე.ი. მურზაყანის წილხვდომილი.

ომი მაინც არა ცხრებოდა შარვაშიძეთა და დადიანთა შორის მეგრელებით დასახლებულ სამურზაყანოს დაპატრონებისათვის. ამ საქმეში რუსეთი ჩაერია და 1854 წელს თავისი მმართველობა შემოიღო სამურზაყანოში, ხოლო საკუთრივ აფხაზეთში ეს მმართველობა შემოღებულ იქნა 1863 წელს, ოდეს უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე რუსეთში წაიყვანეს და მისი ტახტი გააუქმეს.

უკანასკნელი მთავარი აფხაზეთისა. – მისი წაყვანა რუსეთში. – პოლკოვნიკი კოლიარი და აფხაზთა აჯანყება 1864 წელს. – აჯანყებულთა მეთაურების დასჯა.

აფხაზეთის პოლიტიკური დამოკიდებულების კალო მაშინ გაილეწა, როცა რუსეთის ჯარმა 1810 წელს სოხუმი დაიკავა; სეფერ-ბეი შარვაშიძემ თავისი ნებით აღიარა რუს-ხელმწიფის სიუზერენობა, თანაც მოინათლა და ქრისტიანული სახელი – გიორგი დაირქვა. იმავე წელს გიორგის ებოძა უმაღლესი ღრამოტა და ამ ღრამოტის ძალით შარვაშიძენი ცნობილი იქმნენ აფხაზეთის მთავრებად, თავიანთი ქვეყნის შინაურ საქმეთა გამგებლებად. 1821 წელს გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა და მისი თანამდებობა დაიკავა მისმა უფროსმა შვილმა დიმიტრიმ, პეტერბურგის პაჟთა კორპუსში აღზრდილმა. 1823 წელს ისიც გარდაიცვალა და სამთავრო უფლება მცირეწლოვან ძმა მიხეილზე (ჰამუთ-ბეი) გადავიდა. რუსეთის მეფის მხედრობამ თანდათან დაიმორჩილა კავკასიის მთიელნი, გადაყენებულ იქნენ მთავარნი სვანეთისა, სამეგრელოისა. ორივე მხარეში რუსული წეს-წყობილება შემოვიდა. აფხაზეთი რჩებოდა განზე, იქ კიდევ ინარჩუნებდა მთავარი თავის უფლებას. მაგრამ ამ უფლებათა დღენიც დათვლილნი იყვნენ. კავკასიის მთავარმმართველი მურავიოვი წერილს წერილზე ჰგზავნიდა პეტერბურგს: – ამდენი რას ვებოდიშებით აფხაზეთის მთავარს, რა ღონის პატრონი ის არის, რომ ძალა გაგვიწიოს!.. უნდა აფხაზეთს მოვაშოროთ და ჩვენებური წეს-წყობილება შემოვიღოთ ამ მხარეშიცაო. მით უფრო, რომ ეს მხარე მოღალატე, უნდო ხალხით არის დასახლებულიო...

რამდენიმე წლის განმავლობაში იყო გამართული ამ შინაარსის მიწერ-მოწერა. ბოლოს გადაწყდა კიდეც: მთავარი რუსეთში წაეყვანათ, უმთავროდ დარჩენილ მხარის დამორჩილება უფრო ადვილი იქნებაო.

მთავრის წასაყვანად დანიშნული იყო 1864 წლის ნოემბერი. მთავარი მიხეილ შარვაშიძე საზამთრო სასახლეში ცხოვრობდა, დაბა ოჩამჩირეში. თან ახლდნენ: ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), მოძღვარი – დეკანოზი ბასილ მიქაბერიძე, მთავარდიაკონნი ივანე თვალავაძე და იოსებ ტიტვინიძე, მედავითნენი გრიგოლ კასრაძე და ალექსი დგებუაძე; იქვე ჰყავდა ბაზიერი (ოტია კახიანი), მემიმინოვე (მანჩა შარაშენიძე), მემეძებრე (ბესო მიქელაძე).

წაყვანის ერთი კვირის წინათ მთავარი სოფელ კვასკეში, ტყვარჩელის აბანოების მახლობლად, წავიდა სანადიროდ. ასე რომ მის წასაყვანად მოსულ გენერალ შატილოვს ოჩამჩირეში მთავარი არ დახვედრის.

ნოემბრის მშვენიერი თბილი დარი იდგა. ღამე მთვარიანი. ნაშუაღამევის 2 საათი იქნებოდა, როცა ოჩამჩირეს ნავსადგურში სამი ორთქმავალი გემი შემოვიდა. ამ გემებიდან ხმელეთზე 6.000 კაცი გადმოსხეს გენერალ შატილოვისა და პოლკოვნიკ როსტომ მარშანიას მეთაურობით. ამ ჯარს შემოუერთდა 700 ყაზახრუსი, ოჩამჩირეში დაბანაკებული. თვალის დახამხამებაზე ალყა შემოარტყეს მთავრის სასახლეს. ყოველი ღონე იღონეს, რომ შიგნიდან არავინ გამოსულიყო მთავრისათვის ამბის მიმტანად. ამ დროს სასახლეში იყვნენ უფროსი მსახური და მოლარე მთავრისა ქუთია კოზმავა, სიძე მოძღვარ მიქაბერიძისა – დავით ახვლედიანი და ნათესავი მისი, 13 წლის ყმაწვილი, დიმიტრი ხოჭოლავა. ხმაურობაზე გაეღვიძათ. ქუთია კოზმავა მიხვდა, ეს ჯარი სასიკეთოდ არ არის მოსულიო. იმდენს ეცადა, ჯარს ხელიდან გაუსხლტა და ფეხით მთავართან გაიქცა ამბის შესატყობინებლად.

ოჩამჩირიდან კვასკეში 700 ჯარისკაცი გაგზავნეს და გზის მაჩვენებლადაც როსტომ მარშანია გააყოლეს. ცოტა ხანს უკან ამ 700 კაცს 3.000 კაცი სხვა დაადევნეს. ბოლოს თვით გენერალი შატილოვიც გაუდგა კვასკეს გზას, თან მიჰყავდა 2.000 ჯარისკაცი. ჰფიქრობდნენ, მთავარი ასე ადვილად არ დაგვნებდებაო, მთელ აფხაზეთს შეგვიყრის და გაგვიძალიანდებაო. ოჩამჩირეში 1000 კაცი გარს შემოერტყა დაბას. ვინც მოექცა, გარეთ არ უშვებდნენ, – მთავარს ამბავი არ მიუტანონო. დუქნები დაკეტეს და თითოეულ მათგანს 10-15 კაცი მიუყენეს დარაჯად.

მალულად გამოქცეული ქუთია კოზმავა გაგზავნილ რაზმის მისვლამდე აიჭრა კვასკეში და მთავარს ყოველივე მოახსენა. მთავარმაც რამდენიმე ერთგული კაცი იახლა და მივიდა სოფელ გუფში, თავად მარშანიებთან, თავისი უმცროსი შვილის მიხეილის (არზაყანის) აღმზრდელებთან. შველა თხოვა, ტახტი ხელიდან მეცლებაო. მაგრამ მარშანიებმა სანუგეშო ვერაფერი უთხრეს: რუსის ჯართან ჩვენი, ომში გაუწვრთნელი აფხაზები ვერაფერს გახდებიან, ტყუილად დაიხოცებიანო. გვიანღა იყო ბზიფელებისათვის რომ შეეტყობინებია ამბავი, და წელმოწყვეტილი მთავარი ბედს დამორჩილდა. გუფიდან ჯარის მისაგებებლად წამოვიდა.

მთავრის საძებრად წასული ჯარი კვასკეს ავიდა. რაკი მთავარი იქ არ დახვდა, უკან გამობრუნდა. შუაგზაზე მთავარიც შემოხვდა. – მზადა ვარ, წამიყვანეთო. ოჩამჩირეში მთავარს საჭირო დრო მისცეს ბარგი ჩაელაგებინა და გამოუცხადეს: მეფის ნაცვლის ბრძანება გვაქვს, ქუთაისში წაგიყვანოთ, იქ ბინა გაქვს მომზადებული და იქვე იცხოვრებთო. ქუთაისის ხსენებაზე მთავარს გაეხარდა: რაკი სამშობლოში ვიცხოვრბ, ჭირს ადვილად გავუძლებო. ოქროსა და ვერცხლის ფული დიდ ყუთებში ჩააწყობინა, თან წამოიყვანა ქუთია კოზმავა და რჩეული ქორ-მეძებრები. მსახურთ დაუბარა, – შემოგითვლით და მაშინ წამოდით, დანარჩენი ქორ-მეძებრებიც მაშინ წამოიყვანეთო. ბოლოს, სასახლეში შევიდნენ როსტომ მარშანია, ყაზახთა პოლკოვნიკი და რამდენიმე ოფიცერი, გადმოიყვანეს მთავარი და მიაცილეს ნავამდე, სადაც გენერალი შატილოვი უცდიდა. ორივენი გემზე ავიდნენ. ნაპირზე აუარებელი ხალხი იდგა საყურებლად გამოსული. ყველას ეგონა, გემი ფოთისკენ წავაო. მთავარი ნაღვლიანის თვალებით გადმოსცქეროდა სასახლეს, აბჟუას, მთლად აფხაზეთსა... გული აუჩუყდა, თვალებზე ცრემლი მოერია და თვალი აარიდა იქაურობის მზერას...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საქმიანი შეხვედრა ზუგდიდში

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი ზუგდიდში სამოქალაქო სექტორის, მუნიციპალიტეტის გამგეობის და მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. მინისტრმა ახალი ხელისუფლების პირობებში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობის პერსპექტივასა და კონფლიქტების მიმართ სახელმწიფოს ახალ სტრატეგიაზე ისაუბრა.

ზაქარეიშვილის განცხადებით, ყველზე მძიმე შედეგი, რაც არჩევნების გზით შეცვლილ მთავრობას დახვდა, 2008 წელს რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებულობის აღიარებაა. მინისტრისვე განცხადებით, დღეს სახელმწიფოს მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტი რამდენიმე გარემოებას მოიცავს.

ზაქარეიშვილი ამბობს, რომ საქართველოს წინააღმდეგ აფხაზებს და ოსებს არ უნდა ჰქონდეთ რაიმე სახის არგუმენტი. ამ მიმართულებით მინისტრის თქმით, გარკვეულ შედეგს ხელისუფლებამ უკვე მიაღწია, რადგან შეწყდა მწვავე შინაარსის რიტორიკა, რის გამოც აფხაზების და ოსების მხრიდან საქართველო ერთგვარად მათთან დაპირისპირებულ სახელმწიფოდ აღიქმებოდა.

ზაქარეიშვილმა ამ გარემოების პარალელურად, ასევე ისაუბრა სტარტეგიასა და მიდგომაზე, რომლის თანახმად, აუცილებელია გამყარდეს ქართული მხარის არგუმენტები, თუ რატომ არ უნდა აღიაროს ქვეყანამ აფხაზების და ოსების დამოუკიდებლობა. ამას გარდა, მინისტრისვე თქმით, რუსეთს აღარ უნდა მიეცეს სწორი პოლიტიკის პირობებში პროპაგანდის გაგრძელების შესაძლებლობა, რომ თითქოს მათ არ ჰქონდათ სხვა გზა, გარდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების. ზაქარეიშვილი ამბობს, რომ თავის მხრივ, ევროკავშირის პოზიციების გამყარებაზეც უნდა იზრუნოს სახელმწიფომ, რაც გულისხმობს არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნებას და განწყობის გამყარებას, რომ საქართველო სწორი გზით მიდის.

„მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რომ ჩვენ ყოველმხრივ სათანამშრომლოდ მზად ვართ. ჟენევის ფორმატით გამართულ შეხვედრაზე ჩვენმა წარმომადგენლებმა პირდაპირ დავუწყეთ აფხაზებს საუბარი. აღმოჩნდა, რომ ისინი ამისთვის არ იყვნენ მზად. შეშინდნენ, მცდარი ნაბიჯი არ გადაედგათ და დარბაზი დატოვეს. მერე შემოგვითვალეს, რომ არასწორად მოიქცნენ. რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, დღეს სამხრეთ ოსეთთან ამ მიმართულებით უფრო არის ძვრები. ვსაუბრობთ ბუნებრივი აირის ახალგორისთვის მიწოდებაზე, შიდა ქართლის სარწყავი წყლით მომარაგებაზე. ყველა არგუმენტი მათ ჩვენს წინააღმდეგ უნდა მოვუსპოთ“, – განმარტა მინისტრმა.

პაატა ზაქარეიშვილმა აფხაზეთთან კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მონაწილეობის აუცილებლობის შესახებაც ისაუბრა. ზუგდიდის გამგებლის მოადგილის მოვალეობის დროებით შემსრულებლის, გიორგი თოდუას კითხვის პასუხად, რა ბერკეტი შეიძლება აამოქმედოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვითარების გასაუმჯობესებლად, ასევე არის თუ არა შესაძლებელი აფხაზეთის ადმინისტრაციებთან თანამშრომლობა ამ მიმართულებით, მინისტრმა განაცხადა: **„ადგილობრივი თვითმმართველობები თითქმის გადამწყვეტი ფაქტორია კონფლიქტის დასარეგულირებლად. თქვენი ვალდებულებაცაა, რომ ჩართული იყოთ ამ პროცესებში. ვიდრე ჟენევასა და თბილისს ხმა მიუვა, აქ, ადგილზე შეიძლება ბევრი რაღაც გადაწყდეს. მაშინაც კი, თუ არ იარსებებს ჟენევის და სხვა მოლაპარაკებების ფორმატი, უნდა იყოს ზუგდიდსა და გალს შორის თანამშრომლობა და ურთიერთობა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კარგი იქნება, თუ იქნება სამსახური, რომელიც შეაგროვებს ინფორმაციებს ენგურს გადმა არსებულ ვითარებაზე“,** – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების კუთხით არსებული ვითარების შესახებ მოხსენებით გამოსვლის შემდეგ სამოქალაქო სექტორის შეკითხვებსაც უპასუხა.

„დევნილთა კავშირის“ წარმომადგენელი მურმან მალაზონია დაინტერესდა რკინიგზის გახსნის პერსპექტივით და ამ გარემოების პარალელურად დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობით.

„მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ძალიან დიდი ხანი რკინიგზა არ გაიხსნება. თავად ფაქტი, თუ კი ეს მოხდება, ვერ იქნება თვითკმარი, რომ პარალელურად დევნილების საკითხიც გადაწყდება. ეს გაცილებით ხანგრძლივი პროცესია“, – განმარტა მინისტრმა.

პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ ეკონომიკური ურთიერთობები არის და იქნება წამყვანი კონფლიქტის დარეგულირების პროცესში.

„უნიკალურია კონფლიქტის თემა, რადგან წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. შეიძლება გადაიდგას ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება თავდაპირველად ვერ გაიგოთ, მაგრამ შედეგებს აუცილებლად დაინახავთ. პრემიერ-მინისტრმა დეტალურად იცის, მე რას ვაკეთებ. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით. დანარჩენს დაინახავთ“, – განაცხადა მინისტრმა.

არასამთავრობო ორგანიზაციის **„ახალგაზრდები სამოქალაქო ინტერესებისთვის“** წარმომადგენელმა, არჩილ თოდუამ შეხვედრაზე საქართველოს ძველი ხელისუფლების პოლიტიკაზე ისაუბრა, რომელსაც წლების განმავლობაში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ახორციელებდა. მანვე აღნიშნა ვითარება გალის რაიონსა და აფხაზეთში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, ასევე სკოლებში შექმნილი მდგომარეობა, სადაც ქართული და აფხაზური ენების მეგრულით და რუსულით ჩანაცვლების ტენდენცია გრძელდება.

„ახალი ხელისუფლების პირობებში საქართველომ არაღიარების პოლიტიკის პარალელურად აფხაზი საზოგადოების კეთილგანწყობა უნდა დაიმსახუროს. საამისოდ ვფიქრობ ეფექტური იქნება ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ ადამიანებს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები აფხაზურ ენაზე მოემსახურონ. შესაძლოა ამ გარემოებით არც არავინ არ ისარგებლოს, მაგრამ ეს მათთვის მაინც პოზიტიური გზავნილი იქნება. ქუჩების დასახელებები ქართულის მსგავსად იყოს აფხაზურ ენაზეც. მათ ასევე უნდა ჰქონდეთ უფასო სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობა“, – განმარტა არჩილ თოდუამ.

მისივე თქმით, გალი ერთგვარი ხიდია საქართველოს და აფხაზეთს შორის. ამ გარემოების დახმარებით და გათვალისწინებით აფხაზეთი თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად საერთო ქართულ კულტურულ-სოციალურ სივრცეში უნდა დაბრუნდეს.

დემოკრატიული ჩართულობის ზუგდიდის ოფისში გამართული შეხვედრა რეინტეგრაციის მინისტრთან სახელმწიფო საკითხებში, არასამთავრობო ორგანიზაცია **„ახალგაზრდები სამოქალაქო ინტერესებისთვის“** ინიციატივით, კავკასიური სახლისა და **inTemeiSenal alert**-ის მხარდაჭერით შედგა.

არჩილ თოდუა

„მოსკოვისთვის ზურგის შექცევით თბილისი ვაშინგტონის მარიონეტად გადაიქცა“

უფლის ნებით, რუსეთი და საქართველო მრავალსაუკუნოვანი მეზობლები არიან. ამიტომ საქართველომ თავისი საგარეო პოლიტიკა პირველ რიგში სწორედ ამ რეალობის საფუძველზე უნდა ააგოს და გაითვალისწინოს რიგი ნიუანსები, რომელთაგან ზოგიერთი, გასაგები მიზეზებით, მითვის არც ისე სასურველია, სხვები კი, შესაძლოა, სულაც მიუღებელი იყოს.

აშკარაა, რომ ამ საკითხში კარგად ერკვეოდნენ ჩვენი გამოჩენილი წინაპრები: მეფე ერეკლე II, ილია ჭავჭავაძე, ბევრი სხვა, ვინც რეალურად აფასებდა ჩვენი დიდი და ძლიერი მეზობლის შესაძლებლობებს, ერიდებოდა სიფიცხეს და აგრესიულ რიტორიკას, მაგრამ სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობას მიმართავდა და, გარკვეულ დათმობებზე წასვლით, რუსეთისგან საქართველოსთვის მაქსიმალური სარგებლის მიღებას ცდილობდა. მათ კარგად იცოდნენ, რომ სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა მეტი დაეკარგათ, ვიდრე შეეძინათ. სამწუხაროდ, მათმა **„მემკვიდრეებმა“** ეს მარტივი ჭეშმარიტება უგულებელყვეს, და დღეს თბილისი მოსკოვის ინტერესების 23-წლიანი იგნორირების შედეგებს იმკის. სწორედ ამდენი დრო გავიდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან. და ამ წლებმა სასიამოვნო არაფერი მოიტანა: ეკონომიკის რღვევა, ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის გაღატაკება.

რუსეთი – ქვეყანაა, რომელსაც ჩვენ 1989 წელს ზურგი ვაქციეთ, არავინ იცის, რისი იმედით. დღეს გაფუჭებული ურთიერთობის მოგვარებას ვცდილობთ. მაგრამ სწორია კი თავად მიდგომა სწორად დასმულ ამოცანასთან? მგონი, არც ისე. ჩვენ წინასწარ ვცდილობთ რუსეთისთვის რაღაც გარანტიების გამოთხოვას: აი, ჩვენ თქვენთან ვართ, მაგრამ რას მივიღებთ ამისთვის – იქნებ, როგორმე ოდითგან ჩვენი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაგვიბრუნოთ?

ეს საწყისშივე არასწორია. რუსეთთან ურთიერთობაში არანაირი პრივილეგიები არა გვაქვს, რომ რაიმე მოვთხოვოთ ან, მითუმეტეს, რაიმეს გაკეთება ვაიძულოთ. რუსეთი – მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და ძლევამოსილი დერჟავაა თავისი გავლენით, რესურსებით, უკიდეგანო ტერიტორიებით, თუ გნებავთ, **„შიშის ფაქტორებით“** და ა.შ.

მოდი, საქართველო რუსეთს შევადაროთ. ვინ ვართ ჩვენ? ჩვენ – თავდაჯერებული პატარა ერი ვართ, რომლის ამბიციები აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს. ჩვენი ძალა და გავლენა – გინდ მსოფლიოში, გინდ რეგიონში – ნულს უახლოვდება. აქედან გამომდინარე, როდესაც ასეთ დიდ და მძლავრ იმპერიას ველაპარაკებით ან მივმართავთ, ჩვენი ტონი შესაბამისი უნდა იყოს.

და აი, ასეთ უკიდურესად აშკარა ფონზე ქართველი საზოგადოების რიგი წარმომადგენლების და პოლიტიკოსთა მხრიდან გამოვლინდა მსოფლიოში ჩვენი რეალური ადგილის არაადეკვატური შეფასება, უგუნურება, გადაჭარბებული ამბიციები და საკუთარი ისტორიის დავიწყება. შედეგად რუსეთთან ეკონომიკური, კულტურული, ადამიანური კავშირები დარღვეული აღმოჩნდა. ჩვენ მისგან თვითიზოლაცია მოვახდინეთ, უსაფრთხოების გარანტია დავკარგეთ და, რაც მთავარია, ჩვენი მეზობელი რუსეთი ჩვენს მტრად ყოველგვარი ობიექტური საფუძვლების გარეშე გადავაქციეთ.

სანაცვლოდ ამერიკის მარიონეტები გავხდით, მისი ინტერესების გამტარებლები რეგიონში, სადაც ჩვენი მეზობელი არა **აშშ,** არამედ იგივე რუსეთია. და ამით საკუთარ თავს უსერიოზულესი პრობლემები შევუქმენით, აღმოვჩნდით რა ორი სუპერსახელმწიფოს ინტერესთა ბრძოლის შუაგულში. და აღმოვაჩინეთ, რომ ამერიკელები თურმე სულაც არ არიან ალტრუისტები, როგორც გვეგონა, და, მითუმეტეს, არ ჩაებმებიან რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში. მეტიც, სწორედ აშშ-ის წაქეზებით ბოლო ცხრა წლის განმავლობაში სააკაშვილის მარიონეტული რეჟიმი პრაქტიკულად ქართველების გენოციდს, მართლმადიდებლური სარწმუნოების და ტრადიციების გეგმაზომიერ გაუფასურებას ახორციელებდა, მოსახლეობას ღირსებას ართმევდა და იძულებით ახვევდა თავს უცხო ტომის ფასეულობებს.

სააკაშვილი, თითქმის თავისი მმართველობის დასაწყისიდან დღემდე, კონტროლირებადი მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების ანტირუსული რიტორიკისა და პროპაგანდის წყალობით, რუსეთისგან მტრის ხატს ძერწავდა. ანტირუსულმა ბაკქანალიამ იმგვარ ხარისხს მიაღწია, რომ სიტყვა **„რუსეთის“** უბრალო ხსენებაც კი დამამცირებელი ეპითეტების გარეშე შეუძლებელი გახდა. ხოლო მისი პოზიტიურად ხსენება ავტორს მყისვე **„რუსეთის აგენტად“, „ხალხის მტრად“** და ა.შ. გადააქცევდა. სააკაშვილის რეჟიმმა აშშ-ის მითითებითა და ნებაზე მიშვებით საქართველოში ანტირუსული ისტერიის ფონი შექმნა, რომელიც, შესაძლოა, ნაწილობრივ ემსახურება პირველის ინტერესებს, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველი და სრულიად არაპერსპექტიულია.

საქართველოში ახალი ხელისუფლებაა, მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ის მზად არის და შეუძლია ერთბაშად გამოიყვანოს ქვეყანა ამერიკის გავლენის ან, თუ გნებავთ, კონტროლის ქვეშიდან. ახალი ხელისუფლება საკმაოდ ჭრელია, მასში არც ისე ცოტაა თბილისის პრამერიკული კურსის მომხრე. ჯერჯერობით ახალი ხელისუფლების მხრიდან ამერიკული გავლენის შესუსტების მხოლოდ მცდელობას ვხედავთ. მაგრამ დასავლეთის მიერ დაფინანსებული და მაძღრისად გამოკვებილი უდიდესი ნაწილი ქართული პოლიტიკური სპექტრის და არასამთავრობოებისა კვლავაც მზად არის, საკუთარი ქვეყნის და ხალხის წინააღმდეგ იმოქმედოს და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან წახალისებული, ნატოში ქიმერული შესვლისაკენ ისწრაფვის. რუსეთთან ურთიერთობის კვლავაც გაუარესების ხარჯზე ისინი უფსკრულისაკენ უბიძგებენ საქართველოს, რაც ბოლოს და ბოლოს სუვერენიტეტის სრულ დაკარგვას და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საბოლოოდ დარღვევას გამოიწვევს.

დღეს საქართველი გზაგასაყარზე დგას. პირველი გზაა – ამბიციების შეკავება, ნატოში შესვლაზე უპირობოდ უარის თქმა, რუსეთთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების აღდგენა, მცდელობა – საბოლოოდ არ დავკარგოთ შანსი, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ამა თუ იმ ფორმით გაერთიანების იმედი გვქონდეს, იდენტურობის – რწმენისა და ტრადიციების შენარჩუნება. მეორე გზა – ამერიკული ოცნების განსახორციელებლად ჩვენი შვილების ხვალინდელი დღის მსხვერპლად შეწირვა, რეგიონში ვაშინგტონის ინტერესების გამტარებლად დარჩენა და ერთ-ერთ იმ უსახო ქვეყნად გადაქცევა, რომლებსაც ოდესღაც წარსული ჰქონდათ, მაგრამ მომავალი არასოდეს ექნებათ.

კონსტანტინე ჩიკვილაძე,
იურისტი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ექსპერტი, ევრაზიის ინსტიტუტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, “ნეზავისიმაია გაზეტა“

“ნაცჯალათები ქართველი ბავშვების ტრეფიკინგს ეწეოდნენ”

პოლიტდევნილი გოჩა კელენჯერიძე 16 წელია სამშობლოში არ ყოფილა. 1997 წლის 16 ივნისს პოლიტიკური რეპრესიების გამო საქართველო დატოვა და ესპანეთს მიაშურა, სადაც პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. მალევე გახდა მადრიდის ექიმთა კოლეგიის წევრი. 2001 წლიდან ჯერ იუსტიციის, შემდეგ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციონერი ექიმია. 2012 წლიდან არის “ამნესტი ინტერნეიშენელის” ესპანეთის სექციის წევრი და შეძლებისდაგვარად ცდილობს ქართველთა უფლებების დაცვას. ბატონი გოჩა კელენჯერიძე საქართველოში მიმდინარე პროცესებს ესპანეთიდან აფასებს:

– საქართველოს ეროვნულ საჯარო ბიბლიოთეკასთან დამნაშავე **“ნაცმოძრაობის”** მიერ ნაწამები ხალხი შეიკრიბა. ქართველი საზოგადოება კაცობრიობის წინაშე ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებში მხილებული ნაცმოძრაობის გასამართლებას მოითხოვს და თვითონვე დაიწყო ამ სამართლიანი და სასიცოცხლო მოთხოვნის განხორციელება – არავითარი კოჰაბიტაცია, დიქტატორი ციხეში! ბიბლიოთეკასთან შეკრებილმა ნაწამებმა ადამიანებმა უდიდესი სამოქალაქო შეგნება და გონიერება გამოიჩინეს – არ წამოეგნენ ნაცმოძრაობის პროვოკაციას და უარი თქვეს არაცივილიზებულ ქმედებებზე... ეს არის დასაწყისი თვითმარქვია პრეზიდენტისა და ნაცჯალათების გასამართლებისა, საქართველოს გათავისუფლებისა პროვინციალი ფაშისტებისგან, რაც თითოეული ქართველი დემოკრატისა და თავისუფალი ადამიანის ვალია. რა თქმა უნდა, სასიხარულო არ არის, როცა ასეთი რამ საზოგადოებაში ხდება, მაგრამ ამის მიზეზი ნაციონალი ჯალათების თავისუფლად პარპაშია. ვგმობ ნებისმიერ ძალადობას, მაგრამ ნაწამები ხალხისგან ნათავაზები ალიყური არ მიკვირს. ადამიანის სახედაკარგულმა გიგი უგულავამ და სხვა ნაცჯალათებმა ქართველ საზოგადოებას ამგვარი პროვოკაციები ვეღარ უნდა გაუბედონ! უკაცრავად, მაგრამ ნაცემი ვიცი რეანიმაციაში და არა ტელეკამერების წინ! უგულავა უშიშროების მაღალი რანგის აგენტია, ის სისხლისღვრას ამზადებს და კანონის უზენაესობა, სახელმწიფოებრივი ინტერესები თანამდებობიდან მისი დაუყოვნებლივი ჩამოშორების ვალდებულებას აყენებს დღის წესრიგში. თბილისი უნდა გათავისუფლდეს ნაცტირანიისაგან... რომ არა საქართველოს შს მინისტრი და დემოკრატიული მთავრობა, რომლებსაც ნაცმოძრაობა პოლიტიკურ დევნას აბრალებს, ნაცჯალათები დიქტატორ ჩაუშესკუს ბედს გაიზიარებდნენ...

– 8 თებერვალს მიხეილ სააკაშვილი მაინც საკმაოდ “რიხიანად” წარდგა საზოგადოების წინაშე...

– მიხეილ სააკაშვილის ეს გამოსვლა ორი კუთხით უნდა განვიხილოთ: ნაცრევანშის მუქარა და ფსიქიატრიული ფაქტორი. ამ უკანასკნელზე ადრეც მოგახსენეთ, როგორც პასუხისმგებელმა პირმა, ექიმმა. მისი ფსიქოზური პანიკის საზომი ამჟამად მის წინაშე მსხდარი დიპლომატიური კორპუსის გაოცებული და ირონიული სახეები იყო. გორის **“გმირი”** სპაზმების შეტევისას ისე იყო შეშინებული, მის შუშაბანდთან ღამურას რომ გაეფრინა, ადვილი შესაძლებელი იყო, თავზე გადახტომოდა ელჩებს და ფანჯრიდან ესკუპა... თავის გამოსვლაში მან სიძულვილის დისტანციით გააიგივა საკუთარი თავი პირველ პრეზიდენტთან და ბუნკერსა და ახალ სამოქალაქო ომზე გააკეთა აქცენტი, – მე ვერ ჩამკეტავთ ბუნკერშიო. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მიშა-ბელადის ცნობიერება ეგუება ხანგრძლივი პატიმრობის გარდაუვალობას, მაგრამ იმუქრება და სისხლიან რევანშს ამზადებს – სააკაშვილი ყვარყვარესავით კვლავ დაბრუნებაზე ფიქრობს. ამ გამოსვლის ანალიზი ადასტურებს მის ანტიქართველობას და საშიშ კრიმინალურ პოტენციალს, რომლის აღკვეთაც მხოლოდ ხალხს ძალუძს.

– ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში დაწერეთ, ნაციონალების რეჟიმმა ათასობით ქართველი ბავშვი გააშვილა უცხოეთშიო...

– დიახ, საქართველოში ავადსახსენებელი ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩადენილი კიდევ ერთი შემზარავი დანაშაულის ფაქტი იქნა წარმოდგენილი საქართველოს საელჩოში. დადგინდა, რომ 9-წლიანი ტირანიის განმავლობაში ნაცჯალათები ქართველი ბავშვების ტრეფიკინგს ეწეოდნენ. სააკაშვილის რეჟიმმა ათასობით ქართველი ბავშვი გაყიდა ვითომ გაშვილების წესით და ამით სახელმწიფოსა მიერ წაქეზებულმა **“ოფიციალურმა”** ტრეფიკიორებმა საქართველოს გაუყიდეს მომავალი! ე.წ. გაშვილებული ქართველი ბავშვების ბედი დღეს აბსოლუტურად უცნობია – კაცმა არ იცის, მყიდველებმა ისინი შვილობისათვის იყიდეს, რიტუალებისთვის თუ მათი ორგანოების გამოსაყენებლად... საქართველოს ელჩმა ესპანეთში ზურაბ პოლოლიკაშვილმა თვითონ მოისმინა ქართველი ბავშვებით მოვაჭრე მხარის მიერ, როგორ გაიყიდა ქართველი ბავშვი ესპანეთში 33 ათას დოლარად. არადა, ნაცრეჟიმი უარს ეუბნებოდა ეთნიკურად ქართველ ემიგრანტებს ქართველი ბავშვების შვილად აყვანაზე... არსებობს ამ საზარელი საქმის დამადასტურებელი დოკუმენტებიც. ვაცხადებ მზადყოფნასა და სურვილს, ვითანამშრომლო საქართველოს საგამომძიებლო ორგანოებთან, რომლებსაც აუცილებლად გავიყვან გაყიდული ქართველი ბავშვების კვალზე. ეს დანაშაული – ბავშვების ტრეფიკინგი – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

ნ. მაისურაძე

გაზეთ “ილორის” კომენტარი: ეჭვსგარეშეა, რომ სააკაშვილი და მისი ბანდა, რომელთაც ლამის მომავალი მოუსპეს საქართველოს, ყველანაირი გაგებით, ამაზე მკაცრ სასჯელსაც კი იმსახურებენ, რასაც მალე მიიღებენ კიდეც!

პოეზიის კუთხე

<u>კარედი</u>

<u>სამი სათრევლათი და ერთადერთი მოთხოვნით: ნაპრეზიდენტალი — დეპოში! აქა ამბავი ცოცხისტყაოსნებისა</u>

<u>როგორც კი გამოჩნდა ცოცხების კოლოსი,</u>
<u>რომლებმაც ცოდვები ვერ ზიდეს,</u>
<u>იმავ წამს სოროში მშველელად სოროსი</u>
<u>ეწვია ყავლგასულ პრეზიდენტს.</u>
<u>ყასიდი ტკივილით და მგლური ყმუილით,</u>
<u>სხვასაც ბევრს მოუხმეს ნაცებმა,</u>
<u>და ევროსაბჭოში ნათქვამი ტყუილი</u>
<u>საჩქაროდ დაუდგათ დამცველად.</u>

<u>დეპოში!</u>

<u>რას გვეტყვი, ნეტავი.</u>
<u>ნაპრეზიდენტალი,</u>
<u>კვლავ რატომ პირშაობ?</u>
<u>რაკი არ გვინდიხარ,</u>
<u>იმ ყორნად გვიზიხარ,</u>
<u>რომ ვერ წმენდს ქვიშაო.</u>
<u>გიხმობენ დეპოში:</u>
<u>– არ გინდა დებოში,</u>
<u>წამოდი, მიშაო!</u>
<u>ვინა ხარ?</u>
<u>ყავლგასული უღვთოდ</u>
<u>უკვე კარგა ხანს,</u>
<u>მიშველეთო, უხმობ,</u>
<u>გადამთიელ ხალხს.</u>

<u>ჩვენ რად განუგეშოთ,</u>
<u>რატომ?</u>
<u>ვინა ხარ,</u>
<u>პოლიტიკურ ლეშს რომ</u>
<u>ისევ გინახავთ?</u>

<u>ალექსანდრე შენგელია</u>

ალექსანდრე ჭაჭია: ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, ის ღირსეულად იქცევა

(გაგრძელება 1 გვერდიდან)

ძალიან სასაცილოა, როდესაც ყველა ოფიციალურ ღონისძიებაზე, შენობების ფასადებზე, ჩინოვნიკების კაბინეტებში გვერდიგვერდ საქართველოსა და ევროკავშირის დროშებს ვხედავთ. ევროპელები გაკვირვებული და ირონიული მზერით უყურებენ ამას და დაგვცინიან. ასეთი პროვინციალიზმი, ჩემი აზრით, დამამცირებელია ჩვენი ხალხისთვის.

– ახალი ხელისუფლება ასევე დეკლარირებს ნატოსა და ევროკავშირში შესვლის იდეის ერთგულებას.

– დეკლარირება შეიძლება, მთავარია, ცრუ მიზნებს არ დავუქვემდებაროთ რეალური სახელმწიფოებრივი საქმიანობა. შევარდნაძემ და სააკაშვილმა ჩვენს საზოგადოებას თავს მოახვიეს ცრუ მიზნები – ნატო და ევროკავშირი. ხალხმა არაფერი იცოდა არც ერთის და არც მეორის შესახებ, მაგრამ პროპაგანდის ზეგავლენით ეს ცრუ მიზნები ყველა უბედურების პანაცეად, სამოთხისკენ მიმავალ გზად აღიქვა. ნებისმიერ ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯს ხელისუფლება სწორედ ამ ცრუ-მიზნების – ნატოსა და ევროკავშირისკენ ხელის გაშვერით ამართლებდა – აქაოდა ნატოსა და ევროკავშირში შესასვლელად არისო საჭირო. გადადგომის შემდეგ არაერთ ინტერვიუში შევარდნაძემ აღიარა, რომ ეს მიღწეველი მიზნებია, ანუ ის 10 წლის მანძილზე ატყუებდა ხალხს. სააკაშვილიც რამდენიმე წელიწადში აღიარებს ამას, თუმცა იქვე დაამატებს, რომ მას შეეძლო შეუძლებელი, მაგრამ არ მისცეს საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალება. ორივე რეჟიმი, შევარდნაძისა და სააკაშვილის, იყო მარიონეტული, მათ სჭირდებოდათ, როგორმე აეხსნათ ხალხისთვის, თუ რატომ იქცეოდნენ არა საკუთარი სახელმწიფოს, არამედ გარე ძალების ინტერესების შესაბამისად. ახსნა კი იყო შემდეგი: ასეა საჭირო ნატოში შესასვლელად. ჩვენი მმართველების ზურგს უკან ნატოს რომ არ ეციმციმა, განა ქართველი ხალხი დაანებებდა მათ ომის დაწყებას აფხაზეთსა და ცხინვალში, რუსეთთან თვითმკვლელობის ტოლფას კონფრონტაციაზე წასვლას? ან ავდანეთში უცხო ინტერესებისთვის სასაკლაოზე საკუთარი შვილების გაგზავნას? განა დაანებებდა ვინმე ხელისუფლებას ახალგაზრდობის გარყვნას, ეკლესიის დამცირებას, უცხოელებზე მიწის გაყიდვას? განა ქართველი ხალხი შეეგუებოდა იმას, რომ საქართველოს უმაღლესი ხელისუფალი, აგერ უკვე 20 წელია, არის აშშ-ის ელჩი? ამ ყველაფერს სჭირდებოდა გამართლება და ისიც მოიძებნა ნატოსა და ევროკავშირის სახით. ქვეყნის მმართველებმა კარგად იცოდნენ, რომ ატყუებენ ხალხს, მაგრამ, როგორც მარიონეტებს, საზოგადოებისთვის სხვა არაფრის შეთავაზება არ შეეძლოთ, მათთვის ნებადართული იყო მხოლოდ იმ პოლიტიკის გატარება, რომელსაც კარნახობდნენ და რომლისთვისაც ისინი ხელისუფლებაში დასვეს.

ივანიშვილი თვისობრივად განსხვავებულ მდგომარეობაშია. ის ხელისუფლებაში მოიყვანა რეჟიმისადმი ხალხის შეუწყნარებლობის ტალღამ, უფრო მეტიც, ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა ქართველი ხალხის მიერ რეჟიმის პოლიტიკის კატეგორიული უარყოფის წყალობით. როგორც რეალურმა პოლიტიკოსმა (არადა, ივანიშვილი კარგი პოლიტიკოსი აღმოჩნდა), მან თავი შეიკავა პირდაპირი შეფასებებისგან, მაგრამ,როგორც პრაგმატიკოსს, მშვენივრად ესმის, რომ ცრუ მიზნები ხალხის დეზორიენტირებას ახდენს,შეუძლებელს ხდის საზოგადოების კონსოლიდაციას,ქვეყნის კატასტროფიდან გამოსაყვანად ძალისხმევის კონცენტრირებას. მიაქციეთ ყურადღება – ივანიშვილი არსად არ იჩემებს,რომ საქართველოს მიიღებენ ევროკავშირსა და ნატოში, არ ასახელებს კონკრეტულ თარიღებს, როგორც ამას პერიოდულად აკეთებდნენ შევარდნაძე და სააკაშვილი. ის საუბრობს იმაზე, რომ საქართველომ ბევრი უნდა იმუშაოს ევროკავშირის სტანდარტებთან მისაახლოებლად,და ეს სწორია. ევროპულ პრაქტიკაში ბევრი რამაა ისეთი,რაც ჩვენ უნდა ავითვისოთ, მაგრამ არა ჩვენს სინამდვილეში ხელოვნური გადმოტანით, ბრმა კოპირებით, არამედ შერწყმის, ცხოვრების მოწყობის ტრადიციულ ქართულ მოდელთან ურთიერთშეღწევის გზით. არის ევროპაში ბევრი რამ ისეთიც, რაც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია.

მგონია,რომ ივანიშვილი არ დაუქვემდებარებს თავის მოღვაწეობას ცრუ მიზნებს, როგორც ამას მისი წინამორბედები აკეთებდნენ, და ამ ცრუ მიზნებს არ შესწირავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

– როგორც ჩანს, კმაყოფილი ხართ ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობით...

– დიახ, ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ღირსეულად იქცევა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობისას საერთო ნაცნობების მეშვეობით ვცდილობდი, ბიძინა ივანიშვილი ჩართულიყო პოლიტიკურ მოღვაწეობაში, რათა შევარდნაძის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი დაეკავებინა. საჭირო იყო იმ კატასტროფის თავიდან აცილება, რომლისკენაც ახალგაზრდა დამანგრეველებისთვის ხელისუფლების გადაცემით შევარდნაძე ქვეყანას მიაქანებდა, და ივანიშვილს შეეძლო ამის გაკეთება. მაშინ მიპასუხეს,რომ ესაუბრნენ მას, მაგრამ ივანიშვილმა პოლიტიკაში ჩართვაზე კატეგორიული უარი განაცხადა, მაგრამ ნათქვამია – სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

– ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც აქტიურად განიხილება საზოგადოებაში, არის საკითხი – როგორი უნდა იყოს პრეზიდენტის არჩევნები. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

– თუ უკვე დამტკიცებულია მმართველობის საპარლამენტო მოდელი, მაშინ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი – ეს ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა. რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება,მითუმეტეს გაკოტრებულ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ ფეხზე უნდა წამოდგნენ. ეს სულაც არ ნიშნავს,რომ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა უნდა იყოს, ანუ მხოლოდ მოაწყოს მიღებები დღესასწაულებზე, ჩაიბაროს რწმუნების სიგელები ელჩებისგან, ატაროს ჰალსტუხი და გაიბღინძოს. საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები (მხედველობაში მაქვს არა ფორმალური, კონსტიტუციური, არამედ რეალური) ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის.

მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან,რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. საქმე ისაა,რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს – პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები,საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა, ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს. რეინტეგრაციის საქმეთა მინისტრთან აფხაზეთის, ოსეთისა და მით უმეტეს რუსეთის ხელმძღვანელობა საგნობრივად არაფერს განიხილავს. რუსეთთან ურთიერთობებში სპეციალური წარმომადგენელის სამთვეში ერთხელ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან შეხვედრის შედეგი კი იქნება ერთობლივი ვახშამი და პირობა, რომ სამი თვის შემდეგ კიდევ ერთხელ შეხვდებიან. დრო კი მიდის და უნდა ვაღიაროთ, რომ – არა საქართველოს სასარგებლოდ.

საჭიროა გარღვევა, ამ სამუშაოს ხარისხობრივად ახალ დონეზე აყვანა. საჭიროა მაღალი სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე პირი,რომელიც გავა პირდაპირ მოლაპარაკებაზე უმაღლესი ხელმძღვანელობის რგოლებთან და დაძრავს საქმეს მკვდარი წერტილიდან. პრემიერ-მინისტრი ამით ვერ დაკავდება – მას აქვს უდიდესი მოცულობის შიდა პრობლემები, დიდ დროს ართმევს ურთიერთობა დასავლელ პარტნიორებთან, რომელთა ზეწოლასაც წარმატებით უმკლავდება; ამასთანავე, პრემიერი უმაღლესი სახელმწიფო პირია და ის მოლაპარაკებათა პროცესში შეთანხმების მიღწევის სტადიაზე უნდა ჩაერთოს, ანუ მას მუდმივად უნდა ჰქონდეს მანევრის საშუალება.

პარლამენტის თავმჯდომარე, ჩემი აზრით,კარგად ართმევს თავს თავის მოვალეობებს, მაგრამ ზემოხსენებული საქმიანობისთვის არ გამოდგება – მას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი **«მედასავლეთის»** იმიჯი და,რა თქმა უნდა, უდავოდ გააჩნია სერიოზული ვალდებულებები დასავლელ პარტნიორებთან,ამიტომ არც რუსები,არც აფხაზები მასთან გულწრფელად არ ისაუბრებენ. ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის საჭიროა მესამე პირი ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლო ეშელონიდან – ანუ პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სტატუსს, არამედ პიროვნულ საკითხსაც. ახალი პრეზიდენტი არაფრით არ უნდა იყოს დაკავშირებული წინა რეჟიმებთან, რომლებიც ჩვენი პარტნიორების აღქმაში ომთან და სისხლთან ასოცირდებიან. სასურველია, რომ იგი მათთვის პოზიტიურად ცნობილი იყოს, თუმცა, შესაძლოა, ის იყოს აბსოლუტურად ახალი სახე. მთავარია, იგი აცნობიერებდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას – 1-2 წელიწადში ვითარების კარდინალურად შეცვლას.

სხვათა შორის პრეზიდენტის ფუნქციის ასეთი განმარტება მოხსნის კონკურენციის,ამ თანამდებობისთვის ბრძოლისა და ამ ბრძოლის თანმდევი ინტრიგების პრობლემას. არა მგონია,ბევრი პრეტენდენტი მოიძებნოს, რომელთაც ამ ჩიხში მოქცეული საკითხებით დაკავების სურვილი ექნებათ. ამ საკითხებს მხოლოდ ლამაზი და ფუყე დაპირებებით ვერ მოაგვარებ,ახალი პრეზიდენტის ფხა და შესაძლებლობა პირველივე თვეებში გამოჩნდება. ამიტომ ამ პოსტის დაკავებას მხოლოდ ის ადამიანი დათანხმდება, რომელიც დარწმუნებულია წარმატებაში და ფლობს აუცილებელ პოტენციალს – კავშირებს, პირად ავტორიტეტს, სერიოზული წინადადებების პაკეტს. ასეთი ადამიანები კი ბევრნი არ არიან.

– წლებია, ხართ სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» თავმჯდომარე. ბოლო დროს საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, რომ სააკაშვილი სამეგრელოში გადაბარგებას და ამ რეგიონის ახალი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურ ბასტიონად გადაქცევას აპირებს. რამდენად რეალურია ასეთი სცენარი?

– ამ ხმებს **«ნაციონალური მოძრაობის»** წარმომადგენლები ავრცელებენ ახალი ხელისუფლების დაშანტაჟების მიზნით. სააკაშვილისა და მისი ჩინოვნიკების დასაცავ არანაირ ბასტიონად სამეგრელო არ გადაიქცევა. არ არის საჭირო,ისე წარმოვაჩინოთ საქმე, თითქოს სამეგრელოში ველური პროვინციელები ცხოვრობენ,რომლებიც მზად არიან, დაიცვან ის ხელისუფლება, რომელმაც ქვეყანას დაშლა, სიღარიბე და დეგრადაცია მოუტანა. სამეგრელოში გონიერი, განათლებული, განსაკუთრებით მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნების მქონე ხალხი ცხოვრობს. არც გამსახურდიასა და სააკაშვილს შორის პარალელების გავლებაა საჭირო, ეს მკრეხელობაა. ყველაზე სამარცხვინო ის არის, რომ სააკაშვილის გარემოცვაში არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ზვიადის თანამოაზრედ მიიჩნევენ. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას,რომ ამ ადამიანებს არაფერი გაეგებათ და წარმოდგენაც არ აქვთ, თუ რა უნდოდა ზვიად გამსახურდიას საქართველოსთვის. იყოს ზვიად გამსახურდიას მომხრე და ამავე დროს **«ნაციონალური მოძრაობის»** წევრი, შეუძლია ან უპრინციპო აფერისტს, ან აბსოლუტურ უვიცს, რომელსაც არასოდეს წაუკითხავს და არასოდეს ესმოდა ზვიად გამსახურდიასი. ყველაფერი, რასაც წარმავალი ხელისუფლება აკეთებდა, სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რისკენაც მიისწრაფვოდა ზვიად გამსახურდია.

სამეგრელოს მოსახლეობას არანაირი ანტისახელისუფლო განწყობა არ აქვს. იქ არის ცენტრალური ხელისუფლებისადმი ზოგადი უნდობლობა, რადგანაც უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, წინასაარჩევნო დაპირებების გარდა, სამეგრელოს არაფერი მიუღია. რეგიონი უკიდურესად არის გაჩანაგებული, შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედი ემიგრაციაშია. სასწრაფოდ საჭიროა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ზომების მიღება, რათა ეს, ქვეყნისთვის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი კუთხე გამოცოცხლდეს.

ესაუბრა ირაკლი თოდუა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს, საქართველოს პარლამენტის წევრებს!

ბატონო თავმჯდომარევ!

პატივცემულო პარლამენტის წევრებო!

მოგეხსენებათ, თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ღრმავდება გლობალისტური პროცესები, რასაც ჩვენი პლანეტის ერებისთვის, შეიძლება ითქვას, მოაქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგებიც. ცხადია, ეს პროცესები გვერდს ვერ აუვლის ჩვენს სამშობლოსაც და, რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური და საშური ხდება ისეთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების შექმნა, რომლებიც მეტ-ნაკლებად მაინც უზრუნველყოფს კოლხურ-იბერიული (ქართველური) მოდგმის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და მეტიც, ეროვნულ, ტრადიციულ და ქრისტიანულ საფუძველზე მის შემდგომ განვითარებასაც. თქვენთვის, რა თქმა უნდა, კარგადაა ცნობილი, რომ ჩვენს ერს, საკუთარი ენობრივ-კულტურული თვალსაზრისით, გააჩნია უდიდესი სიმდიდრე. ეს სიმდიდრე დაუნჯებულია ჩვენსავე უნიკალურ ენობრივ ტრიადაში (ქართულში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში). უწინარესად, ამ ენებშია გამოხატული ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი იდენტობა, ჩვენი განსხვავებულობა. არადა, აშკარაა, რომ ქართველურ ენებს ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები გლობალისტური ტენდენციების პირობებში ემუქრება გაქრობის საშიშროება. ასე რომ, წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე მოვალენი ვართ, ვიღონოთ ყველაფერი მის შესანარჩუნებლად. ქართული სახელმწიფო მოვალეა, უპატრონოს ამ საუნჯეს.

აქვე გვსურს, შევეხოთ ჩვენთვის (და არამარტო ჩვენთვის) მეტად მტკივნეულ საკითხს. სამწუხაროდ, მავანნი ჯიუტად კამათობენ იმაზე,– უძველესი, უმდიდრესი და უმშვენიერესი მეგრული ენა საერთოდ არის თუ არა ენა, თუმცა გენიალურმა ნიკო მარმა ჯერ კიდევ როდის ბრძანა: **"მეგრული ენა არის მეგრული ენა; იგი ლინგვისტურად არ არის კილო, არც დიალექტი"**. იმავეს ბრძანებდნენ უდიდესი კორიფეები ჰომეროსის ეპოქიდან მოყოლებული დღემდე. არ დაგიმალავთ, ჩვენთვის არც ესაა სადისკუსიო და საკამათო საკითხი. აქ ისედაც ნათელია ყველაფერი. ვიმედოვნებთ, ასეა თქვენთვისაც. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვართ, თქვენ, ვინც ქართველი ერის მიერ არჩეული ბრძანდებით ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, აცნობიერებთ პასუხისმგებლობას მშობელი ხალხის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის წინაშე და გააკეთებთ მაქსიმუმს მისი თვითმყოფადობის უპირველესი გამოხატულების – ქართველურ ენათა გადასარჩენად. ვიმეორებთ: ქართული სახელმწიფო ვალდებულია, ეს გააკეთოს, ხოლო, რაც შეეხება ყბადაღებულ **"ევროსაბჭოს კონვენციას"**, ჩვენს სპეციფიკურ სინამდვილეში მხოლოდ დამატებით არგუმენტად თუ გამოგვადგება. საერთოდ მიგვაჩნია, რომ კონვენციების არსებობა კი არ უნდა განაპირობებდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს, არამედ ჩვენივე ერისა და ქვეყნის მარადიული სასიცოცხლო და სტრატეგიული ინტერესები. დრო არ ითმენს. არსებობს პრობლემა, მაშასადამე, არსებობს პრობლემის მოგვარების აუცილებლობაც. მისი იგნორირება უსათუოდ შეგვიყვანს ჩიხში და მიგვიყვანს საერთო ეროვნულ ტრაგედიამდე.

მხოლოდ რიტორიკა რომ არ გამოგვივიდეს, თქვენ წინაშე შემოვდივართ ინიციატივით: პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში და უახლოეს საპარლამენტო სხდომებზე განხილულ იქნას ჩვენ მიერ აქტუალიზებული საკითხი და საკანონმდებლო დონეზე მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ქართველურ ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩამოყალიბების თაობაზე. ვფიქრობთ, რომ დეპარტამენტმა, თავის მხრივ, უნდა შექმნას სპეციალური კომისია, რომელშიც უნდა შევიდნენ ქართველურ ენათა აღიარებული სპეციალისტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიამ უნდა შეძლოს ისეთი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომლის რეალიზებაც უზრუნველყოფს ქართველურ ენათა შენარჩუნება-განვითარებას.

ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ!

პატივცემულო დეპუტატებო!

იმედია, ახალი ხელისუფლება, პირველად ისტორიაში, აიღებს პასუხისმგებლობას ქართველურ (ქართულ, მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ენათა გადარჩენასა და განვითარებაზე. ამით ის უთუოდ აღასრულებს უდიდეს ისტორიულ მისიას და უფლისათვის სათნო საქმეს.

პატივისცემით,

ზურაბ კვარაცხელია,
სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი;
ვლადიმერ ლუკავა, ბაკა თოდუა, რევაზ ფიფია, ბორის ბულია, გიზო მესხია, რევაზ ბაღათურია, ხატია ჯანაშია, ზაალ ჯალაღონია, ზაზა ჯალაღონია, შალვა აფხაზავა

ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტს – "ამტკიცებთ, თითქოს პრემიერის სავარძელში გადაჯდომაზე არც არასოდეს გიოცნებიათ"

ივანიშვილმა სააკაშვილს ყვითელი ბარათი ამოუღო!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართვას უგზავნის. მიმართვის ტექსტს პრემიერის პრესსამსახური ავრცელებს, რომელშიც ივანიშვილი ქვეყნის პირველ პირს **"ბოლო წინადადებას"** სთავაზობს და მიმართავს, უახლოეს 2-3 დღეში მკაფიოდ და ცალსახად განაცხადოს, უარს ამბობს თუ არა კონსტიტუციურ დიქტატურაზე და უჭერს თუ არა მხარს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის აკრძალვას.

გაზეთი **"ილორი"** ბიძინა ივანიშვილის მიმართვას უცვლელად გთავაზობთ:

"ხელისუფლების საკითხი ქვეყანაში გადაწყვეტილია და ამიტომ არ მოგმართავთ როგორც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რომელთანაც რაიმე დამრჩა გასარკვევი. თქვენს პოლიტიკურ გუნდსა და საზოგადოებას შორის ვხედავ სულ უფრო მზარდ უფსკრულს, რომელიც სრული მარგინალიზაციისკენ მიაქანებს ამ გუნდის ღირებულ წევრებსაც კი, და ამიტომ მოგმართავთ.

კიდევ იმიტომ მოგმართავთ, რომ არ ვთვლი ქვეყნისთვის სასურველ მოვლენად თქვენს გუნდთან ერთად განვლილი 9 წლის სრულ დისკრედიტაციას. ხელისუფლება თავისი ხალხის წინაშეა პასუხისმგებელი, ხოლო ხალხი თავის ხელისუფლებაზეა პასუხისმგებელი. ამიტომ ვცდილობ, ყველაფერს და ყველას არ გადაესვას ხაზი, ყველაფერს და ყველას არ მოეცხოს ლაქა, მათ შორის, ქართველი ხალხის თავმოყვარეობას და ღირსებას. ამიტომ მინდა, რომ როგორმე ღირსეული გამოსავალი ვიპოვოთ, ზედმეტი დანაკარგების გარეშე გავუმკლავდეთ წარსულს და მთელი ენერგია მომავალს მოვახმაროთ. ამიტომ ვწავლობ ამდენს და ვცდილობ დაგანახოთ გამოსავალი, რომელიც გახსნიდა გზას ყველა სხვა პრობლემის ცივილიზებულად მოგვარებისკენ.

ამიტომ შემოგთავაზეთ დეკემბრის ბოლოს ისეთი საკონსტიტუციო ინიციატივა, რომელზე დათანხმებაც თქვენთვის ყველაზე მარტივი იყო (შეგეძლოთ "პიარქულებიც" კი იქით ჩაგეწერათ). საპარლამენტო უმრავლესობამაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტა თქვენი პარლამენტში გამოსვლის გადავადება – არ გვინდოდა ის დღე გამხდარიყო წყალგამყოფი. ამიტომ წამოვედით მოლაპარაკებებზეც და ინიციატივის ხელში აღებაც კი შემოგთავაზეთ კონსტიტუციის 2010 წლის მოდელის ნაწილობრივ ამოქმედების ფორმულით. ამიტომ ვთანხმდებოდი ამნისტიის ისეთ ვარიანტსაც კი, რომლის ახსნა ძალიან გამიჭირდებოდა საზოგადოებისთვის.

მაგრამ თქვენ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ცივილიზებულ, სათანამშრომლო ვითარებაში არ გადასულიყო პროცესი. ამის მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს – თქვენს გუნდს თქვენ გარშემო მხოლოდ თქვენ მიერვე გაზვიადებული საფრთხის განცდით აკავებთ და აშანტაჟებთ. თქვენი ამოცანაა, თქვენი გუნდის ცალკეული წევრების დანაშაულზე მთელ გუნდს ააღებინოთ პასუხისმგებლობა და ამით "შეადუღაბოთ" თქვენი რიგები. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. ჩვენ მიერ ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილება პარლამენტში მარტის ბოლომდე დადგება კენჭისყრაზე. ეს კენჭისყრა კი უკვე ნამდვილად იქნება წყალგამყოფი. გნებავთ ულტიმატუმად მონათლეთ ჩემი სიტყვები და გნებავთ პოლიტიკურ დიდსულოვნებად, მაგრამ სრულიად ცალსახად ვაცხადებ – ვინც ეთანხმება ამ ცვლილებას, იგი აგრძელებს ქვეყნისთვის სამსახურს, ეძლევა შეცდომების გამოსწორების და უკეთესი პოლიტიკური მომავლის შანსი; ვინც უარს ამბობს ამ ცვლილებაზე, იგი იღებს სრულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც 9 წლის განმავლობაში ნებისმიერ თქვენს თანაგუნდელს ჩაუდენია და ამ ტვირთით აგრძელებს ცხოვრებას.

მე კარგად მესმის, რასაც ვამბობ. საკითხი ამგვარად მმართველი კოალიციის შიგნითაც კი არასოდეს დამიყენებია და არ გამომიცხადებია ე.წ. სავალდებულო კენჭისყრა. მაგრამ ახლა საქმე რომელიმე "საკითხს" არ ეხება. კონსტიტუციური ცვლილებები ეპოქალურ თემას დაუკავშირდა: წინ – მომავლისკენ, თუ უკან – წარსულისკენ. ამიტომ ვერ მივიღებ ვერანაირ "კი, მაგრამ"-ს და "დღეს არა, ხვალ"-ს.

რა ელით მათ, ვინც წარსულს აირჩევს? განსაკუთრებული არაფერი, გარდა საზოგადოების სათანადო შეფასებისა. რა ელით მათ, ვინც მომავალს აირჩევს? ასევე განსაკუთრებული არაფერი, გარდა საზოგადოების სათანადო დაფასებისა.

პირადად მე, სანამ პოლიტიკაში ვარ, მაქსიმალურად შევიკავებ თავს საკუთარი შეფასებებისგან, მაგრამ როდესაც კვლავ საზოგადოების რიგითი წევრი გავხდები (არცთუ შორეულ მომავალში), ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ საზოგადოებას არც ვინმეს შეფასება გადაავიწყდეს და არც დაფასება.

რაც შეეხება კანონს, იგი ყველასთვის კანონად დარჩება: თქვენგან გათავისუფლებული სასამართლო უდანაშაულოს თავისუფლების გარანტიას მისცემს, ხოლო დამნაშავეს – სასჯელის.

პირადად თქვენც გთავაზობთ ბოლო წინადადებას. უახლოეს 2-3 დღეში მკაფიოდ და ცალსახად განაცხადეთ, უარს ამბობთ თუ არა კონსტიტუციურ დიქტატურაზე და უჭერთ თუ არა მხარს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის აკრძალვას. თქვენი წინმსწრები მკაფიო პასუხი კი იმიტომ არის საჭირო, რომ პოსტფაქტუმ არ დაიწყოთ ლაპარაკი იმაზე, რომ თქვენც მხარს უჭერდით ამ ცვლილებას, ისევე, როგორც დღეს ამტკიცებთ, თითქოს პრემიერის სავარძელში გადაჯდომაზე არც არასოდეს გიოცნებიათ", – ნათქვამია მიმართვაში.

გიგი უგულავა ომში მიდის?!

"უგულავა ბოლო დროს ძალიან არეულია. წესით, ასეც უნდა იყოს, მაგრამ ვის ატყუებს, რომ თურმე არ ეშინია"

"თბილისის მერია სამყაროს ჭიპი ხომ არ არის?"

"თუ ჩემი ქვეყნის თავისუფლების გზა გადის ომზე, მე მზად ვარ წავიდე ომში, თუ ჩემი ქვეყნის თავისუფლების გზა გადის ციხეზე, მზად ვარ წავიდე ციხეში. თუ ჩემი ქვეყნის თავისუფლების გზა გადის სიკვდილზე, მე მზად ვარ წავიდე ამაზე, მაგრამ გიჟურ, შიზოფრენიულ ჩანასახოვან დიქტატურას არ შევეგუები", – განაცხადა თბილისის მერმა გიგი უგულავამ მას შემდეგ, რაც გამოძიებამ ის რიყესა და ტელეკომპანია **"იმედთან"** დაკავშირებულ მაქინაციებში ბრალდებულად ცნო. უგულავას პროკურატურაში დაკითხვის პარალელურად **"ნაციონალურმა მოძრაობამ"** "ივანიშვილისაგან თბილისის დასაცავად" აქცია გამართა. რისკენ არის მიმართული **"ნაციონალური მოძრაობის"** ბოლოდროინდელი აქტიურობა, ამის შესახებ ფსიქოლოგიის პროფესორ **მარინა ბალიაშვილს** ვესაუბრეთ:

– როდესაც უგულავა ქვეყნის თავისუფლებისთვის ციხეში წასვლასა და სიკვდილისთვის მზადყოფნაზე ლაპარაკობდა, აბსოლუტურად არაადეკვატური იყო. აფერისტობდა, ცდილობდა, თავისი მაქინაციები, ფულის კეთება და სიბინძურე პათეტიკურ სამოსში გაეხვია და თავი დევნილად, ტანჯულად წარმოეჩინა. უგულავა ამბობს, იმის გამო მედავებიან, რომ ხალხს ხელფასს ვაძლევდიო. რატომ აძლევდა ბიუჯეტის ფულს კოორდინატორებს, ვინ მისცა ამის უფლება? ამათი უბადრუკობა მაკვირვებს. რა ეგონა უგულავას, მუდმივად იქნებოდა თანამდებობაზე? ის სტიქაროსანი იყო და რით ვერ გაიაზრა ქრისტიანული რელიგიის არსი, რომ ამქვეყნად მარადიული არაფერია, უპირველესად, სულზე უნდა იზრუნო და არა ყოველდღიურ ყოფით საგნებზე.

გასაოცარი იყო თბილისის მერისა და პრეზიდენტის განცხადებები, თითქოს ივანიშვილის მთავარი ამოცანა თბილისის მერიის ხელში ჩაგდება ყოფილა. თბილისის მერია სამყაროს ჭიპი ხომ არ არის? უგულავამ თქვა, – მეცინება ხელისუფლების ბრალდებებზეო. ამ დროს სხეულის ენა და სახის გამომეტყველება სულ სხვას ამბობდა. კი არ ეცინებოდა, ეშინოდა. უგულავა ბოლო დროს ძალიან არეულია. ასეც უნდა იყოს, მაგრამ ვის ატყუებს, რომ თურმე არ ეშინია. ვერ ვხედავთ? ციხეში ჩასაჯდომად და სიკვდილისთვის მზად ვარო, როცა ამბობს, ტყუის. ნეტავ რისთვის არის მზად უგულავა, რომელიც თავის მუცელს, საკუთარ სიამოვნებასა და თავისი ცხოვრების გამრავალფეროვნებას გადაჰყვა. მისი განცხადებები ძალიან აღიზიანებს საზოგადოებას, იმიტომ, რომ არაგულწრფელობა ადვილად შესამჩნევია და ამას ვერავინ იტანს. სააკაშვილის გუნდში თვითშენარჩუნების, თავის გადარჩენის ინსტინქტი ამუშავდა და ჩასაძირი გემიდან ვირთხებივით გარბიან. არ მეგონა, თუ ასე სწრაფად დაინგრეოდნენ, როცა პრობლემა გაჩნდა, მაშინვე გაწყდა ჯაჭვი, დაიფანტნენ. **"ნაციონალური მოძრაობა"** დომინოს პრინციპით იშლება.

– "ნაციონალური მოძრაობა" არ აპირებს დათმობას, უგულავამ დედაქალაქი ფაქტობრივად ვანო მერაბიშვილს გადააბარა, როდესაც ვიცემერად დანიშნა.

– ვანოს ვერ მოჰკიდებენ ხელს თუ რა? ძალიან უცნაურად მეჩვენა, რომ უგულავამ მერაბიშვილს ჩააბარა თბილისის მერია...

– დასავლეთის რეკომენდებული კოჰაბიტაცია ძნელი მისაღწევი აღმოჩნდა მაშინ, როდესაც ხალხი სამართლიანობის აღდგენას, ყოფილი მაღალჩინოსნები კი ხელშეუხებლობას მოითხოვენ.

– სამართლიანობის ცნება ყველანაირ ურთიერთობას მსჭვალავს და ბალანსს ქმნის. იმისათვის, რომ მტკიცე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა არსებობდეს, აუცილებელია წონასწორობის დაცვა – რამდენსაც გასცემ, იმდენივე უნდა მიიღო. **"ნაციონალებმა"** კი ყველანაირი ბალანსი დაარღვიეს. რისი წაღებაც შეიძლებოდა, ყველაფერი წაიღეს და არაფერი დააბრუნეს. ახლა ვალების დაბრუნების დრო დადგა.

– რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში ხათუნა კალმახელიძის წერილი გავრცელდა, სადაც სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი წერს, რომ არ იცოდა, რა ხდებოდა ციხეებში. წამების ამბავი რომ მცოდნოდა, განგაშს ავტეხდიო.

– ვამჩნევ, რომ განკითხვის ჟამს ხელისუფლების არაერთი წარმომადგენელი თავს ისაწყლებს და მსხვერპლის როლს თამაშობს. რატომ არ იცოდა კალმახელიძემ, რა ხდებოდა მის სამინისტროში? განა ეს არ არის დანაშაული? მისი წერილი პასუხისმგებლობისაგან გაქცევის სურვილით არის ნაკარნახები და კარგად ჩანს მსხვერპლის როლის თამაშის სურვილი. მსხვერპლის როლი მანიპულაციის საშუალებაა. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში მსხვერპლის როლს დესტრუქციული როლი ჰქვია და მომგებიანია მისთვის, ვინც ამ როლს ირგებს, რადგან დანაშაულის გრძნობას აღუძრავს მას, ვის მსხვერპლადაც უნდა თავის წარმოჩენა. დანაშაულის გრძნობა კი არის ყველაზე ცუდი, დამთრგუნველი გრძნობა. ადამიანები კარგად იმიტომ ვიქცევით, რომ მერე დანაშაულის გრძნობამ არ შეგვჭამოს. ვინც მსხვერპლის როლს თამაშობს, არაკეთილსინდისიერი ადამიანია, რადგან სურს თავის ჭკუაზე ატაროს ის, ვის მსხვერპლადაც წარმოაჩენს თავს.

ხათუნა კალმახელიძე თავს ისულელებს, არაფერი ვიცოდიო. თუ ვერაფერს ამჩნევდა და ასეთი გულუბრყვილო იყო, რას დასთანხმდა ურთულეს სამინისტროში მუშაობას? სად მისი ამერიკული განათლება და სად ქართული ციხე? იქ ნასწავლი კანონები რომ თბილისის ციხეში არ გამოადგებოდა, ხომ უნდა მიმხვდარიყო? ასეთ თანამდებობაზე მთავარი გამოცდილებაა. **აშშ**-ში ფსიქოანალიტიკოსად არავინ გაუშვებს 23 წლის ახალგაზრდას, რაგინდ განათლებულიც უნდა იყოს. იქ მიაჩნიათ, თუ ცხოვრებისეული გამოცდილება არა გაქვს, ვერ იქნები ფსიქოანალიტიკოსიო... პატრონი არ ჰყავდა კალმახელიძეს, რომ არ უთხრა, სად მიდიოდა?

ნიურნბერგის პროცესზე ნაცისტები, რომლებიც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში იყვნენ ბრალდებულნი, აცხადებდნენ, არ ვიცოდი, რა ხდებოდა, მე პატარა კაცი ვიყავი, ფიცი მქონდა მიცემული და რასაც მავალებდნენ, იმას ვაკეთებდიო. არავის უთქვამს სასამართლოზე, მინდოდა ხალხის წამება და ვაწამებდიო. რაიმეს არცოდნა პასუხისმგებლობისაგან არავის ათავისუფლებს.

ხათუნა კალმახელიძის მსგავსად, მანიპულაციის სურვილი ჩანდა გურამ დონაძის სატელევიზიო გამოსვლაში, 9 წელი მკვლელს მეძახდნენ... თუკი ჩემი არ გჯერათ, მომკალით, ჩამქოლეთო. დონაძე მაშინ იმას აკეთებდა, რასაც ავალებდნენ და ამით თავის კარიერას იწყობდა. ახლა ითხოვს, რაც იყო წარსულია, მაპატიეთო... ხალხს წონასწორობის აღდგენა უნდა, საზოგადოების წესრიგი იმაზე დგას, დაუსჯელი არავინ დარჩეს.

– მაგრამ სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას უცხოელი პარტნიორები ხშირად პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დევნად აფასებენ.

– ვინც ამას ამბობს, ლობირებული და ნაყიდია. თავიანთ ქვეყნებში რატომ არ ითხოვენ დამნაშავის დაუსჯელობას? დასავლეთში რატომ არავის არაფერს არჩენენ? ვიღაც ნაყიდი ჩინოვნიკები გველაპარაკებიან ისეთ თემებზე, რაზეც წარმოდგენაც არა აქვთ. მათ დავუჯეროთ და არ დავუჯეროთ საკუთარ ყურს და თვალს?

– 19 აპრილს "ნაციონალური მოძრაობის" აქციის დაანონსება რას ემსახურება?

– ესეც მანიპულაციაა. უნდათ აჩვენონ, ჩვენც გვყავს მხარდამჭერები, გარიყული არა ვართ და საქართველოში მშვიდად ცხოვრების უფლება გვაქვსო. ეს ძალის დემონსტრირების სურვილია, დესტაბილიზაცია სურთ, მაგრამ ამისთვის ჯერ მზად არ არიან, იციან, რომ პასუხს მიიღებენ. **"ნაციონალური მოძრაობა"** დღეს საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს, სააკაშვილი კი უთავმოყვარეო ადამიანია. ხალხს არ უნდა და მაინც არ მიდის. თუ წავა, ხალხის გულსაც მოიგებს, მაგრამ თავმოყვარეობადაკარგული ადამიანი ცხოველივით არის, – ვერ ხვდება რაღაცებს და ასეა სააკაშვილიც.

ი. რიკაძე

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-209

გამოკვლევამ დაგვანახა, რომ ტაბალთუბალის მონათესავე ტომიც – მასნაკა – მოსენიკი იმავე შტოს, სახელდობრ მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდა; მათ შორის მხოლოდ მცირედი განსხვავება იყო: ტაბალი მეგრულ ჯგუფს ეკუთვნის, მოსნაკა-მოსენიკი კიდევ ჭანურ-ლაზურს.

ქართული შტოს მეხები – მესხები, ტაოხები ანუ ტაოელნი, ჯავახები, კახნი-სომხნი და ის პატარა ტომები ეკუთვნიან, რომელნიც ახლა ქართველ მთიულებად ითვლებიან.

სვანურ შტოს წარმომადგენლად ჯერ-ჯერობით მარტო თვით სვანები არიან, მაგრამ ძველად უეჭველია ამ შტოსაც ბევრი სხვა ტომები უნდა ჰკუთვნებოდა. (**ივ. ჯავახიშვილი,** ქართველების სამი შტო, ჟურნ **„აია“,** 2001, №9-10, გვ. 4-7. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომიდან მოტანილი გვაქვს ვრცელი ამონარიდი (ამონაწერი), რადგან ამ გამოჩენილ მეცნიერზე უკეთესად ვერავინ იტყვის. ქვემოთაც ვაკეთებთ ვრცელ ამონაწერებს დიდი მეცნიერის ნაშრომიდან ჩემი დებულებების (ლაპარაკი კოლხლაზ-მეგრელებზე) დასამტკიცებლად, რადგან მკითხველი ივ. ჯავახიშვილის ნათქვამს (აფორიზმივით ჩამოქნილ დებულებებს) ყველაზე უკეთესად გაიგებს.).

ერთი ცხადი და შეურყეველი სამეცნიერო საბუთი, რომ კავკასია ქართველი ერის თავდაპირველი სამშობლო არ ყოფილა, რომ უძველეს დროს ქართველებს კავკასიაში არ უცხოვრია. სად იყო ქართველი ერის თავდაპირველი სამშობლო, ამის შესახებ საისტორიო საბუთებში, რასაკვირველია, ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ამ საყურადღებო საგნის გამორკვევაში თვით ენა გვშველის. ჩვენი ეროვნების სხვა და სხვა ტომთა სახელებში ჩვენი ერის უძველეს ბინადრეებისა და სამშობლოს სახელია შენახული. ავიღოთ მაგალითად სიტყვა **„ქართული“, „ელ“** სადაურობის ანუ ჩამომავლობის აღმნიშვნელი სიტყვაა, როგორც მაგალითად: გორელი, თელაველი, ჯიხაიშელი, ოკრიბელი და სხვ.... მაშასადამე, სიტყვა **„ქართულის“** პირველი ნაწილიც **„ქართუ“** ქვეყნის სახელი უნდა იყოს. განვიხილოთ ეხლა კარდუხების სახელი, რომელთა ქვეყანაშიც მდინარე კონტრიატი, კონტრიში (კონტირი მეგრულად კიტრია, კინტრიში ე.ი. კიტრის კუთვნილება – კ.შ.), დიოდა. სიტყვა **„კარდუხი“**-ც ჩვეულებრივ ეროვნების აღმნიშვნელ საკვეცი **„ხი“**-თი ბოლოვდება; მაშასადამე, სიტყვა **„კარდუ“**-ც ქვეყანას უნდა ნიშნავდეს და **„ქართუ“**-ს უდრის.

ამგვარად, დაკვირვებამ დაგვარწმუნა, – წერს ივანე ჯავახიშვილი, – რომ ქართლურ-მეგრულ შტოს ტომებს საკუთარ სახელებში (ქართული, კარდუხი) ერთი და იგივე ქვეყნის სახელი გვხვდება. იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უეჭველია იგი ქართველების თავდაპირველი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო.

ამ სამშობლოს ხსოვნა ქართველების მესამე შტოს წარმომადგენელებს სვანებსაც აქვთ შერჩენილი. სვანეთში ეხლაც მოიპოვება რამდენიმე სოფლის საზოგადოება, რომელსაც **„კალდუ“** ანუ ხალდე ჰქვიან. ერთი სიტყვით, ხალდე ანუ ქართუ ჩვენი ეროვნების თავდაპირველ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ეს კარდუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის...

რასაკვირველია, ქართველებს ქალდეაში უძველეს დროს უნდა ეცხოვრათ. ჯერჯერობით დაახლოებითაც კი ვერ ვიტყვით, როდის ჰქონდათ აქ ქართველებს მოსახლეობა და რა დროს აყრილან იქიდან. (ისტორიისათვის ცნობილია, რომ ქალდეა, დღევანდელ ერაყის ტერიტორიები კოლხთა (იგივე ქართველთა) საცხოვრისი იყო. სწორედ აქედან იწყება ჩვენს სამყაროში, კაცობრიობის განვითარების, ცივილიზაციის, კულტურის, რელიგიების ისტორია.).

პატრიარქმა კირიონ II-მ ოფიციალურად ერთერთმა პირველმა განაცხადა, რომ ქართველნი არიან ქალდეველნი (ჩვენ მითებული გვაქვს უძველეს დროში ქალდი-მეგრელთა **„იმპერიის“** არსებობაზე კ. შ.) და მიესალმა ევროპული მეცნიერების აღმოჩენას ამ საკითხში – ფრაგმენტი კირიონ II-ს წერილიდან სათაურით **„ქალდიის აღმოჩენის მნიშვნელობა ქართველთა საწყისი ისტორიისათვის“:**

„ჭეშმარიტად უზარმაზარი შრომა გასწიეს დასავლეთ ევროპის მეცნიერებმა. პატივი და დიდება მათ!.. ვიყოთ მათი მადლიერი ჩვენ ქართველები!“

აქედან გარკვევით ჩანს კირიონ II-ს თვალსაზრისი, რომ ქალდეველები ისტორიის, კაცობრობის საწყისნი არიან. მას მტრებმა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ერთიანობისათვის, ჭეშმარიტი ისტორიისათვის ბრძოლა ვერ აპატიეს გამყიდველმა ქართველებმა – 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტრის საპატრიარქოს რეზიდენციაში ტყვიით მოკლული იპოვეს.

ასევე, მიხაკო წერეთელი წიგნში **„ერი და კაცობრიობა“** წერდა:

„ქართული ენა სამი შტოსაგან შესდგება: ქართლურისაგან, რომლითაც ლაპარაკობენ ქართლ-კახელები, იმერლები, გურულები, მესხები, მთიულნი და სხვანი,– მეგრულისაგან, რომლითაც ლაპარაკობენ მეგრელები და ჭანები და სვანურისაგან, რომლითაც სვანები ლაპარაკობენ. მიუხედავად ამისა, – ქართული ენა ერთია, ერთისა და იმავე აგებულებისა, ერთისა და იმავე ძირისა. უძველეს დროს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ალბათ, მწერლობაც იქმნებოდა ქართული ენის რომელიმე შტოზე, მაგრამ ჩვენს დრომდე მხოლოდ ქართულ ენაზე განვითარებულ მწერლობას მოუღწევია და დღესაც ეს ენა არის ჩვენი საერთო სამწერლო კულტურული ენა. ყოველ შემთხვევაში უკვე ქრისტეს წინად არსებობდა ჩვენი ენის ან-ბანი და მთელი საქრისტიანო ეპოქის განმავლობაში ეს ენა იყო ჩვენი ეროვნული საუნჯე, ერთადერთი ლიტერატურული ენა.

ქართველი ერი ერთია ლინგვისტურად, მას აქვს სამი ერთისა და იმავე ენიდან წარმომდგარი დიალექტი, ხოლო სამწერლო ენად შეიძლება უძველეს დროიდან მეგრული ან სვანური ყოფილიყოს, – ოც საუკუნეზედ მეტი და ახლა კი ქართული დიალექტი იყო და არის ჩვენი საერთო, ეროვნული, კულტურული და სალიტერატურო ენა“.

ტაბალის ქვეყანა დიდი უნდა ყოფილიყო: მეფე სალმანასარის სიტყვით მას 25 ტაბალელი მეფე აძლევდა ხარკსა; ამის გამო უეჭველია, რომ ზემოხსენებული მეფე ამრის სამფლობელო მთელი ქვეყნის მხოლოდ ერთი ნაწილი იქნებოდა; იგი სახელდობრ ბიტ-ბუსუტას მფლობელი უნდა ყოფილიყო; იმიტომ, რომ მატიანებში მეფე ამრისი ტაბალის მეფედ იწოდებოდა.

დიდი ივანე განაგრძობს თხრობას და მიუთითებს, რომ ჰეროდოტეს შემდეგ ქართველი ტომების ვრცელი აღწერილობა ბერძნების ისტორიკოსმა ქსენოფონტემ დაგვიტოვა, მიუთითებს: ტიბარენის აღმოსავლეთით ხალიბები ცხოვრობდნენ; იმათი ქვეყანა უმეტეს წილად მთიანი იყო და რკინის მადნით განთქმული... კოლხების ქვეყნის აღმოსავლეთის საზღვარი, ქსენოფონტეს მოხსენებული არა აქვს. ქალაქები ტრაპიზონი და ფარნაკია კოლხების ქვეყანაში შედიოდა.

1203 წელს სამშობლოში ჩამოსული საზღვარგარეთელი ქართული სავანეების მოღვაწე ბერები თამარ მეფემ დიდძალი ოქროთი დასაჩუქრებული გაუშვა, და, როდესაც ბიზანტიის კეისარმა ალექსი III (1195-1203) ანგელოსმა ქართველი სამღვდელონი კონსტანტინეპოლში გაძარცვა, კეისრის ავაზაკობით გაცოფებულმა და განრისხებულმა თამარმა უფრო მეტი ოქრო გაუგზავნა ბერებს. სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი და პონტოსკენ გააგზავნა აგარ კეისრის დასასჯელად. ქართველმა ჯარებმა ლაზია, ტრაპიზონი, ლიმანი, სამსუნი, კერასუნტი, კოტიორა (კიტიორას), ამასტრია ყოველნი ადგილნი ფეხლადონიისა და პონტოსანი დალაშქრა. ქართველები 200 კმ-ზე იყვნენ კონსტანტინოპოლიდან, მაგრამ კეისარს მათთვის არ ეცალა – ჯვაროსნები უტევდნენ. თამარმა ბიზანტიელთაგან გაანთავისუფლა პონტოს ქვეყანა და დააარსა ყმადნაფიცი საკეისრო ტრაპიზონისა. მმართველად დასვა თავისი გაზრდილი ალექსი კმენოსი და თანამმართველად ძმა, დავითი დაუნიშნა. ალექსი ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტი იყო, თამარის ნათესავი. ალექსის პაპა ანდრონიკე თამარის მამის, გიორგი III-ის მამიდაშვილი იყო. კომნენოსები 2-3 წლისანი ჩამოიყვანა ანდრონიკემ საქართველოში და თამარს მისცა აღსაზრდელად. მათი დედაენა ქართული იყო, ცნობიერება და ცხოვრების წესი – ქართული. ისინი უფრო ქართველი დიდებულები იყვნენ, ვიდრე ბიზანტიელები.

ტრაპიზონის იმპერიაში ლაზური (ქართული) ტენდენციები ბატონობდა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა თბილისი. ტრაპიზონის მეფეთა სულისკვეთება მთლიანად და სავსებით საქართველოსკენ იყო მიმართული. სამეფო კარზე ქართული დიდებულები და მრჩevelები ჭარბობდნენ.

ტრაპიზონის სამეფო ნაწილი იყო სრულიად საქართველოს იმპერიისა, მისი ყმადნაფიცი.

თამარმა პირველმა დაიპყრო ბიზანტიის იმპერია, ქართული მიწებიც წაართვა და ახალი სამეფოც დაუარსა ცხვირწინ... მაგრამ იმის მაგივრად, რომ მრავალი საუკუნეების განმავლობაში (VIII-XI საუკუნეებში ეს ქვეყნები ბიზანტიელი კეისრების ხელში იყო და ქართველებმა მხოლოდ XIII საუკუნის დასაწყისში შემოიერთეს – კ. შ.) ქართველებზე დაშორებული და მოწყვეტილი ღვიძლი ძმები ლაზები და ჭანები ქართველობისაკენ მოებრუნებინა და დაპყრობილი ქვეყანა საქართველოს სამეფოსათვის მიემატებინა, თამარ მეფემ ტრაპიზონის სამეფო დააარსა და თავის ნათესავს ალექსი კომნენს ანდრონიკეს შვილს უბოძა, როცა შემდგომში ეს სამეფო ოსმალებმა დაიპყრეს, მაჰმადიანობამ ლაზებს შორის ფეხი მოიკიდა და გადაგვარებას ხელი შეუწყო. ამისდა მიუხედავად ბევრ მათგანს ეხლაც თავისი დედაენა არ დაუკარგავს და ლაზურად ლაპარაკობს. ინგლისის კონსული ვ. ჯიფფორდი პალჰერი 1868 წელს ტრაპიზონში დაწერილი მოხსენებაში ამბობს: ტრაპიზონის ვილაიეთში, რომელიც შეკვეთილიდან იწყება და ყიზილ ირმაყამდის (ძველი ღალისი) გასტანს, ოფიციალური ცნობით 850 ათასამდე მცხოვრებია, მათ შორის 56 ათასი ქრისტიანია, - მაჰმადიანები განსაკუთრებით ლაზები არიან, ხოლო თვით ლაზისტანში ლაზების მეტი არავინ ცხოვრობს. თერევას კაიამაკში (ოლქი), ქ. კერასუნტისკენ, ერთ მაზრაში (კაზა) განსაკუთრებით ლაზები ცხოვრობენო.

ამგვარად, თუმცა ლაზურ-ჭანურ შტოს ერთმა წილმა დედაენა შეინარჩუნა, მაგრამ ქართველი ტომების საერთო სახელმწიფო და სახოგადოებრივ ცხოვრებას მოწყდა და ამის გამო საქართველოს მერმინდელი ისტორიისათვის მათმა არსებობამ უნაყოფოდ ჩაიარა, წერს ივანე ჯავახიშვილი. ამ დებულებას ექვთიმე თაყაიშვილი არასწორად მიიჩნევს.

ეს გარემოება განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. VII საუკუნიდან ქრწინ მოყოლებული შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაპირებისა და მის მოსაზღვრე ქვეყანაში არასდროს, თამარ მეფის ლაშქრობის გარდა, ქართველების ბატონობას ფეხი არ შეუდგამს და არ მოუკიდნია; მაშასადამე, ქართველებს არც შეეძლოთ, რომ აქ თავიანთი ენა რაიმე გზით გაევრცელებინათ, პირიქით, სპარსების, ბერძნების, რომაელების, ბიზანტიელების, სელჯუკების და ოსმალების ხანგრძლივ ბატონობას თავისი კვალი უნდა დაეტოვებინა ადგილობრივ მკვიდრთა დედაენაში და მოსალოდნელიც იყო, რომ მათ თავიანთი დედაენა დავიწყებოდათ. თუ მრავალ უცხოელთა ხანგრძლივ ბატონობის მიუხედავად აქ მაინც ლაზურ-ჭანური ლაპარაკი ეხლაც ისმის, ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი საბუთია და მომასწავებელი, რომ ლაზურ-ჭანური აქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენნი, მოსონიკები, დრილები და სხვანი სწორედ ლაზურს – ჭანურს ლაპარაკობდნენ, რომ ყველა ისინი ქართველ ეროვნებას ეკუთვნოდნენ.

სტრაბონის დროს კი, ესე იგი პირველი საუკუნის დამდეგს, კოლხიდა დიდ სამეფოდ ითვლებოდა და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ეპყრა.

სტრაბონი მოგვითხრობს, რომ ფაზისის ზღვაში შესართავთან ამავე სახელის ქალაქი და ნავსადგური ძევს; მას ერთი მხრით ზღვა აკრავს, მეორე მხრით მდინარე, მესამე მხრით ტბაო. აღწერილობა იმდენად ცხადია, რომ შეუძლებელია იგი ახლანდელ ფოთად არ ვაღიაროთ, რომელსაც პალიასტომი, რიონი და ზღვა არტყია. (**ივანე ჯავახიშვილი,** ქართველების სამი შტო, ჟურნ. **„აია“,** 2001, №9-10, გვ. 8-14.).

ივანე ჯავახიშვილი წერს: **„კოლხეთის მოსახლეობა მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდა. პლინიუსი ამბობს, ზღვის პირას ჰენიოხები** (რომელსაც იგი სანების, ანუ ზანების ტომად სთვლის)**, ლაზები და შემდეგ კოლხების ტომები ცხოვრობენო.“**

პტოლომეს (**ივ. ჯავახიშვილის** მიერ ნახსენები პტოლომე – პტოლომეუსი (კლავდიოს პტოლემაოსი დაახლოებით 100-178) იყო გამოჩენილი ასტრონომი და გეოგრაფოსი ელინისტური ხანისა. მისი **„გეოგრაფიის სახელმძღვანელო“** შეიცავს დიდად საყურადღებო ცნობებს კოლხეთის შესახებ.). სიტყვით ზღვის პირას კოლხიდაში ლაზები ცხოვრობდნენ, იმათ ზემოთ მეგრელები და ეგრისში მოსახლე ტომებიო! პირველ საუკუნეს ქრ. შემდეგ კოლხიდაში ლაზებისა და მეგრელების ტომები ცხოვრობდნენ; ძველად, როგორც ეტყობა, უპირატესობა და ძალა კოლხების ხელში ყოფილა, – ეს იქიდან ჩანს, რომ მათ მთელ ამ ქვეყანას თავიანთ ტომის სახელი – კოლხიდა – მიანიჭეს; მერე ლაზები გაძლიერებულან და ამავე ქვეყანას ლაზიკა დაერქვა.

ივანე ჯავახიშვილი შემდეგ ამბობს: პლინიუსის და პტოლომეს ცნობები ამტკიცებენ, რომ კოლხიდაში მხოლოდ მეგრულ-ლაზური შტოს წარმომადგენელი ტომები ცხოვრობდნენ, მაგრამ მას ცოტა არ იყოს ის გარემოება არღვევს, რომ ეხლა ამ ადგილებში, სახელდობრ, გურიასა და იმერეთში მეგრელები კი არა, ქართულია გაბატონებული. გურულები და იმერლები მეგრულ-ლაზების მიწა-წყლის შიგ შუაგულში არიან შეჭრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთმანეთისაგან აშორებენ. ამის მიუხედავად, ჩვენი ზემოთაღნიშნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად მთელი კოლხეთის მიწა-წყალი მხოლოდ მეგრელ-ლაზებს ეკუთვნოდა, მაინც შეურყეველი რჩება იმიტომ, რომ გურიის საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ეხლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო: ბევრი სოფლებისა და მდინარეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არადა მათ ცხადია მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ. მაგალითად: ჯიხანჯირი, (ჯიხა-ციხე), ჯუმათი, ჭყონგვარი (**ჭყონი-მუხა-ლრაკონ**), მდ. **ოჩ**ხამური (ოჩხამური, ო+ჩხამური ჩხომი-თევზი, როგორც ოკალმახე), **ო**ჭილაური (ო+ჭილა+ური- საჭილაო), ჭყვ**ი**ში, ჭყვ**ი**შაური, **ჭან**იეთი, მდ. **გუ**ბაზეული, მდ. კინტ**რი**ში, **ო**ნჭიკეთი და სხვა. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის, ცხადია, მხოლოდ მეგრულ-ლაზურ შტოს ტომებს შეუძლიათ. მაშასადამე ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში, მეგრელებისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მარტო გურიაში კი არა, ეხლა ცხენის წყალი სამეგრელოს აღმოსავლეთის საზღვრად ითვლება; შემდეგ აგრძელებს: საგეოგრაფო სახელები კი ამტკიცებენ, რომ ამ მდინარის აღმოსავლეთითაც თავდაპირველად მეგრელებს უცხოვრიათ; მაგალითად: სოფ. **ჯიხ**აიში (ჯიხა-ციხე), ჩხე**ნიში**, კულა**ში**, ნა**ჯიხ**ევი, (ნაციხევი). ქუთაისის ჩრდილოეთითაც, მდ. რიონის მიდამოებიც ძველად მეგრელებს უნდა სჭეროდათ; იქაც ასეთი საგეოგრაფო სახელები გვხვდება, როგორც მაგალითად: **ჯიმ**ასკარა (ჯიმა –ძმა), **ო**ფურჩხეთი, ვანჭეი**ში**, ტყვ**ი**ში, ნავოროლ**ეში**, გვერ**ი**ში, სურმუ**ში**, კორ**ენ**ი**ში**, **ო**კრიბა და სხვა. თვით პლინიუსიც ამბობს: რიონი მეგრელების მიწაზე დიოდაო. **საგეოგრაფიო სახელების შესწავლა მაშასადამე, უეჭველს ხდის, რომ მთელი ის მიწა-წყალი, რომელიც კოლხიდის საზღვრებს შუა იყო მოქცეული, თავდაპირველად მხოლოდ მეგრულ-ლაზურ შტოს ტომებს ეკუთვნოდა.**

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

უახლესი ცნობები შოთა რუსთაველზე

სამწუხაროდ, მხოლოდ 3 წელს გაგრძელდა შიო-თამარის ერთობლივი თანამოღვაწეობა. 1213 წლისათვის დიდად მოჭირნახულე თამარმა მშვიდად განისვენა დ კეთილი ხსოვნა არს მისი წინასაკუნ, აწ და მარადის. მეფის ცხედარი შოთამ დააბალზამა, დროებით მცხეთის სვეტიცხოველში დაასვენა. გაზაფხულზე კი ქუთაისს წაასვენეს და ბაგრატოვანთა დიდებულ გელათის პანთეონის მეფეთა ეკუდერში დიდის პატივით დაკრძალეს. მეფე იოან-შოთა-დადიან რუსთაველი ავტომატურად გარდაიქცა ბერად გელათში და იქ დაკრძალულ მეფე-პატრონთა, მათ შორის თამარის საფლავის მწირველად, როგორც ეს მოხსენიებულია ნარინ დავითის მეუღლე და დედოფალ-ყოფილ თამარის დაწერილში, სადაც ცხადად ჩანს ისიც, რომ თამარის საფლავის მწირველი 1260-1288 წლებში იყო ილარიონ ფავნელი და, მაშასადამე, ლაშა გიორგის დედამისი არსად გადაუსვენებია.

სიცხადის, სიზუსტი და წარმოდგენილ მტკიცებათა სიმყარისათვის ბარემ, აქვე გავაცხადებთ თამარ მეფის სახელმწიფო და სასულიერო იერარქიის შემდგომ ცვალებადობას. როგორც აღინიშნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ანტონ გლონისთავისძე 1210 წელს შესცვალა იოან ვარდანის ძე დადიან-შოთა რისთაველმან, რომელსაც 1213 წელს შეენაცვლა დავითი 1220-მდე, შემდეგ იყო არსენ ბულმაისიმისძე 1230-მდე, მერე კი არსენ აბულხოტრისძე 1245-მდე, ხოლო 1245-1260 წლებში ბასილ უჯარმელი; კათალიკოს-პატრიარქნი კი: 1210-1220 წლებში იქმნა ეპიფანე, 1220-1222-ში ექვთიმე II, 1222-1225-ში არსენ III კურთლუარსლანყოფილი ჯაყელი-მარუშიანი, მერე გიორგი IV 1225-1230-ში.

სხვათა შორის ტიმოთე გაბაშვილი **"მიმოსვლაში"** მოგვითხრობს იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში მოხატულ მეფე მირიანზე, ვახტანგზე, ბაგრატ კურაპალატზე, მარიამ დედოფალსა და მის ნახევარძმა ლევან დადიანზე, ფილოსოფოს არსენ ვაჩნაძეზე, შოთა რუსთაველ-მეჭურჭლეთუხუცესზე და დასძენს: **"კედელთა ზედა წმინდა მამანი... ეხატნეს შარავანდითა და გვირგვინითა: ქართველნი წმიდა მარი მღვდელმოწამე, ჭუაის ძე, იოანე რეხვაის ძე, ფილოსოფოსი იოანე ჭიმჭიმელი, კათალიკოზი ქართლისა არსენი... და ღირსი კათალიკოზი ქართლისა იოანე..."**

ეჭვი არ გვეპარება, რომ ასეთ წმინდანთა და სახელმწიფო მოღვაწეთა გარემოცვაში მოხსენიებული ქართლის კათალიკოსი იოანე თბილისის ანჩისხატის არქიეპიეკოპოსი იოანეა რეკუენად წოდებული ოქრომჭედელი, რომელმაც **"ხელყო ანჩისხატი"** და მასზე გამოაქანდაკა თამარ მეფე და საკუთარი თავიც. ორჭოფთა დასარწმუნებლად გულდასმით მკითხველს შევახსენებ **"ვეფხისტყაოსნის"** 378-ე სტროფის პირველ ტაეპში ჩადებულ ავტორისეულ გულისთქმას: **"შენგან ჩემისა ქმრობისა წინადაც ვიყავ მდომია"**, ხოლო რუსთველოლოგთა მტკიცებით ნესტან-დარეჯანში თუ მართლა თამარ მეფე იგულისხმება და ტარიელში კი ავტორი – შოთა რუსთაველი, მაშინ ხელმწიფისა დამ ის დი ჩინოსან მოხელე-მგოსნის შეუღლება აშკარად რეალური სინამდვილეა, მით უმეტეს, რომ 494 სტროფის IV ტაეპში მათი ცოლ-ქმრობა ადათ-წესით დასაშვები და კანონზომიერი ქმედებაა. მაშასადამე, 1210 წლისათვის შოთა-თამარის შეუღლება უჩვეულო სენსაცია არაა და იგი დინჯად უნდა გავიაზროთ.

დაბოლოს, მწამს და ბუნებრივიც არის გულისხმიერი დაინტერესებულ-გახარებული, თუ განაწყენებული სერიოზული მკითხველი, მშობლიური კულტურის ისტორიის მოყვარე და ალბათ, სწავლული კოლეგა ან ჭირვეული ოპონენტიც იკითხავს, ანდა ზოგი შემოგვედავება კიდეც: რატომ არ აღიბეჭდა ასეთი ფრიად სენსაციური ფაქტი ძველ მწერლობაში, რატომ არ ჩანს მისი ნაკვალევი XIII საუკუნის ძეგლებში და არ შემოვრჩა რაიმე მერმინდელ წერილობით წყაროებშიო.

ჰაი, ჰაი, რომ არის ასეთი მონაცემებიც, მაგრამ მათ ძიება, მიგნება, აღმოჩენა, თავმოყრა და გამოკვლევა-გამოძიება ესაჭიროება, რაც კოლოსალურ ენერგია, შრომას, რუდუნებას, დროს და ცოდნას მოითხოვს. ამიტომ იძულებული ვართ საზოგადოდ და განსაკუთრებით **"უნდურწმუნო თომათა"** დასაოკებლად, დასამშვიდებლად და ჩვენს არგუმენტულ მოსაზრებათა ასამყარებლად ზოგიერთ მათგანს მოვუხმოთ, გავაცნობიეროთ ისინი და დავიმოწმოთ მოკლე ფრაზებითა და ფრაგმენტებით.

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავ, რომ ანგელოზთსწორი იოან ვარდანის ძე დადიანი, ანუ იგივე შოთა რუსთაველი ლაშა გიორგისთვის თუ მეფე-მეუფე და მამამთავარია, დავით ნარინის მეუღლის, არგვეთელ ამანელისძის ასულ თამარის დაწერილით იგი პატრიკთა ანუ მეფეთა გამზრდელი, თამარ მეფის საფლავის მწირველი და გელათის მონასტრის წინამძღვარია. ამანელიძის ასულ თამარის ორივე დაწერილის 1260-67 წლით დათარიღებას ვერ დავეყაბულდებით, რადგან პირველი შედგენილია ქორწინების წელს, მეორე კი რუსუდან მეფის აღსრულების (1245) შემდეგ. ნარინი დაბადებულია 1224-5წელს, დაქორწინებული კი უნდა იყოს 16-18 წლის ასაკში 1240-42 წელს. ამ დროს პატრონთა გამზრდელი ზალდასტანი და გელათში თამარ მეფის საფლავის მწირველი იოანე დადიან-შოთა რუსთაველი ცოცხალია. ამანელისძის ასულ თამარის პირველი მწირველი კი იოანე კანდელაკია, ხოლო თამარ მეფის საფლავისა – ილარიონ ფავნელი, მეფე ნარინის ზალდასტან-პროტოსფათარ იოან დადიან-შოთა რუსთაველის 1250 წელს აღსრულების შემდეგ. 1260 წლისათვის ნარინი 35-36 წლისა იქნებოდა და ამდენ ხანს მას უცოლოდ არავინ გააჩერებდა. ამიტომ პირველი დაწერილის თარიღი 1240, მეორისა კი 1250-60 წელი უნდა იყოს. გასარკვევია მწირველ კანდელაკზე სამყოფად მიცემული **"სახლი-პაპსეულნი"**-ს რაობა, ხომ არაა იქ **"პაპასეულნი"**?

საოცარი რემინესცენციები აღიძვრის ალმაცერი ნართაულებით და ოდიშ-იმერთა მიერ თამარ მეფის **"სძალოდ"** ხშირად მოხსენიებით. სურამელი გრიგოლ ვარდანის ძე დადიანი, ანუ იგივე ჩახრუხაისძე **"თამარიანში"** გადახვეწილ მეორე პოეტის მეუღლეს უწოდებს **"სძალს"** და მასში გულისხმობს თამარს, ხოლო სინას მთის ერთ მინჩხურ საგალობელში საცნაურად ეღერს: **"მიზეზსა მას მიზეზთასა მიზეზ ექმენ შენ ხსნისათვის ჩუენსა სძალო, ღირსად სანატრელო მარიამ... ყრმაი რა იშვა შენგან და ძე მოგუეცა დაუსაბამოი"**. ბრალთაგან დანთქმული დიუფალ-დიუფალი ხუაშაკი და ბედან დადიანი ხობის ხატზე გამოსახულ **"ხორცშესხმულ"** კაცის ქმნილ ღვთისმშობელს უწოდებენ **"სძალს"** და დედოფლად მოიხსენიებენ; ლევან მეორე დადიანიც კი მარტვილის ღვთისმშობლის ხატს **"სძალო"**-თი მიმართავს და თამარის იამბიკოს ავტორიც დედოფალ-პატრონს **"სძალო"**-ს ეძახის. XVIII საუკუნეში მესხიევისგან გადაწერილ ერთ ხელნაწერ იამბიკოში, რომელსაც შოთა რუსთაველისად შეცდომით მიიჩნევენ და სინამდვილეში მისი ძმის გრიგოლ სურამელ ჩახრუხაძისა უნდა იყოს, ვკითხულობთ:

"ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან, სძალო;

ბედ საიდუმლოდ ზენაისა განგებისად ძისა ღმერთისა,

ძედ მეშვ იქმენ არსთა მაცხოვნად მე

და თამარ მჩენი ტომთაგან დავითისებრთაით,

მამკევ, შემამკევ, მადიდე, აღმამაღლე,

აწ მეცა ხელვყავ შემკობად ხატსა თქუენსა,

დედისა ძითურთ და მეცა ძითურთ მფარველ".

საკმაოდ რთული, საიდუმლო და ჩახლართული კალამბურია, თანაც უთუოდ კონტამინაციაა და შოთას ნაზრევი არაა, რადგან თამარისადმია მიძღვნილი, ხოლო რუსთაველი შოთა სძალს ვერ უწოდებდა თამარს, რადგან **"ბედ საიდუმლოდ"** ძის მშობელია იგი, რითაც ავტორი **"მე"** და თამარი დავითიანთა ტომის გამომჩენნი არიან, ამასთან ბოლოს ისე გამოდის, თითქოს საერთო ძის, მშობლის და საკუთარ მფარველობას ითხოვს. ასეა თუ ისე თამარი იწოდება ქართველთა და არა ოსთა რძლად. ვენაში დაცულ ორიგინალური სტილის ხოტბაში მხედრული ხელნაწერი (A-65), რომელიც თითქოს ღვთისმშობელ მარიამისადმია მიძღვნილი, მაგრამ, რომლის ავტორი ფაქტობრივად მეფეს აქებს და ადიდებს, ხშირად გვხვდება **"სძალო"** და მით თამარი მოიხსენიება. ანონიმურ ამ **"ქებათაქებაში"** ჩანს **"ღელოვანნი"**, ხოლო ბოლო მინაწერის **"გრიგოლ ხუევარიძე"** სურამელი გრიგოლ ჭუახურხუაიძე დადიანია. ძალზე უცნაურია ბიზანტიელ მიხ. პანარეტის ნათქვამი ანდრონიკეს შვილზე (?): **"დიდმა კომენნსომა ალექსიმ 1204 წელს თავის მამის ძალუის დახმარებით და ქართველი იბერიელი ჯარით ტრაპიზონი დაიპყრა"**. საერთო არაფერი ჰქონდათ იოსებთან ალექსის წინაპარ კომნენებს: მამა მანუელს (1185), პაპა-იმპერატორ ანდრონიკე I-ს (1182-1185), დიდედა კატაი დავითის ასულს და დიდპაპა ისაკ ალექსის ძე კომნინს. რაშია საქმე?

ქართლსა და დასავლეთ საქართველოში თამარ მეფის რძლად სახელდების არსზე ზოგი ალბათ ვერას შეისმენს, მაგრამ გონიერი მწიგნობარნი თუ მოიმარჯვენებ **"ქართლის ცხოვრებას"**, ჩაწვდებიან რელიგიურ შინაარსში ჩადებულ რეალურ საცნაურ ცნობას: **"სამებისაგან ოთხად თანა-აღზევებულს"** და მიხვდებიან, რომ თამარს ოთხჯერ დაუდგამს გვირგვინი: მამამისის, გიორგი რუსის, დავით სოსლანის დროს და... მეოთხე წმინდა სამების ღვთიურ-ზეციური ჰიპოსტასი კი არ არის მხოლოდ, არამედ რეალური ცხოვრებისული სინამდვილე. ბარათაშვილისეულ **"ქართლის ცხოვრება"**-ში პუნქტუალური გადამწერი ფოლიანტის აშიაზე მიგვანიშნებს: **"...მოკუდა რუსუდან მეფე... ამა დროსა ალასტანელისა შვილი დავიტ მეფე მივიდა ყაენს წინაშე მეფობისა გამოსათხოვრად"** (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 207) ალასტანელ მეფეებზე გამართულ კამათში არ ჩავერთვებით გამოთქმულ არგუმენტთა უსუსურობის გამო და მხოლოდ დავსძენთ: გიორგი ლაშას ალასტანელობა მხოლოდ თამარის ძალუობაში, ოთხჯერ თანაადზევებაში, მანდატურთუხუცეს ჭუიაბერ იოანე ვარდანის ძე დადიან-შოთა რუსთველის და თამარის სამიჯნურო თილისმაში, **"ვეფხისტყაოსნის"** ავტორის მარმესხურ წარმოშვებაში, მეფურ ზალდასტანობასა და მამადქმნილობაში უნდა ვეძიოთ.

შოთა რუსთაველის ცხოვრება-მოღვაწეობის ვრცელ მატიანეს ავსებს მანგლისთან, სოფელ თონეთში დაცულ აძიკუის ეკლესიაში შემონახული ბარელიეფი წვერიან დიდებულ ჩინოსანთა გრძელსამოსიანი 4 შეხრილხელებიანი მამაკაცის გამოსახულებით. მისი წარწერა ღაღადებს: **"ქ. ადიდე შოთა და გამრეკელ და ბეშქენ და ვარაზ-ბაკურან"...**

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ვარაუდით ისინი ორბელები კი არა, სხვა ფეოდალური სახლის შვილები არიან, რომლებიც მეფემ შეიწყალა და ქართლის ეს მხარე სამმართველოდ უბოძა. ექვთიმე თაყაიშვილს, პავლე ინგოროყვას, ნიკო ბერძენიშვილს ბარელიეფის შოთა სრულიად მართებულად რუსთაველად მიაჩნდათ. გამრეკელი შესაძლოა თორელი ამირახორყოფილი თამარის ამირსპასალარია, რომელიც 1190-91 წელს გარდაიცვალა და ამიტომ იგი უფრო მეორე გამრეკელ-თორელია, რომელიც მონღოლებს მიენდო და სამმართველოდ ჯავახეთი მიიღო. ეს პოლიტიკური აქცია გამოსჭვივის ბარელიეფის მამაკაცთა შეხრილ ხელებში. წარწერაში მოხსენიებული მესამე პირი ბეშქენი მანგუ ყაენთან ყარაყორუმში მისულ დავით ულუს თანმხლები ბეშქენ ამირეჯიბია, რომელთაც თან ახლდათ გამრეკელი-თორელი და სურამელ დადიანთა რომელიღაც წარმომადგენელიც: ძნელი დასადგენია მეოთხე პერსონა ვარაზ-ბაკური, რომელიც ჩვენი გუმანით მარუშიანთა გვარის დიდმოხელე ჩანს. აძიკურ-აზიკურის (შეადარე – ზიკურატს) ეკლესიის ბარელიეფზე ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეთა შორი შოთა რუსთველის გამოსახვა დასტურია იმისა, რომ იგი ხანდაზმულობაშიც დიდჩინოსანი პერსონა იყო და უნებურად ტლანქ-პოლიტიკურ მოძალადის მორჩილებაში იმყოფებოდა დრო-ჟამამდე, კოხტასთავის შეთქმულებამდე.

1210 წლამდე შეთხზულ-შედგენილ **"თამარიანში"** მეფე ქალს მკაცრად საყვედურობენ: **"შენ მწუნები ხარ"**, მაგრამ შემდგომ მსგავსი აღარსად შემხვედრია, რაც 1210 წელს სასახლის კარზე მომხდარი ქორწინებითი აქტის ირიბი მიმანიშნებელი და თამარის სნეულებისას მეფის კალთას შეფარებულ სასულიერო და საერო ძალით მოსილ **"თითქმის მეფე"** იოან დადიანის, მარუშიანთა ღირშესანიშნავი მგოსნის და სახელმწიფო მოღვაწის აპოთეოზი გახლდათ. მაგრამ აპოგეას ჯერ მიღწეველი, რომლის ზენიტი თამარის აღსრულების შემდგომმა წლებმა განუპირობეს.

ქართული უნიკალური პოეზიის კორიფის და გენიალური მგოსნის ვინაობა-სადაურობის, ემპირული ცხოვრებისა და შემოქმედების გრანდიოზული ეპიკური პალიტრა XIX საუკუნეში, განსაკუთრებით ჩვენს დროს მოეფინა აღმოსავლეთ-დასავლეთ ქვეყნების ცივილიზებულ არეალს, დიდ ქალაქებსა და კულტურის ცენტრებს. **"ვეფხისტყაოსნის"** თავები ან ოპტიმალური მონაკვეთები თუ სტროფები ითარგმნებოდა სამეცნიერო-სამწიგნობრო სავანეებში. მეზობელ ხალხთა გამოჩენილი პოეტ-აშუღნი ეცნობოდნენ, სწავლობდნენ, განიხილავდნენ და აღფრთოვანებულნი ლამაზი ეპითეტებით ამკობდნენ გურჯ-ქართველ-იბერი მგოსნის მომხიბლველ პოემას, საგალობლებს, პოეტურ ნიჭს. მოზრდილი ნაშრომის წინამდებარე რეტროსპექტულ რეზიუმეში შეუძლებელია რუსთაველზე საერთაშორისო კონგენიალური ეპოპეის წარმოსახვა თუნდ უსაზღვრო სიღრმის და სივრცის გამო, მაგრამ მცირედი ისტორიულ-რელიქტური ზოგი მასალა უთუოდ საინტერესო და საჭიროა ქართული მდადადი გენიის დიდება-გაცნობიერებისათვის. ჯერ კიდევ 1189 წელს მიცვალებულ და თავის ერთ ხოტბაში მყუდრო თავშესაფრად საქართველოს ნაჭარმაგევის და მუხრანის დამგულვებელ შირვანელ აშუღ ხაკანის მეტოქედ მის გულშემატკივარ ტრუბადურს, ჩვენი გამოკვლევით, მართებულად მიუჩნევია რუსთა ხარ-ერუსთა ვირი ანუ ივირ/იბერი (შეადარეთ – ივერი-იბერია, ივრის ხეობა) პოეტი, რომელსაც ჰიპოთეტურად რუსთველთან აიგივებენ და რომელიც, **"როგორც კალია, ისე სპობს სარწმუნოების ყანაზე აღმონაცენს"** ანუ ნიჰილიზმით ებრძვის მაჰმადიანობას (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის იატორია, თბ. 1958, გვ. 159-160).

(გაგრძელება იქნება)

შოთა მგოსანი მანდატურთუხუცესი. 1184-1198 (იბეჭდება პირველად)

როდის და ვინ გაარემონტებს პარლამენტის შენობას თბილისში?

გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის ადგილმდებარეობის საკითხი საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე კვლავ განხეთქილების ვაშლად რჩება. მთავარი კითხვა: ქუთაისი თუ თბილისი? – პასუხგაუცემელია, თუმცა, პარალელურად, რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობის რესტავრაციაზე უკვე გამოცხადდა ტენდერი; სატენდერო განაცხადების მიღება ახლახან, 19 თებერვალს დასრულდა; სარესტავრაციო სამუშაოებისთვის პირველ ეტაპზე მილიონ-ნახევარი ლარია გამოყოფილი. სატენდერო პირობებით, სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარულ დღეში უნდა დასრულდეს.

ამ საკითხზე პარლამენტის ხაზინადართა საბჭოს წევრს, დარგობრივი ეკონომიკის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძეს ვესაუბრებით:

– პარლამენტის ადგილმდებარეობა საკონსტიტუციო ცვლილებაზეა დამოკიდებული, ხოლო შენობა, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე მდებარეობს, კვლავ პარლამენტის ბალანსზეა და ჩვენ ვალდებულნი ვართ, მას მოვუაროთ, მოვაწესრიგოთ.

– არის გარანტია, რომ ტენდერი გამჭვირვალედ, მიუკერძოებლად ჩატარდება?

– რა თქმა უნდა, ტენდერი გამჭვირვალეა და ნებისმიერ პიროვნებას, კომპანიას აქვს მასში მონაწილეობის უფლება. მერწმუნეთ, სამუშაოები ამჯერად ხარის ხიანად ჩატარდება. ამის გარანტიაა სატენდერო პირობებიც; ჩატარებული სამუშაო კი საფუძვლიანად შემოწმდება.

– რა ბედი ელის პარლამენტის შენობას ქუთაისში?

– ეს ცალკე განხილვის თემაა. ცხადია, ქუთაისში პარლამენტის შენობას ბედის ანაბარა არ მივატოვებთ, მასზე დახარჯული მილიონები წყალში რომ არ გადაიყაროს. თუკი პარლამენტი თბილისში დაბრუნდება, ქუთაისის შენობაში რომელიმე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია განთავსდება, ამისათვის იქაც არის ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოები. შესაძლოა, ბინა დაიდოს კულტურულმა დაწესებულებამ ან რომელიმე რეგიონულმა ორგანომ; ვიდრე შენობას პატრონი არ გამოუჩნდება, არ მივატოვებთ.

ნ. კვიტაშვილი

გაზეთ "ილორი"-ს კომენტარი – მოკლედ, ვერ აუსრულა სააკიანცმა თავის შემკვეთებს საქართველოს პარლამენტისა და შემდეგ საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანის დაუძლეველი სურვილი, რათა შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს გადამთიელები დაპატრონებოდნენ. ამიტომაა რომ ახლაც ყბაამოგდებული ყრანტალებს: "ოღონდ პარლამენტს თბილისში ნუ გადმოიტანთ და ყველაფერზე თანახმა ვარო".

არავინ იცის, რამდენი თანხა დახარჯეს საქართველოს მიწების დაპატრონების მსურველმა სააკაშვილის უჯიშო თანამემამულეებმა საქართველოს ტერიტორიულად განახევრების საქმეს, მაგრამ ფაქტია, რომ ამჯერადაც ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში და სააკაშვილს, ალბათ, უკან მოუწევს ძღვენის დაბრუნება. ამიტომაც იკლავს იგი თავს – საქართველოს პარლამენტს ქუთაისიდან თბილისში ნუ გადმოიტანთო!

საუბედუროდ, გულდაარხინებულ ქართველთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდა ნაცებისა და მისი თავკაცის ანტიქართული გეგმების არსებობაში და შორიდან ადევნებს თვალს, თუ როგორ ემზადებიან რევანშისათვის ავადსახსენებელი ნაცები და მათი შეურაცხადი თავკაცი სააკაშვილი.

რა თქმა უნდა, ისინი ვერასოდეს ეღირსებიან თავიანთი ვერაგული განაზრახის აღსრულებას, მაგრამ ქართველებს მაინც დიდი სიფრთხილე გმართებს, რათა რომელიმე გიჟი ნაძირალა კვლავ არ გაძვრეს საქართველოს ხელისუფლების სათავეში!

ქვარაშ ორცხონჯი

ქომწი, ქუჯგნო სქან გიმოშა
მოდვალა დო მიკოქუნა,
გონწყილს სქვამათ – ტაბაკისუ
ჯიმაკათაშ მიკოხუნა...
კოჩანა დო ხუს ელარნა
ვე შეილებნო? – ქეშილებე,
ართ ჭკვერული ირო რშუდას:
ჰარამობა ვეშილებე...
ირო ფარაშ შაყარუას
დღემს ვა მუღუდ მუთუნ ჯგირი,
ქვარაშ ორცხონჯიცალი რე
ფარა-კირილ, ჩუალირი...

კახმა

ირკოჩი თის ეკაჯინე
მეულაყაფუ ჩხეშა ფართო,
ჭიჭეს ეთილინუანსუ
აქვათალგ იქფელ ართო...
კიდირ ნიკის მიკაწაწუ,
წყურკაკაშა განთხი – ლარი,
დღაშ დო სერით ეკაბუძოლ
მაპეჯებელ-მათხილარი...
ათე ჩეშმნან რუსიშ ძღაბის
მუთუნ ვამოპატონანს,
ელაქაქილ ქორენი და
ვაუძიცუენ, ვა რდოლანს...
ხურხის ტიბას ქეთქაკირუ,
გორჩქილუანს მადონას,
ვაიჩქუნ თეშ გორშვებელანს
კუჩხით ირთუქ აშონანს...
ათე რუსიშ გორირგილს
მუთუნ ვამოპატონანს...

რამაზ კუპრა

ჯოზეფ ქეი: "მოხდა იმის მიჩქმალვა, რომ "ტელეიმედს" იურიდიულადაც დაეუფლნენ თანამდებობის პირები"

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ტელეკომპანია **"იმედის"** საქმესთან დაკავშირებით ბიზნესმენ ჯოზეფ ქეის ჩვენებიდან ამონარიდს ავრცელებს.

როგორც საგამოძიებო სამსახურის ვებგვერდზე განთავსებულ დაკითხვის ოქმშია აღნიშნული, ჯოზეფ ქეის დაკითხვა მოწმის სტატუსით შედგა 2013 წლის 15 თებერვალს თურქეთის ქალაქ სტამბულში, საქართველოს საკონსულოს შენობაში. ჯოზეფ ქეის ჩვენებიდან ამონარიდს უცვლელად გთავაზობთ.

"2008 წლის 15-16 დეკემბერს მე ვიმყოფებოდი თბილისში, ჩემს სახლში, მდებარე ჭანტურიას №5-ში. იყო ღამის საათები, დროსაც ჩემს მობილური ტელეფონის ნომერზე დამიკავშირდა დავით კეზერაშვილი, სავარაუდოდ, მისი მობილური ტელეფონის ნომრიდან და მითხრა, რომ მივსულიყავი მასთან ოფისში. მე თარიღი იქიდან გამომდინარე დამამახსოვრდა, რომ ზუსტად ამ დროს ჩემი და, ირმა იაკუბოვა იყო ახალი ჩამოსული აშშ-დან ჩემთან სტუმრად. მე ვუთხარი, რომ დაცვა და მძღოლი მყავდა უკვე გაშვებული და დრო მჭირდებოდა, რომ გამომეძახებინა, თუმცა მან მითხრა, რომ არ იყო ამის საჭიროება და თვითონ გამომიგზავნიდა ვინმეს. მართლაც, რამდენიმე ხანში, დაახლოებით ღამის 3-ის ნახევარზე მანქანით მომაკითხა უცნობმა პიროვნებამ და წამიყვანა დავით კეზერაშვილის ოფისში. ამ დროს ჩემთან სახლში იმყოფებოდა ჩემი მეუღლე სოფიო კეი და ასევე ჩემი და ირმა იაკუბოვა. კეზერაშვილის ოფისი იმ დროს მდებარეობდა ვაკეში, მოსაშვილის ქუჩის დასაწყისში მდებარე შენობის პირველ სართულზე. როგორც ვიცი, ეს იყო მისი პირადი ოფისი. შესვლისას ოფისში დამხვდნენ ჩემთვის უცნობი 20-მდე ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული, სავარაუდოდ, დაცვის თანამშრომელი. მიმაცილეს და შემიყვანეს დავით კეზერაშვილის კაბინეტში, სადაც მარტო დამხვდა ეს უკანასკნელი.

მისალმების შემდეგ დავით კეზერაშვილმა კატეგორიული ტონით მითხრა, რომ გადაწყვეტილება იყო მიღებული, რომ მე უნდა დამეთმო მათთვის "ტელეიმედი", აქვე დაამატა, რომ ინა გუდავაძე, ბადრი პატარკაციშვილის მეუღლე აპირებდა ჩემს წინააღმდეგ სარჩელების შეტანას სასამართლოში და მათ შორის შეეცდებოდა ტელეკომპანიის წართმევას. მე ვუპასუხე, რომ "ტელეიმედთან" დაკავშირებულ საკითხებზე მოლაპარაკებას ვაწარმოებდი მხოლოდ მიხეილ სააკაშვილთან. შესაბამისად, ამ საკითხზე აუცილებლად მჭირდებოდა მასთან დალაპარაკება. მე, რა თქმა უნდა, არ მინდოდა და არ ვაპირებდი "ტელეიმედის" არავისთვის დათმობას, რადგან პირველად სხვაგვარად ვიყავი შეთანხმებული. აღნიშნულზე დავით კეზერაშვილი გავიდა კაბინეტიდან, რამდენიმე წუთში უკან დაბრუნდა და მომაწოდა ტელეფონი, რომლის ხაზზე იყო მიხეილ სააკაშვილი. მან ტელეფონში მითხრა, რომ ტელევიზია უნდა დამეთმო: ჩათვალე, რომ მე მაძლევ "ტელეიმედს", გონივრულად თუ მოიქცევი, ჩვენი მეგობრობა ამის შემდგომაც გაგრძელდება. უბრალოდ, ტელევიზია უნდა მომცე მე და კეზერა რასაც გეტყვის, დაუჯერე. ჩათვალე ეგ რასაც გეუბნება გეუბნები მე, და ტელეფონი გამითიშა. ზუსტად მობილური ტელეფონი იყო თუ ქალაქის ტელეფონი, არ მახსოვს. ერთადერთი ის მახსოვს, რომ უსადენო აპარატი იყო. მიხეილ სააკაშვილთან სატელეფონო საუბარი რომ დავამთავრე დავით კეზერაშვილმა მითხრა, რომ ხომ ხედავ ეს მარტო ჩემი ინიციატივა არ არის, ტელევიზია აუცილებლად უნდა დაგვითმო. თუ ჭკვიანი ებრაელი ხარ და გინდა ჩვენთან მეგობრობა გააგრძელო, თუ არ დათმობ კიდევ ამ ოთახიდან ვერ გახვალ. აქვე დაამატა, რომ ჩვენ შენ არ გწირავთ. ტელევიზიაში რა ხარჯებიც გაქვს გაწეული სრულად აგინაზღაურებთო და მკითხა რა იყო ჩემი გადაწყვეტილება.

ჩვენი საუბრის დროს მას ხელში ეკავა დიდი ზომის ხანჯალი და ჩვევისამებრ ხელში ატრიალებდა. ასეთი საუბრის შემდეგ მე მისი მუქარა აღვიქვი რეალურად და ვუპასუხე, რომ ფაქტობრივად არ მქონდა არჩევანის საშუალება და იძულებული ვიყავი დავთანხმებულიყავი მის წინადადებას. აქვე ვუთხარი, რომ მე იმედის ტელევიზიაში მქონდა გაწეული დიდი ხარჯი და ვინაიდან მიჰქონდათ ტელევიზია, ეს ხარჯი ჩემთვის სრულად უნდა აენაზღაურებინათ. ასევე ვკითხე, თუ ვისზე უნდა გადამეფორმებინა ტელევიზია. დავით კეზერაშვილმა მიპასუხა, რომ ხარჯებზე არ მენერვიულა. მათ ყველაფერი იცოდნენ ამის შესახებ. დაითვლიდნენ და სრულად ამინაზღაურებდნენ. რაც შეეხება "ტელეიმედის" გადაფორმებას, ამ დეტალებზე ყველაფერს მეტყოდა გიორგი უგულავა.

დავით კეზერაშვილთან შეხვედრიდან, სავარაუდოდ, მეორე დღესვე შევხვდი თბილისის მერს, გიორგი უგულავას მის სამუშაო ოთახში. სავარაუდოდ, ეს უკანასკნელი დამიკავშირდებოდა მობილურ ტელეფონზე. როგორც მახსოვს, გიგი უგულავას მობილური ტელეფონის ნომრები იყო. შეხვედრა მოხდა მის სამუშაო კაბინეტში, რომელიც მდებარეობდა მერიაში, როგორც მახსოვს 20-ე, ან 21-ე სართულზე. შეხვედრაზე ვიყავით მხოლოდ ჩვენ ორნი.

გიორგი უგულავამ მითხრა, რომ "ტელეიმედის "გადაფორმებისთვის საჭირო ყველა იურიდიულ დოკუმენტს გაამზადებდნენ თვითონ. ჩემგან ერთადერთი საჭირო იქნებოდა, რომ უკვე გამზადებულ დოკუმენტებზე მომეწერა ხელი. ასევე, მან განმიცხადა, რომ ისინი სრულყოფილად დაითვლიდნენ იმ დანახარჯს, რაც მე მქონდა გაწეული "ტელეიმედში" და სრულად ამინაზღაურებდნენ. ამ ოპერაციით მე დაზარალებული არ დავრჩებოდი. ამის შემდგომ, პერიოდულად მიგზავნიდნენ სხვადასხვა იურიდიულ დოკუმენტაციას, რომლებსაც ზედმეტი კითხვების გარეშე ვაწერდი ხელს. ზოგადად ვიცოდი, რომ ამ ყველაფრით ხდებოდა "ტელეიმედის" სხვა პირებზე გადაცემის იურიდიულად გაფორმება, თუმცა მე დეტალებით არ დავინტერესებულვარ. ერთადერთი ის ვიცოდი გიორგი უგულავასგან, რომ ფორმალურად მიტოვებდნენ 10% "ტელეიმედში".

2009 წლის იანვრის თვეში, მას შემდეგ, რაც მე მოვაწერე ხელი ყველა იურიდიულ დოკუმენტაციაზე და იურიდიულად გაფორმდა "ტელეიმედის" გადაცემა, მოხდა შეხვედრა ჩემს, დავით კეზერაშვილს და გიგი უგულავას შორის. ამ უკანასკნელის სამუშაო კაბინეტში, სადაც საუბარი მიმდინარეობდა ჩემს მიერ "ტელეიმედში" გაწეული ოპერაციული დანახარჯების ოდენობაზე და მათ მიღებაზე. შეხვედრაზე მე ვთქვი, რომ"ტელეიმედის" საქმიანობისას ჩემს მიერ საოპერაციო ხარჯებში დახარჯული იყო დაახლოებით 11 მილიონი აშშ დოლარი, რაზეც გიორგი უგულავამ მიპასუხა, რომ ისინი უფრო იყვნენ ჩახედულები"ტელეიმედის" საქმიანობაში და ჩემი დანახარჯები"ტელეიმედში" შეადგენდა დაახლოებით 10 მილიონ აშშ დოლარს. მათ მმზადყოფნა გამოთქვეს, რომ ჩემთვის აენაზღაურებინათ"ტელეიმედში" გაწეული დანახარჯი 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, მე კვლავ გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი და იძულებული ვიყავი დავთანხმებულიყავი მათ წინადადებას. მათ მითხრეს, რომ მიმეცა ჩემი რომელიმე კომპანიის ანგარიში, სადაც ჩარიცხავდნენ აღნიშნულ თანხას. მე ვკითხე მათ, საიდან წამოვიდოდა თანხა, რადგან მაინტერესებდა ფულის წარმომავლობა, რომ პრობლემები არ მოჰყოლოდა ამ თანხის ჩემს კომპანიაში ჩარიცხვას, რაზეც მათ მიპასუხეს, რომ ეს ფული წამოვიდოდა დ. იაკობაშვილის ფირმიდან, რომელსაც მათი თქმით, ჰქონდა მათი ფული.

ვინაიდან მე ვიცნობდი დ. იაკობაშვილს და ვიცოდი მისი ფინანსური შესაძლებლობების შესახებ, ეჭვი აღარ შემპარვია ფულის წარმომავლობაში და ჩემს ლონდონის ოფისის მენეჯერს, ნატალია შაჩკოვას დავავალე მათთვის მიეწოდებინა დიდ ბრიტანეთში დია კომპანიის Lakebow Limited-ის რეკვიზიტები. დ. კეზერაშვილმა და გ. უგულავამ რაში გამოიყენეს ჩემი ლონდონის ოფისის მიერ მათთვის გადაცემული რეკვიზიტები არ ვიცი, თუმცა ერთი ვიცი, რომ 2009 წლის 12 თებერვალს ჩვენს მიერ მითითებულ ანგარიშზე გადმოირიცხა დაახლოებით 8 800 000 აშშ დოლარი.

გადმორიცხული თანხის ოდენობიდან გამომდინარე, მე ვიყავი უკმაყოფილო, ვინაიდან გადმომერიცხა შეთანხმებულ 10 მილიონ აშშ დოლარზე გაცილებით ნაკლები თანხა და ჩემი უკმაყოფილების შესახებ ვუთხარი დავით კეზერაშვილს. პასუხად ეს უკანასკნელი დამპირდა, რომ არ მენერვიულა ამ საკითხზე და დარჩენილ თანხას მომცემდა, თუმცა დღემდე დარჩენილი თანხა არ აუნაზღაურებია.

მართალია იურიდიულად გაფორმდა "ტელეიმედის" გასხვისება და ეს ოპერაცია დასრულდა, თუმცა ამ ფაქტის გასაჯაროება არ მომხდარა და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ჩემს წინააღმდეგ განაგრძობდა ჩივილს. აქედან გამომდინარე, მე გიორგი უგულავასთან საუბარში მოვითხოვე, რომ მომხდარიყო "ტელეიმედის" გასხვისების გაშუქება "ტელეიმედის" მეშვეობით. გიორგი უგულავა დამთანხმდა და სასწრაფოდ გაუკეთა ორგანიზება "ტელეიმედის" გასხვისების თემის გაშუქებას. კერძოდ, როგორც მახსოვს, 2009 წლის 25 თებერვალს მან მოიყვანა ვიღაც არაბი სახელად მარკი, რომელთან ერთად ჩვენ მოვაწყვეთ ერთობლივი პრესკონფერენცია, თითქოს "ტელეიმედი" შეისყიდა "რაკიინ ჯორჯიამ", რომელიც იყო უმსხილესი არაბული კომპანია და ახორციელებდა დიდ ინვესტიციებს საქართველოში. გიორგი უგულავას მითითებით, მე მოვახდინე ამ პირის წარდგენა როგორც არაბი ინვესტორი და "ტელეიმედის" მყიდველი. რეალურად კიდევ ამ ყველაფრით მოხდა იმის მიჩქმალვა, რომ "ტელეიმედს" იურიდიულადაც დაეუფლნენ ზემოხსენებული თანამდებობის პირები", – აღნიშნულია ჯოზეფ ქეის ჩვენებაში.

რ. შალამბერიძე

რევაზ შეროზია:
“ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში მსგავსი ქმედებისთვის პრეზიდენტსა და მის მინისტრებს ქვეყნიდან გააძევებდნენ”

ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე თვალსაზრისს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ბატონი რევაზ შეროზია გამოხატავს.

– ისტორიულად, ქვეყნის შიდა დაპირისპირებებსა და შესაბამისად, დასუსტება-დაკნინებას ყოველთვის სამი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა:

1. თავკერძობა (დიდი ილია ჭავჭავაძის თქმით, **“უკუდო ამპარტავნობა”**), როცა მავანს მოპირისპირეზე ჭკვიანად მიაჩნია თავი;

2. ძალაუფლების სურვილი, რასაც ყოველთვის სიმდიდრის მოხვეჭაზე ფიქრი უდევს საფუძვლად.

3. ცალკეულ, კრიტიკულ შემთხვევებში უთანხმოების მიზეზი მშველელის, გარე დამხმარე ძალის არჩევა ხდებოდა. მაგრამ უმეტესწილად, ამ თითქოსდა ქვეყნისათვის სასიკეთო ნაფიქრის უკან ისევ პირველი ორი ფაქტორი იჩენდა თავს. თუმცა ჩვენს ისტორიაში იყვნენ თავდადებულები, დემეტრე თავდადებულები, ჩოლოყაშვილები, სააკაძეები, ლეონიძეები... ასევე იყო სხვა-განაც.

– ორხელისუფლებიანობაც? ერთმანეთთან დამოკიდებულების საკითხიც?

– ყველაფერი. მეტსაც გეტყვით: ხომ არ გგონიათ, რომ ხუთი, ათი, თხუთმეტი-საუკუნის წინანდელ საქართველოში ან რომელიმე ევროპულ ქვეყანაში განსხვავებული ვითარება იყო, ვიდრე დღეს. მე ვერ ვხედავ განსხვავებას გიორგი სააკაძესა და სააკაშვილს შორის, გარდა იმისა, რომ ერთის გვარი ძე-ზე მთავრდება, მეორისა – შვილზე. ოღონდ არ ვგულისხმობ იმ სააკაძეს, რომელიც ანა ანტონოვსკაიამ დახატა! სააკაშვილი და მისი გუნდი ძალიან ჰგავს **“კავკასიური ცარცის წრის”** იმ პერსონაჟს, რომელსაც ბავშვის წართმევა უნდა დედისათვის და თავისაკენ ექაჩება ისე, რომ არც ენაღვლება, ბავშს სტკივა თუ არა. მათი არგუმენტი მხოლოდ ერთია: **“ჩემთან უფრო ბედნიერი იქნება ბავშვი, მე უკეთ მოვუვლი”,** მაგრამ ჩვენ ხომ ვნახეთ, როგორც უვლიდნენ ისინი **“ბავშს”**!

– თქვენი აზრით, ქვეყნისთვის მიხეილ სააკაშვილს და მის გუნდს კარგი არაფერი გაუკეთებია?

– კაცი, ვისი ინტერესებიც, უპირველესად, პირადულით შემოისაზღვრება, საქვეყნოზე ნაკლებს ფიქრობს. ამბიციები და ეგოიზმი, ეროვნული მეხსიერების უქონლობა მას საზოგადო საქმეებისათვის ვერ მოაცლევინებს. დააკვირდით, რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი? პირველმა ჭანტურიებს, კიტოვანებს, სიგუებსა და მათ თანამზრახველებს ჯერ დაანგრევინა საქართველო, მოაკვლევინა ერისთვის თავდადებული პრეზიდენტი; ზვიად გამსახურდია, უბრძოლველად ჩააბარა ენგურისპირა ტერიტორიები და მერე ძირი გამოუთხარა საქართველოს წარმოება-ეკონომიკას. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, იგი არაფრით ჩამორჩენია თავის წინამორბედსა და **“აღმზრდელს”,** გადააჭარბა კიდეც: იქნებ ვინმემ გაიხსენოს ფაქტი, რომ რომელიმე სახელმწიფოს მეთაურს საკუთარ ისტორიასა და ენაზე ეთქვას უარი იმ მიზნით, რომ უცხოელი ბიზნესმენებისა და ტურისტებისათვის ხელი შეეწყო? სააკაშვილმა და მისმა ბანდამ თითქმის ნულამდე დაიყვანეს საქართველოს ისტორიის სწავლება, სამაგიეროდ უცხოეთიდან ჩამოიყვანეს **“პედაგოგები”,** რომელთა განათლება დამლაგებლობას თუ ეყოფოდა. საყოველთაო სკანდალად ქცეულ მათ ზნეობასა და მორალურ სახეზე არაფერს ვამბობ. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში მსგავსი ქმედებისათვის პრეზიდენტის, აგრეთვე, განათლებისა და სხვა მინისტრებს, სულ მცირე, ქვეყნიდან გააძევებდნენ.

ესაუბრა
ნ. კვიტაშვილი

ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას სააკაშვილი ბლოკავდა

როგორც ცნობილია, სააკაშვილის უაზრო ყბედობის მიზეზით კინაღამ ეჭვის ქვეშ დადგა რუსეთში ქართული პროდუქციის შეტანის საკითხი, თუმცა, რუსულმა მხარემ მარტივად გაშიფრა ამ ყავლგასული არარაობის პროვოკაციული გამოხტომა და სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ეს გახლდათ საბოტაჟი ხელმოცარული სააკაშვილის მხრიდან, რათა მას ჩაეშალა ამ კუთხით განვითარებული პოზიტიური ძვრები. სწორედ სააკაშვილის ბინძური ხრიკების მიზეზით დავკარგეთ ქართველებმა რუსეთის ბაზარი და მთლიანად გავხდით დამოკიდებული თურქულ იმპორტზე, რამაც ჩვენი სოფლის მეურნეობის კვდომა გამოიწვია. თურქეთიდან კი, როგორც წესი, შემოდის მხოლოდ სასუქებით უხვად გაჯერებული გენმოდიფიცირებული პროდუქცია, რაც დამღუპველად მოქმედებს ადამიანების ჯანმრთელობაზე. მოკლედ, სააკაშვილმა თავისი ბინძური მიზნების რეალიზაციის მიზნით საქართველოს დააკარგვინა მყარი ადგილი იმ რუსულ ბაზარზე, სადაც დამკვიდრებას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ყოველი ძალის გამოყენებით ცდილობენ!

სხვა რა მიზანი უნდა ჰქონოდა საქართველოს დაუძინებელ მტერს?

სააკაშვილმა ამჯერადაც მისთვის ჩვეული თავხედური განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ **“უკანა თათებზე დამდგარი ქართველი ჩინოვნიკები ხელის კანკალით უსხამდნენ ღვინოს რუს “რევიზორებს” და თვალებში შესციცინებდნენ მათ...”,** და ეს მაშინ, როცა რუსი ექსპერტები საქართველოში ჩამოვიდნენ არა ღვინის ხარისხის შესამოწმებლად, არამედ წარმოებებში სანიტარული მდგომარეობის დასაფიქსირებლად. რაც შეეხება სააკაშვილის დანაშაულებრივ განცხადებას რუსი ჩინოვნიკების კორუმპირებულობის თაობაზე, იგი კინაღამ საერთაშორისო სკანდალის მიზეზად იქცა, მაგრამ რუსულმა მხარემაც მართებულად შეაფასა სააკაშვილის პროვოკაციული განცხადებები და ყურადღება აღარ მიაქცია ამ შეურაცხადის ჯლოყინს!

როგორც რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ განაცხადა, რუსეთი ქართული პროდუქციის ექსპორტის აღსადგენად უკვე 2008 წელსაც მზად იყო, თუმცა ამის წინააღმდეგ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება მიდიოდა. ამ და სხვა ასპექტების შესახებ რუსეთის მთავარი სანიტარი გენადი ონიშჩენკო რუსულ მედიასთან ინტერვიუში აღნიშნავს.

“რუსულ ბაზარზე ექსპორტის შესახებ მოლაპარაკებები ბიზნესის წარმომადგენლებთან 2008 წლიდან მოყოლებული მიმდინარეობდა. მათ დაბრუნება სურდათ და ეს ქართული ბიზნესის ბუნებრივი სურვილი იყო. ჩვენ ვხვდებოდით ბიზნესის წარმომადგენლებს, ისინი წარმოადგენდნენ დოკუმენტებს, რასაც ჩვენ ვამოწმებდით და ვეუბნებოდით, რომ უნდა ჩავსულიყავით მათთან, რათა შეგვემოწმებინა რამდენად რეალური იყო ის, რაც დოკუმენტებში ეწერა. ამის შემდეგ კი... და ასეთ კომპანიებს, რომელთა დოკუმენტები ჩვენ შევამოწმეთ 2008, 2009 წელს, მერე თავად მობეზრდათ. აი ასეა, ისინი ჩამოდიან, ჩვენ ვეუბნებით – კარგით, მოდით და ისინი მაინც იქ არიან... ისინი უარს არ ამბობდნენ, პირიქით, ამბობდნენ, ჩამოდითო, მაგრამ როგორც კი მაშინდელი ხელისუფლება იგებდა ამას, იბარებდა მათ და ეუბნებოდა, რომ ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებდნენ. გესმით, ხელისუფლება, რომელიც თავისი ერის, თავისი ეკონომიკის საზინოდ მოქმედებს. ამის შემდეგ კეთდებოდა ისტერიული განცხადებები, რომ მათ ელოდნენ ამერიკაში, თითქოს იქ უკვე სანაპიროზე იდგნენ, როდის გამოჩნდებოდა ოკეანეში ხომალდი, რომელიც ქართულ ღვინოს ჩაიტანდა. საბოლოო ჯამში კი, ისინი ევროპულ ბაზარზეც კი არავინ შეუშვა. რადგან იქ ეს ყველაფერი უკვე დიდი ხანია დარეგულირებულია”, – აცხადებს ონიშჩენკო.

ახლა, როცა საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჩაიდება ერთი მილიარდი ლარის ინვესტიცია, როცა უფასოდ უხნავენ მიწებს ქართველ გლეხებს, ბუნებრივია, უხვი მოსავალი გვექნება ასაღები, რომლის რუსეთის ბაზრებზე რეალიზაცია საქართველო ეკონომიკის შემდგომი ამაღლების ქვაკუთხედად იქცევა. ეს კი არ შედიოდა დაშნაკი სააკაშვილისა და მისი არაქართული გარემოცვის გეგმებში, რომელთაც განზრახული ჰქონდათ საქართველოს სატრანსპორტო კორიდორად ქცევა და მისი ამოგდება მსოფლიოს ეკონომიკური რითმიდან.

ამიტომაც უწევდნენ ისინი გააფთრებულ წინააღმდეგობას საქართველოს რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას.

საკ. ინფ.

სააკაშვილმა დაცვის სამსახურით სარგებლობაზე უარი თქვა

საქართველოს პრეზიდენტი დაცვის სამსახურით სარგებლობაზე მთლიანად უარს ამბობს და მისი დაცვის სპეციალური ღონისძიებები დღეს დილიდან აღარ ხორციელდება, – ამის შესახებ საგანგებო ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.

მისი განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტმა მას შემდეგ მიიღო, რაც პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ერთპიროვნულად გაათავისუფლა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი თემურ ჯანაშია და დაცვით სარგებლობის სანაცვლოდ პრეზიდენტს საკონსტიტუციო ცვლილებებზე დათანხმება მოსთხოვა.

“საქართველოს პრეზიდენტის სახელით უფლებამოსილი ვარ განვაცხადო, რომ შექმნილ ვითარებაში პრეზიდენტი ხედავს ერთადერთ გამოსავალს – მთლიანად უარი თქვას დაცვის სამსახურით სარგებლობაზე. შესაბამისად, დღეს დილიდან პრეზიდენტის დაცვის სპეციალური ღონისძიებები აღარ ხორციელდება, თუმცა, ეს ხელს ვერ შეუშლის პრეზიდენტს გადაადგილებაში და მოსახლეობასთან შეხვედრაში, რაც ბოლო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ხორციელდებოდა. საქართველოს პრეზიდენტი მადლობას უხდის სახელმწიფო დაცვის ყველა თანამშრომელს, ვინც ამ პერიოდის განმავლობაში პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას”, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

მისივე ინფორმაციით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელს, თემურ ჯანაშიასა და პირადი დაცვის სამსახურის თანამშრომლებზე უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდა თვალთვალი და ზეწოლა, რაც მალევე გამოვლინდა.

“თავიდან იყო მცდელობა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მთლიანად გადასულიყო მთავრობის დაქვემდებარებაში, თუმცა, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის შედეგად მთავრობა დაცვის სამსახურის გაყოფას დათანხმდა და შეიმუშავა კანონპროექტი, რომლითაც პრეზიდენტისთვის გამოიყოფოდა სამსახურიდან დაცვის ერთი ნაწილი. ამ კანონპროექტის შედგენაში უშუალოდ მონაწილეობდა დიპლომატიური კორპუსი, თუმცა, აღნიშნული კანონის შემდეგ მთავრობამ მის შესრულებაზე უარი თქვა და დაიწყო ვაჭრობა იმასთან დაკავშირებით, თუ დაცვის რა რესურსი უნდა მიეღო პრეზიდენტს. პარალელურად, დაცვის სანაცვლოდ საქართველოს პრეზიდენტს სთხოვდნენ საკონსტიტუციო ცვლილებებზე დათანხმებას. პრეზიდენტი საკუთარ თავს კონსტიტუციის დონეზე ვერ დააყენებს და მისი პირადი უსაფრთხოების სანაცვლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებს ვერ დაეთანხმება”, – აღნიშნა მანანა მანჯგალაძემ.

ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სახელმწიფო დაცვის სამსახურს პროფესიონალმა უნდა უხელმძღვანელოს.

“ამ სამსახურს გუშინდლამდე თუ მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის უფროსი ჯანაშია ხელმძღვანელობდა, ის იყო სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება და ეს დანიშვნა პოლიტიკურია?”, – აღნიშნა უსუფაშვილმა, როდესაც კითხვა დაუსვეს იმის თაობაზე რომ ოპონენტებმა ეს დანიშვნა პოლიტიკურ დანიშვნად შეაფასეს.

როგორც უსუფაშვილმა განმარტა, სახელმწიფო დაცვის სამსახურს უნდა უხელმძღვანელოს პროფესიონალმა და პროფესიონალი არის ის, ვისაც ამ საქმეში გამოცდილება აქვს.

“მე მაგალითად, ამ საქმეში არ გამოვდგებოდი”, – განაცხადა უსუფაშვილმა.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსად ბიძინა ივანიშვილის დაცვის უფროსი ანზორ ჩუბინიძე დაინიშნა.

ზაურ გახარია

ვულოცავთ ყველა ქართველ დედას შესანიშნავ დღესასწაულს, 3 მარტს – დედის დღეს. დაე აღეზარდოთ შვილები, სამშობლოსთვის ისეთივე გულანთებული პატრიოტები, როგორებიც იყნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

მარიამ ღვთისმშობლის მადლი, ფარავდეს სრულიად საქართველოს.

“მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” აბაშის განყოფილება

დიდას!

კითი ჭიჭე მივჭყანწჭყი-დო
ვბერჟღელანდი თეიშახი,
სოიშახ დიდაქ ვამორთუ-დო
ვამაჯვიდუ ბრელიშახ.
დიდაქ კუჩხი მიტახუ-დო
ვეშმალებუ მეულაქ
ართ საალე ვაუთქულ-დო
გინოვჯვიდუ ბრელიშახ

აბაშური-ხალხური

უყვარდა თუ არა იოსებ სტალინს საქართველო

„შენ მამულ-დედულს გაუფრთხილდი, და ისიც შენ გაგიფრთხილდება“

არაბი ჰამადანი

როდესაც ცნობილ პიროვნებაზე იწყებ ფიქრს, ცივი გონებით, ღრმად უნდა გააანალიზო, მრავალფეროვან სპექტრში უნდა გაატარო ყოველი ისტორიული მოვლენა, მიმდინარე თანამედროვე პროცესები, რომ მართალი იყვე ერისა და ბერის, და საკუთარი სინდისის წინაშეც. მაშინ ღირს მოიმარჯვო კალამი, მოიშველიო ნიჭი და უნარი, დაისახო წმინდა მიზანი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმისათვის. **„თუ იმ მიზანში მდგომარეობს შენი სიცოცხლე, შეუპოვრად გასწი წინ, – როგორც გწამდა, ისე იცოცხლე, როგორც ფიქრობდი, ისე იარე!“** (ი. სტალინი). მიზნის მისაღწევად შეუპოვარი ბრძოლაა საჭირო: ამ ბრძოლას დღეს ჩვენ ვუცხადებთ ყველა ობივატელს, რომელთაც მიზნად დაუსახავთ ქართველი ერის იმ საამაყო შვილის ლანძღვა და განქიქება, რომლის ფრჩხილადაც კი არ ღირან.

სამოცი წელი გავიდა, რაც ამ ქვეყნიდან წავიდა მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი პოლიტიკოსი, მაღალინტელექტუალური პიროვნება იოსებ სტალინი, რომელმაც მსოფლიო იხსნა ფაშიზმისაგან, მოიგო იმ მასშტაბის მსოფლიო ომი, რომლის ანალოგი კაცობრიობას არ ახსოვს. მის უნიკალურ ნიჭს და გონებრივ შესაძლებლობებს შემდეგი სიტყვებით აფასებდა უისტონ ჩერჩილი: **„ცოცხალთა შორის ძალზე ცოტანი მეგულებიან, ვინც შეძლებდა რამდენიმე წუთში ჩაწვდომოდა იმ მოსაზრებას, რომელთაც ჩვენ ენერგიულად ვეჭიდებოდით თვეების განმავლობაში. ყოველივე ეს სტალინმა ელვისებურად განჭვრიტა“.** სტალინის განათლებაზე და კომპიუტერულ აზროვნებაზე მსოფლიოს უამრავი მაღალი რანგის მეცნიერები და პოლიტიკოსები წერენ და ლაპარაკობენ. **„სტალინი არასოდეს ატარებდა არავითარ საქაღალდეს. ყოველგვარი ჩანაწერების გარეშე წამართავდა ნებისმიერ თათბირს. ასე იყო საერთაშორისო შეხვედრებზეც; – მის ხელში არასდროს დამინახავს არც ფანქარი, არც კალამი, იგი არავითარ ჩანაწერს არ აკეთებდა“** (ანდრია გრომიკო). სწორედ ბუნებრივად მომადლებულმა ნიჭმა და თვითგანათლებამ აქცია გორელი ყმაწვილი სოსელო მსოფლიოს უდიდეს პოლიტიკოსად. ასეთ პოლიტიკოსს სამყაროს ნებისმიერი სახელმწიფო ინატრებდა და თვალისჩინივით გაუფრთხილდებოდა. ჩვენ ხშირად ვაცხადებთ, რომ მაცხოვრის წილხვედრი ქვეყანა ვართ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად რელიგიისადმი მიუღებელ უმადურობას ვავლენთ, რაც დიდი ცოდვაა. ხოლო, როცა უმადურობას ვავლენთ სტალინის მიმართ, ეს უკვე ჩვენს უგუნურობასა და გაუნათლებელობაზეც მეტყველებს.

საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი მეცნიერი და პოლიტიკოსი ნოდარ ნათაძე წერს: **„სტალინი საქართველოს მოძულე იყო, და მოძულედ დარჩა მანამ, ვიდრე თავისი სამშობლო იმდენად არ მოსპო, რომ მისგან ატენური ღვინის, თონის პურისა და ქართული ცეკვის მეტი სხვა არაფერი დატოვა... ამ სიძულვილის მოტივები ბოლომდე ნათელი არ არის“**, ბატონი ნათაძე ცდილობს ინტელექტის უკმარისობით **„ნაღვაწი“** აზრები მიაწოდოს საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას. **„მიუხედავად ყოველივე ამისა ის სათავეში ზის – კაცი რომლისათვისაც ქართული ყოფა, სასმელ-საჭმელი თუ ხალხური სიმღერა რეალობაა“.**

მაშ ასე, დაიხსომეთ სტალინის ინტერესების ნოდარ ნათაძისეული შეფასება: ...ატენური ღვინო, თონის პური და ქართული ცეკვები!..

ასე როგორ უნდა გადაგვარდეთ ადამიანი, ბატონო ნოდარ, რომელსაც მეცნიერად მოგაქვს თავი?

განა სწორედ თქვენ და თქვენისთანებმა არ აუბეს მხარი ლაზღანდარა და უცოდინარ ხრუშჩოვს, რის გამოც შეიქმნა ცილისწამებით გაჯერებული **„ნაწარმოებები“**, რომელთაც რეალობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ?!

ისინი მალე მიივიწყა ისტორიამ, ეპოქის გმირები კი გმირებად დარჩნენ. თქვენისთანა მეზღაპრეების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა და მალე მთლიანად გაქრებიან საზოგადოების მეხსიერებიდან. სტალინი კი ცოცხლობს და მუდამ ცოცხალი იქნება, ვიდრე დედამიწაზე სიცოცხლე იარსებებს. მის სახელსა და საქმეებთან სამოცწლიანი ბრძოლის შემდეგ კიდევ უფრო ამაღლდა სტალინის ავტორიტეტი და უფრო მეტად შეიყვარა ხალხმა.

მკითხველს მინდა გავაცნო დოკუმენტალური მასალების ნაწილი, რომელიც ნაკლებად ცნობილია საზოგადოებისათვის, ან საერთოდ არ არის ცნობილი. როდესაც სტალინი გახდა გენერალური მდივანი, ლენინის სოცოცხლეშივე მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოსთვის გადაცემულიყო სამუზეუმე და საარქივო კოლექციები, რომლებიც წაღებული იყო მეფის მთავრობის მიერ და ინახებოდა რუსეთის ფედერაციის საცავებში. წინასწარ თათბირზე, სადაც იხილებოდა ზემოთხსენებული დადგენილების განხორციელების გეგმა, განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ, პროფესორმა ნ. პოკროვსკიმ განაცხადა: **„მეფის ხელისუფლება ავიწროებდა საქართველოს, ითვისებდა და იტაცებდა ერის კულტურის განძს.“** (ნოდარ ზაქარიაძე **„სტალინი და საქართველო“** გვ. 220 თბილისი 1997წ.) რუსეთის მთავრობამ დადგენილების შესრულების მიზნით შექმნა კომისია, რომელშიც შედიოდნენ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, რუსეთის განათლების კომისარიატის წარმომადგენლები და ქართველი მეცნიერები.

1922 წლის 19 აგვისტოს მიღებული იქნა დადგენილება: **„ყველა ქართული წარმოშობის რეგალიები და სიძველენი, რომლებიც დაცულია ს.რ. ფედერაციის მუზეუმებსა და საცავებში, ქართული წარმოშობის დასაბუთების შემდეგ უნდა გადაეცეს საქართველოს ს.ს. რესპუბლიკას”** (ოქმი №57 პ18). საქართველოდან კომისიის წევრი იყო ბატ. შალვა ამირანაშვილი, რომელიც იგონებს: **“მოსკოვში მუშაობის დროს მაინტერესებდა მ.პ. ბოტკინის კოლექციის ბედი, რომელშიც დაცული იყო ქართული მინანქრების ბრწყინვალე ნიმუშები, რომელთა დიდი ნაწილი მოტაცებული იყო საქართველოს საგანძურიდან: გელათიდან, მარტვილიდან და ჯუმათიდან. დიდი გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ ბოტკინის კოლექცია მთლიანად იყო ჩამორთმეული მთავრობის მიერ და ინახებოდა სახელმწიფო საგანძურში. ამ ცნობამ ძალიან შემაწუხა. რამდენიმე დღის შემდეგ – 1923 წლის 12 აპრილს, თხოვნით მივმართე რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდუმის სამდივნოს, მოეცათ ჩემთვის რამდენიმე ცალი შემოწმებული მთავრობის დადგენილება, საქართველოსათვის საარქივო მასალების და სამუზეუმო კოლექციების გადმოცემის შესახებ”.**

როდესაც ბატონმა შალვა ამირანაშვილმა ხსენებული საბუთები მიიღო და აღმასრულებელი კომიტეტის შენობიდან გამოვიდა, იქვე ახლოს, კრემლის ეზოში, შენიშნა სტალინი, სვანიძე და ენუქიძე. შალვა მიესალმა სვანიძეს, რადგან მასთან დიდი ხსნის ნაცნობობა აკავშირებდა. სვანიძემ ბატონი შალვა წარუდგინა სტალინს და უთხრა **„ამხანაგო სოსო, გთხოვთ დაეხმაროთ ამ ახალგაზრდას“**. მოკლე საუბრის შემდეგ სტალინმა ამოიღო ბლოკნოტი, ჩაწერა თავისი ტელეფონის ნომერი და შალვას უთხრა: **„ხვალ დამირეკე 11 საათზე და მაცნობე საქმის მიმდინარეობის შესახებ”.**

მეორე დღეს ბატონი შალვა გამოცხადდა სახელმწიფო საგანძურში. დირექტორმა დაინახა თუ არა მაშინვე მიმართა: – **„ყმაწვილო, გირჩევთ ნუ კარგავთ დროს. ხუთი წლის შემდგე გაირკვევა საკითხი, რომელიც თქვენ გაინტერესებს“.**

ბატ. შალვამ სთხოვა საცავის დირექტორს, რომ ტელეფონით ესარგებლა. მან ნება დართო. ბატ. შალვა დაელაპარაკა სტალინს (ორივენი ქართულად ლაპარაკობდნენ). სტალინმა უთხრა: **„დაიცადეთ, პასუხს მიიღებთ“.** სტალინი ესაუბრა საგანძურის დირექტორს, საუბრის დამთავრების შემდეგ კი სასწრაფოდ გაიცა განკარგულება, რომ ბატონი შალვასათვის ეჩვენებინათ მ. ბოტკინის კოლექცია. ქართული მინანქრების კოლექცია შეგროვდა, შედგა მიღება-ჩაბარები აქტი. ეს ყველაფერი მოხდა სტალინის მითითებით.

– სად არის აძ ატენური ღვინო, თონის პური და ქართული ცეკვები?

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, მენშევიკურმა მთავრობამ, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, 1921 წელს საქართველო დატოვა და თან წაიღო ძვირფასი საგანძური, რომლის მოვლა-პატრონობა დაევალა ექვთიმე თაყაიშვილს. აღნიშნული საგანძური შენახული იქნა საფრანგეთის ბანკის საცავებში. მენშევიკურმა მთავრობამ მხოლოდ საგანძურის 1 წლით შენახვის ღირებულება გადაიხადა, დანარჩენი წლების გადასახადი იმდენი დაგროვდა, რომ ბანკებმა გადაინაწილეს. 1939 წელს ბატონმა ექვთიმე თაყაიშვილმა წერილით აცნობა ბატ. შალვა ამირანაშვილს, რომ მას ეკონომიურად უჭირს და განძეულობა შეიძლება დაიკარგოს. ბატ. შალვა ამირანაშვილმა, ამ შემთხვევაშიც, დახმარებისათვის სტალინს მიმართა. 1944 წლის ოქტომბერში ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როცა საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე დე გოლი. სტალინმა დე გოლს სთხოვა, რომ გაერკვია, თუ რა ბედი ეწია საქართველოდან მენშევიკური მთავრობის მიერ 1921 წელს გატანილ ქართულ საგანძურს. დე გოლი დაბრუნდა თუ არა საფრანგეთში, სასწრაფოდ შეაგროვა ქართული განძი და ჩაბარა საფრანგეთის საბჭოთა საელჩოს, კერძოდ, ელჩ ვინოგრადოვს. ბატ. შალვა გამოიძახეს მოსკოვში, საიდანაც სპეციალური თვითმფრინვით გაემგზავრა საფრანგეთში, საგანძურის მისაღებად. ერთი თვის განმავლობაში დამთავრდა მიღება-ჩაბარების ოპერაცია და 1945 წლის 10 აპრილს ქართული საგანძურით დატვირთული თვითმფრინავი თბილისში დაეშვა. იოსებ სტალინის ძალისხმევით საქართველოს დაუბრუნდა თავისი სიმდიდრე. აქვე უნდა აღვნიშნო, როდესაც საბჭოთა ჯარებმა საფრანგეთი გაანთავისუფლეს, ფრანგები გაიძახოდნენ: **„სტალინს ოქროს ძეგლი უნდა აუგოთო“. „**

„ქართველმა მწერალმა გივი კარბელაშვილმა რომანში „გათანგულში“ რომელშიდაც აღწერილია ქართველი ემიგრანტის ცხოვრება, ერთ-ერთი გმირი დიასამიძე ესაუბრება ფრანგს:

– რუსეთი ვიცი, რუსეთი ყველამ იცის, ის სტალინის სამშობლოა, – ამბობს ფრანგი.

– არა, საქართველოა მისი სამშობლო და ჩემიც.

– შენ რუსი ხარ?

– არა.

– სტალინი ხომ რუსია?

– სტალინი საბჭოთა მთავრობის მეთაურია, საბჭოთა ჯარების მთავარსარდალი. ოღონდ წარმოშობით ქართველია“. (გ. კარბელაშვილი **„გათანგული“**. გვ. 245 თბილისი 1989წ.)

– სად არის აძ ატენური ღვინო, თონის პური და ქართული ცეკვები?

ავიაციის მარშალი ა. გოლოვანოვი, როცა პირველად შეხვდა სტალინს, კრემლიდან მონუსხული გამოვიდა: **„ნეტავ ვისთან ვიყავი, გენერალურ მდივანთან თუ ავიაკონსტრუქტორთან“. სწორედ სტალინისაგან გავიგე ბევრი რამ, ქართველი ხალხის საუკუნოვანი ტრადიციების თაობაზე, მის სტუმართმოყვარეობაზე, ადათ-ჩვეულებზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, დავით აღმაშენებელზე, თამარ მეფეზე, ერეკლე მეორეზე და სხვა... სულ მახსენდება ხოლმე, რაც ჩემთვის სხვადასხვა დროს უამბნია სტალინს... სრულ სიმართლეს ამბობდა ბელადი: ქართველი უკანასკნელ პერანგს გაიხდის, არც დაფიქრდება, თუ ხვალ სად იშოვის ლუკმაპურს, მაგრამ სტუმრისათვის თავს არ დაზოგავს”** (ა. გოლოვანოვი ჟურნ. **„განთიადი“** №3 1975წ.)

– სად არის აძ ატენური ღვინო, თონის პური, და ქართული ცეკვები?

დამთავრდა დიდი სამამულო ომი. სტალინს მიეცა საშუალება, დასასვენებლად ჩამოსულიყო სოჭში. იმ ტიტანური შრომის შემდეგ, რაც ხუთი წლის განმავლობაში გადაიტანა, დასვენება აუცილებელი იყო. საქართველოს ცეკამ მიიღო შეტყობინება, რომ სოჭში სტალინთან უნდა ჩაეყვანათ მისი ახალგაზრდობის მეგობრები: პეტრე კაპანაძე, მიხეილ ტიტვინიძე, მსახიობები: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სპარტაკ ბადაშვილი. ხელმძღვანელობა დავალებული ქონდა პეტრე შარიას. როდესაც სუფრასთან დასხდნენ სტალინმა თქვა **„მე მგონია ქართულ ღვინოს ნომრები არ სჭირდება. ყოველი ღვინის თავისებურება ქართველმა მევენახეებმა თვალისჩინივით უნდა შეინახონ, თორემ მარტო რაოდენობას თუ მივყვებით, გადაგვარდება ვენახი. ღვინის კულტურა დაგვეკარგება”.** ამდენ საზრუნავ საქმეში ჩვენი ვენახი როგორ ახსოვს, თქვა პეტრე კაპანაძემ და მრავალჟამიერი წამოიწყო. სტალინი აჰყვა მრავალჟამიერს. დანარჩენებმა ბანი ვუთხარით. ახლა სტალინმა პეტრეს მეორე ჩამოართვა და პეტრემ მანიშნა (ა. ვასაძე. ლ.ბ.), პირველი ხმა შენ უთხარიო. მეც, უნებურად, პირველი ჩავახვიე და კარგი გამოგვივიდა.

– სად არის აძ ატენური ღვინო, თონის პური და ქართული ცეკვები?

ობივატელები ხშირად ამბობენ, სტალინს საქართველოსათვის არაფერი არ გაუკეთებიაო. **„მე, იოსებ სტალინის“** შემდგენლებსაც მოსვლიათ **„იაღლიში“.** წინასიტყვაობაში წერენ: **„დასანანია თავისი ტალანტი და ენერგია მან არ გამოიყენა მშობლიური ხალხის სამსახურში“.** ის, რაც სტალინმა 30 წლის განმავლობაში, როგორც საბჭოთა კავშირის მეთაურმა, თავის სამშობლოს გაუკეთა, ბრმაც დაინახავდა! სტალინის მიერ ქართველი ხალხისადმი ნაჩუქარ ქონებას აგერ უკვე ოცი წელიწადი ჰყიდიან, ჰყიდიან და ჯერ ვერ გამოლიეს. ყველა იმ დიდი საწარმოში, რომლებიც დღეს დადუმებულია, ათასობით ჩვენი თანამოქალაქე მუშაობდა. თბილისის მეტროს მშენებლობის დაწყება სტალინის იდეა გახლდათ. 1952 წელში სტალინი ბორჯომში ისვენებდა. მასთან სანახავად მისულ საქართველოს პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს ჰკითხა: **„რა იქნება, თბილისში რომ დავიწყოთ მეტროს მშენებლობა“**? სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ავანტიურისტმა ხრუშჩოვმა თბილისში მეტროს მშენებლობის შეჩერების განკარგულება გასცა, მაგრამ მეტრო ჩუმად მაინც შენდებოდა, რისთვისაც მადლობა უნდა გადავუხადოთ იმ პერიოდის პარტიულ ხელმძღვანელებს ვ. მჟავანაძეს და გ. გეგეშიძეს. ობივატელები კი კვლავ შავი სათვალეებით უყურებენ რეალობას. რას ვიზამთ, ეს მათი პრობლემაა.

სწორედ საქართველოსადმი დიდმა სიყვარულმა აღუძრა სტალინს იმის სურვილი, რომ 1937 წელს, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილე ჩაეტარებინა, რაც მთელი ქვეყნის დიდ ზეიმად იქცა. ამ დროს კი ომი კარზე იყო მომდგარი. გადაწყდა, რომ რუსთაველის **„ვეფხისტყაოსანი“** გადაეთარგმნათ რუსულ ენაზე. გაკეთდა კიდეც! ეს საქმე აღასრულა დიდმა მეცნიერმა და მოქალაქემ ბატ. შალვა ნუცუბიძემ. (**„ვეფხისტყაოსანის“** თარგმანის შესახებ ვრცელი მასალა შეგიძლიათ წაიკითხოთ გაზ. **„ილორში“** №202 (261) 25 დეკემბერი – 8 იანვარი 2012წ).

– სად არის აძ ატენური ღვინო, თონის პური და ქართული ცეკვები?

ქართულ საზოგადოებაში ხშირად გაიგონებთ ასეთ საყვედურს: **„სტალინმა რატომ არ დაიბრუნა თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოს მიწა-წყალი“**?

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა გენერალიტეტმა სტალინს შესთავაზა თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოს მიწების დაბრუნება. სტალინმა განაცხადა: **„ჩვენ აგრესორები არ ვართ, ყველაფერი უნდა მოგვარდეს პოლიტიკური გზით“.** ამ საკითხს ეხებოდა სტალინის შეხვედრა ქართველ მეცნიერებთან ნიკო ბერძენიშვილთან და სიმონ ჯანაშიასთან, რომლებმაც გამოაქვეყნეს ვრცელი წერილი გაზ. **„კომუნისტში“**, თურქეთის მიერ საქართველოს მიწების მიტაცების შესახებ. ამ წერილის საფუძველზე საბჭოთა მთავრობამ საკითხი დააყენა გაეროში, 1947 წელს. გაერომ მიიღო წარმოებაში საქმე და განიხილა. როგორც პრესიდან არის ცნობილი, საბჭოთა კავშირის და თურქეთის ელჩებს შორის მწვავე დებატები გაიმართა. როგორც ვხედავთ, საკითხის განხილვა დაწყებული იყო. იგი დადებითად უნდა გადაწყვეტილიყო, რადგან მოთხოვნა სამართლიანი იყო, მაგრამ საქმეს ხელი შეუშალა სტალინის გარდაცვალებამ. შემდეგ კი, ხრუშჩოვმა ვერაგულად დააპატიმრა და დახვრიტა ბერია. საქართველო ფაქტიურად დარჩა უპატრონოდ, რითაც ისარგებლა ხრუშჩოვმა და წერილით აცნობა თურქეთის მთავრობას, რომ საბჭოთა კავშირს თქვენთან ტერიტორიული პრეტენზია არ ააქვსო. ამით დამთავრდა ეს საკითხი.

– სად არის აძ ატენური ღვინო, თონის პური და ქართული ცეკვები?

ბატ. აკაკი ვასაძემ, სტალინთან შეხვედრის შესახებ, მაღალი გემოვნებით შესრულებული მემუარული ნაწარმოები – **„აქტიორის თვალით“** – დაგვიტოვა ქართველ ერს. აღნიშნული კონსპექტი, 60-იან წლებში, ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა (ამ სტრიქონების ავტორს წილად ხვდა ბედნიერება ერთი ეგზემპლარი ჩაეგდო ხელში). შემდეგ იგი წიგნად გამოიცა, მაგრამ მასში ბევრი რამ ჩასწორებული იყო. აღნიშნული მემუარები მთლიანად და უცვლელად შეიტანა ბატონმა ნოდარ ზაქარიაძემ თავის წიგნში **„სტალინი და საქართველო“,** ვასაძის მემუარები იმითაც არის საყურადღებო, რომ ბატონ აკაკის დიდი სიზუსტით აქვს ასახული სტალინის დამოკიდებულება დიდი პოეტისა და ბუნების მესაიდუმლის ვაჟა-ფშაველასადმი. როგორც ცნობილია, მაშინდელი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა 1949 წელს, თბილისის პარტიულ კონფერენციაზე (ამ დროს ბატ. კ. ჩარკვიანი ქალაქის პარტიულ ხელმძღვანელადაც ითვლებოდა), გააკრიტიკა ვაჟა-ფშაველა, რაც თითქოს მას სტალინმა დაავალა.

(გაგრძელება მე-11 გვერდზე)

მოელის თუ არა გაქრობა ქართულ და ქართველურ ენებს და რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს

უკანასკნელ პერიოდში გაზეთებში დაუფარავად იწერება, რომ 21-ე საუკუნის ბოლოსათვის დედამიწაზე არსებული ენებიდან დარჩება მხოლოდ 10 პროცენტი, დანარჩენი კი გაქრება.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი შეფასება: **„გლობალიზაციის ნაკლი ის არის, რომ ის მთლიანად ან თითქმის მთლიანად სპობს ყოველგვარ ეროვნულს“** (პოლ ა. სამუელსონი, ვილჰელმ დ. ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, აშშ).

როგორც ენათმეცნიერება აცხადებს, არავინ იცის, თუ რამდენი ენა გაქრა აქამდე მიწის პირისაგან. ზოგ ენებს დარჩა მემკვიდრე ენები, სხვებს – არა. ასე, მაგალითად: ლათინური ენიდან არის მიღებული იტალიური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური და სხვა ენები; ძველი სლავურიდანაა რუსული, უკრაინული, ბელორუსული, რუმინული და ა. შ.

შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენს თვალწინ გაქრა უბიხური ენა. ლათინურ ენაზე მეტყველებდნენ და დისერტაციებიც იწერებოდა მე-19 საუკუნის ბოლომდეც, მაგრამ შემდეგ ეს ენა გაქრა. მასზე, როგორც მშობლიურ ენაზე, ახლა არავინ ლაპარაკობს. იგი მხოლოდ აფთიაქების ენის სახით შემოგვრჩა.

ენის გაქრობის მრავალი მიზეზი არსებობს, რასაც აქ არ განვიხილავთ.

ენის გაქრობა მისი მატარებელი ხალხის გაქრობას, გადაშენებას ნიშნავს.

ცხადია, თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში, როდესაც საშიშ მტაცებელ ცხოველთა რაოდენობაც კი არის აღრიცხული და მათი დაცვაა გამოცხადებული, როდესაც მთელ რიგ ქვეყნებში ქუჩის მაწანწალა ძაღლებისა და კატების დაცვის კომიტეტებიც კი არსებობენ (ამ უკანასკნელად საფრანგეთში მიღებულ იქნა კანონი ქუჩაში მოსიარულე კატების დაცვის შესახებ), მეტად შემაშფოთებელია სიტყვებიც კი, ენის გადაშენების შესახებ.

თუ გამართლდება ზემოაღნიშნული განაცხადი, გამოდის, რომ 21-ე საუკუნის ბოლოსათვის ამჟამად დედამიწაზე არსებული 5445 ენიდან დარჩება მხოლოდ 544 ენა.

ცხადია, გადაშენება, პირველ რიგში, მოუწევს მცირერიცხოვანი ხალხების უმწერლობო და რეგიონალურ ენებს, შემდგომ ამისა კი, – მოლაპარაკეთა რიცხვის მიხედვით შედარებით მცირერიცხოვან ეროვნულ ენებს, და ა. შ.

საკითხში უფრო სწორად გარკვევის მიზნით, საჭიროა შევეხოთ ენების ზოგად (და, არა ტიპოლოგიურ, მორფოლოგიურ და მისთ.) კლასიფიკაციას.

ზოგადი კლასიფიკაციის მიხედვით მსოფლიოს ენები ასე განიყოფიან:

1. **საერთაშორისო ენები.** ესენია საერთაშორისო ურთიერთობებისათვის გამოყენებული ენები, როგორიცაა, მაგალითად, ინგლისური, რუსული, ესპანური, გერმანული, ფრანგული და სხვა.

2. **ეროვნული ენები.** ესენია სახვადასხვა ერის ენები, რომლებიც, ამავე დროს, ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო, სამწერლობო და საეკლესიო ენებს წარმოადგენენ. ასეთებია, მაგალითად: ჩინური, ინდური, ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული, ესპანური, ბერძნული, იტალიური, ქართული, სომხური და სხვა.

3. **ტომობრივი ენები.** ასეთია ეროვნული ენების შიგნით არსებული მონათესავე ენები, როგორიცაა, მაგალითად, ქართველური ენები: საკუთრივ ქართული (მას ენათმეცნიერებაში ქართლურსაც უწოდებენ), მეგრული, სვანური და ლაზური (ჭანური) ენები.

აღნიშნულ ქართველურ ენებს თავთავიანთი დიალექტები ანუ კილოები გააჩნიათ. მაგალითად, საკუთრივ ქართულის (იგივე, ქართლურის, როგორც მას ენათმეცნიერებაში აგრეთვე უწოდებენ) დიალექტებია: ქართლური, კახური, იმერული, გურული, ფშავური, ხევსურული, მესხური და სხვა (სულ 16 ერთ.), მეგრულისა: ზუგდიდურ-სამურზაყანული და სენაკურ-მარტვილური, სვანურისა: ბალსზემოური, ბალსქვემოური და ლაშხური, ლაზურისა: ხოფური, ვიწურარქაბული და ათინური.

რაც შეეხება **საერთო ქართულ ენას**, მოკლედ, – **ქართულ ენას**, იგი არ შეიძლება გავაიგივოთ (რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ვაწყდებით ხოლმე) **საკუთრივ ქართულ ანუ ქართლურ ენასთან,** იმდენად, რამდენადაც **საერთო ქართული ენა** (მოკლედ, **ქართული ენა**), რომელიც სრულიად საქართველოს (სრულიად ქართველთა) ეროვნულ ენას, და მასთანავე, სახელმწიფო, სალიტერატურო (სამწერლობო) და საეკლესიო ენას წარმოადგენს, პრაქტიკულად, მიღებულია ქართველური ენებისაგან: – საკუთრივ ქართული (ქართლური), მეგრული, ლაზური და სვანური ენებისაგან, ცხადია, ქართველური ტომების: საკუთრივ ქართველების, მეგრელების, ლაზებისა და სვანების ეროვნული კონსოლიდაციის (შეკავშირების) საფუძველზე.

ამრიგად, კიდევ ერთხელ და ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ **ქართული ენა (საერთო ქართული ენა) წარმოადგენს ეროვნულ ენას, ხოლო საკუთრივ ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ენები წარმოადგენენ ცალკეულ ქართველურ ენებს, იგივე, – ტომობრივ ენებს.**

ქართველური ენები ერთი წინარე ენისგან მომდინარე ენებია, იგივე, ერთიანი გენეტიკური წარმომავლობის ენებია, კერძოდ, – იაფეტური ენებია.

აქ, უპრიანია მოვიტანოთ ზ. გამსახურდიას პასუხი-შეფასება კითხვაზე: რა განსხვავებაა **ქართულსა** და **ქართველურს** შორის? აი, ისიც:

„ქართული აღნიშნავს უშუალოდ საქართველოს, ყოველივე ისტორიულ საქართველოსთან დაკავშირებულს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ისტორიიდან და რომელიც სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს. ქართველური გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. **ქართველურნი არიან ტომები, რომლებიც ქართები არ არიან და არც საკუთრივ ქართველები** (ხაზი ჩვენია. – მ. ძ.), **მაგრამ ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან.** ეს შეიძლება შევადაროთ სემიტებისა და ებრაელების ურთიერთკავშირს. ქართველური არის რასსიული გაგება, უფრო ყოვლისმომცველი ვიდრე ეროვნული. არის ქართველური ეროვნება და არის ქართველური რასსა. როგორც არსებობს სემიტური რასსა, ისე არსებობს იაფეტური რასსაც. ეს იაფეტური რასსა არის ქართველური რასსა, იგივე იაფეტური რასსა. ქართველური ენები მომდინარეობენ ამ იაფეტური ენიდან, რომელსაც ჩვენ პროტოქართულს ენას ვუწოდებთ“ (ზ. გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისსია, თბ., 1990, გვ. 29).

ყველაფერი ნათელია. და მაინც, ამჯერად, საჭიროა გავერკვეთ ზოგიერთი ტერმინის მნიშვნელობასა და გამოყენების საკითხში.

რასა (რასსა) ფრანგულია და აღნიშნავს ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებულ ჯგუფს, რომელიც გაერთიანებულია საერთო წარმოშობით, სხეულის ნაწილების ერთნაირი, მემკვიდრეობით გადმოცემული ნიშნებით (კანის, თვალის, თმის ფერით, თავის მოყვანილობით და). (ქართული ენის ლექსიკონი, 1986, გვ. 337).

რასსის ნაცვლად ქართულში ხშირად გამოიყენება ცნება **ეთნოსი** (ბერძნ.), რაც აღნიშნავს **ტომს.** აქედანაა ცნება **ეთნიკური** (ტომობრივი). (იქვე, გვ. 217). ანალოგიურად, სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა კონტექსტით გამოიყენება სიტყვა **ხალხი.**

ასე, მაგალითად, გვაქვს გამოთქმა **ქართველი ხალხი, – ქართველი ერის**, სრულიად ქართველთა გამოსახატავად, მაგრამ გვაქვს ასეთი გამოთქმებიც: **მეგრელი ხალხი, სვანი ხალხი, ლაზი ხალხი,** რაც, რასაკვირველია, სრულიად ქართველთა შიგნით არსებული ტომობრივი ხალხების აღმნიშვნელია.

მეტიც კიდევ, გვაქვს ამგვარი გამოთქმებიც: **სტადიონზე მყოფი ხალხი, ამა და ამ ქუჩაზე მცხოვრები ხალხი** და ასე შემდეგ, ცხადია, ადამიანთა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფების აღსანიშნავად.

ამრიგად, მართებულია განმარტება: **„ხალხი“** 1. ადამიანთა სიმრავლე, მრავალი ადამიანი ერთად (ქუჩაში შეკრებილი ხალხი); 2. მოსახლეობის ფართო მასა (მშრომელი ხალხი); 3. ამა თუ იმ ქვეყნის ან სახელმწიფოს მოსახლეობა (ქართველი ხალხი). (დასახ. ლექსიკონი, გვ. 575).

მაშასადამე, საჭიროებისას, ტერმინი **ქართველი ხალხი** შეიძლება შეიცვალოს ტერმინით **ქართველი ერი** და, – პირიქით, მაგრამ ტერმინები: **მეგრელი ხალხი, სვანი ხალხი და ლაზი ხალხი** ვერ შეიცვლებიან ტერმინებით: მეგრელი ერი, სვანი ერი და ლაზი ერი, – ასეთების არარსებობის გამო.

თუმცა, მეგრელები და ლაზები (ჭანები), ძველად, მაშინდელი ვითარების მიხედვით, ერთ ერად მოიაზრებოდა: აი, რას წერენ ამის შესახებ დიდი ადამიანები:

„ჭანები ძმები არიან მეგრელებისა. **ძველისძველად ჭანები და მეგრელები შეადგენდნენ ერთ დიდ ერსა და გაბმით ეჭირათ აღმოსავლეთი ნაწილი შავი ზღვისა და სამხრეთი ნაწილი ნახევრობით** (ხაზგასმა ჩვენია. – მ. ძ.). შემდეგ ქართველები აღმოსავლეთით მიაწვნენ შავი ზღვის პირას, შუა გააპეს მეგრელ-ჭანების ტომი, დასახლდნენ ახლანდელი საცხოვრებელს ადგილზედ და გააცალკევეს დიდი ხნის ერთად მცხოვრები ხალხი. ჩვენის პატივცემული ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის აზრით კი ახლანდელი გურულები მეგრელები არიან, მხოლოდ დროთა ვითარებაში სრულად გაქართველებულნი“ (ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, გვ. 528).

„ერთ დროს ეგრისი მთელს დასავლეთ საქართველოს ერქვა და საზღვრებიც შესაბამისად იყო გაფართოებული“. „ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზმეგრელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ტერიტორიული მთლიანობა. შემდეგ ერთი ქართველი ტომთაგანი შეიჭრა შიგ შუაგულში, რასაც მოჰყვა მეგრელებისა და ლაზების დაცილება“.

„გურულები და იმერლები მეგრელ-ლაზების მიწა-წყლის შიგ შუაგულში არიან შეჭრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთმანეთისაგან აშორებენ. ამის მიუხედავად, – დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად ის მიწა-წყალი მეგრელებს ეკუთვნოდათ, მაინც შეურყეველი რჩება“ (ივ. ჯავახიშვილი).

„არქეოლოგიური და ისტორიულ-ტოპონიმიკური მონაცემები და წერილობითი წყაროები თითქმის თანხმობით მოწმობენ, რომ შუა და ბრინჯაოს ხანაში... აწინდელი ტაო-კლარჯეთის, სამცხის და თვით შიდა ქართლის დიდი (დასავლეთი) ნაწილი მეგრულ-ჭანური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა აღმოსავლეთ-ქართული ტომების გვერდით“ (ნ. ბერძენიშვილი).

აი, რა პირობებშიც იწოდებოდნენ მეგრელები და ლაზები (ჭანები) ერთ ერად, ანუ ერად როგორც ასეთად. ეს იმას ნიშნავს, რომ ერი, – ეს არის რასსიულად მონათესავე ტომობრივი ხალხების გაერთიანება. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მაგალითად, აშშ-ში თუმცა ცხოვრობს მრავალი ხალხი: ინგლისელები, ესპანელები, ზანგები, ბერძნები, იტალიელები და სხვანი, მაგრამ არა გვაქვს ცნება ამერიკელი ერი, ასეთის არარსებობის გამო.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ერთი და იმავე სიტყვის (ცნების, ტერმინის) სხვადასხვა ვითარებაში, სხვადასხვა კონტექსტში და მნიშვნელობით ხმარება, ენაში, იშვიათი როდია. ამაში გასაკვირი არაფერია და ამ ფაქტმა გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს, რასაც საკმაოდ ხშირად ვაწყდებით.

ტერმინოლოგიაში გაურკვევლობა, ცხადია, დარგის არასპეციალისტს ნაკლებად გაემტყუნება, მაგრამ სპეციალისტისთვის უთუოდ უხერხულია. არადა, სწორედ ცალკეულ სპეციალისტებთან ვხვდებით ტერმინებში გაურკვევლობის თუ ძალად გაურკვევლობის ფაქტებს. ამ სტატიის დაწერაც ამან განაპირობა.

როგორც ცნობილია, **1990 წლის აპრილში საქართველო მიღებულ იქნა ევროსაბჭოში და ქვეყნის ხელისუფლებამ იკისრა, რომ ერთი წლის ვადაში მოახდენდა ევროსაბჭოს კონვენციების (შეთანხმებების) რატიფიკაციას (დაკანონებას), მათ შორის, კონვენციებისა მცირერიცხოვანი ხალხების, უმწერლობო და რეგიონალური ენების დაცვის შესახებ.**

საქმე ის არის, რომ **არსებობს საერთაშორისო კანონები, მათ შორის, ევროსაბჭოსი, რომლებშიც მოცემულია გარკვეული პირობები და სწორედ მათი გატარებით უზრუნველიყოფა ენების დაცვა გადაშენებისაგან.**

მიუხედავად ამისა, საქართველოს წინა ხელისუფლებათა მიერ არ მომხდარა ევროსაბჭოს აღნიშნული კონვენციების რატიფიკაცია, რისი ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი დაკვირვებით, იყო შემდეგი გარემოება:

როგორც კი საქართველოს პარლამენტი დააპირებდა აღნიშნული კონვენციების რატიფიკაციას (მას წინასწარ აუდერებდა რომელიმე დეპუტატი, მაგ., გ. დარჩიაშვილი), მაშინათვე გაზეთებსა და ინტერნეტსივრცეში გამოჩნდებოდა ასეთი მყვირალა განაცხადები:

„მიმდინარე წლის აგვისტოდან მეგრელები და სვანები თურმე ეროვნულ უმცირესობებად გამოცხადდებიან“; „ევროსაბჭო, მისი კონვენციების რატიფიკაციის მოთხოვნით, დივერსიას გვიწყობს“; „რა, მეგრელები და სვანები სხვა ეთნოსის ხალხები არიან?“; „საქართველოში სომხურ და სხვა ენებს ეროვნულ უმცირესობათა ენების სტატუსს ანიჭებენ!“ და მისთ.

ამის მერე, პარლამენტში აღნიშნული კონვენციების რატიფიკაცის საკითხი არც კი განიხილებოდა. მეგრელთმოძულეთა მიზანიც მიღწეული იყო.

ცხადია, აღნიშნული განაცხადები გარკვეულ დაბნეულობასა და შეშფოთებას იწვევდა ტერმინოლოგიაში სათანადოდ გაურკვეველ ადამიანებში.

ეს იმიტომ, რომ სავსებით სხვადასხვას აღნიშნავენ ცნებები, ერთის მხრივ: **„ეროვნული უმცირესობანი“, „ეროვნულ უმცირესობათა ხალხები“, „ეროვნულ უმცირესობათა ენები“** და, მეორეს მხრივ: **„მცირერიცხოვანი ხალხები“, „მცირერიხცოვანი, უმწერლობო და რეგიონალური ხალხები“, „მცირერიცხოვანი ხალხების უმწერლობო და რეგიონალური ენები“** და მისთ.

როგორც ვხედავთ, პირველ სამ გამოთქმაში ყველგან ფიგურირებს სიტყვა **„ეროვნული“,** მეორე სამ გამოთქმაში კი იგი არსად არ არის ნახმარი, ვინაიდან:

ეროვნულ უმცირესობებს განეკუთვნებიან ამა თუ იმ ქვეყანაში მცხოვრები სხვა ერების (დიახ, ერების) ხალხები, რომლებიც, ცხადია, მოცემული ქვეყნის ეროვნულ ხალხთან შედარებით მცირერიცხოვანნი არიან. საქართველოში ეროვნულ უმცირესობებს განეკუთვნებიან სომხები, ბერძნები, თურქები და სხვანი.

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი

უყვარდა თუ არა იოსებ სტალინს საქართველო

(გაგრძელება მე-10 გვერდიდან)

შემდეგ, ყველასათვის მოულოდნელად, ამას მოჰყვა სტალინის შეფასება: **„ილია ჭავჭავაძეს ღრმა პატივს ვცემ, მაგრამ აკაკი უფრო ნოვატორად მიმაჩნია, საქართველოს ენის გახალხურების და განვითარების საქმეში. აკაკის კვალად ვაუაც დიდად დაეხმარა ქართული სალიტერატურო ენას თავისი ხლხური მეტყველების ფორმებით, ლექსიკით და აზრთა სადად გამოთქმით. მე, როგორც რიგით ქართველს და ვაჟა-ფშაველას მკითხველს, ბატონ კ. ჩარკვიანის კრიტიკა შეცდომათ მიმაჩნია.”** (ი. სტალინი). უნდა ვაღიაროთ, რომ სტალინი შეხედულებებს სწრაფად არ იცვლიდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ბავშვობიდან შესისხორცებული გახლდათ დიდი ვაჟას გენიასთან.

– სად არის აქ ატენური ღვინო, თონის პური და ქართული ცეკვები?

საბჭოთა მთავრობამ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე კურსი განათლებისაკენ აიღო, რადგან განათლების გარეშე რაიმეს მიღწევა წარმოუდგენელია. 1921 წელს საქართველოში ერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დაარსებიდან სამ წელიწადს ითვლიდა. უმრავლეს სოფლებში, სასულიერო პირის გარდა, წერა-კითხვა არავინ იცოდა. მთელი სოფლის საქმის წარმოება სასულიერო პირის ხელში იყო – ის უწერდა გლეხს ყველაფერს.

„1921 წლიდან 1934 წლამდე საქართველოში დაარსდა 19 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებმაც ამ ხნის განმავლობაში 14 ათასი სპეციალისტი გამოუშვეს“ (ზაქარიაძე, დასახელებული ნაშრომი). ყველა სოფელში სრული და არასრული საშუალო სკოლები ამოქმედდა. რაიონებში გაიხსნა საშუალო-ტექნიკური და პედაგოგიური სასწავლებლები, რომლებმაც გამოუშვეს ათასობით სპეციალისტი. ყველაფერი ეს და მრავალი სხვა ხომ სტალინის დიდი ნიჭის და მისი განსაკუთრებული ზრუნვის შედეგი იყო, რამაც, ოდესღაც ჩამორჩენილი საქართველო აქცია კავშირში ერთ-ერთ განათლებულ და ძლიერ რესპუბლიკად.

– სად არის აქ ატენური ღვინო, თონის პური და ქართული ცეკვები?

მკითხველო! შევთანხმდეთ – დიდი დრო გავიდა სტალინისა და ბერიას ეპოქიდან. დღევანდელი გადასახედიდან ცივი გონებით უნდა განვსაჯოთ ყველაფერი, თავისი ადგილი უნდა მიუჩინოთ ტყუილსა და მართალს, რათა მომავალ თაობებს დაუტოვოთ რეალური ისტორია და არა ღვარძლზე, ბოროტებასა და პირად ინტერესებზე დაფუძნებული შეფასებები. ეს დიდი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს საზოგადოებამ, რომლის სამსაჯვრო დღეს საქართველოს და ქართველ ხალხს ისე ესაჭიროვება, როგორც არასდროს. ყველას მოფრთხილება უნდა, ცოცხალსაც და მკვდარსაც. ქართველებმა პროფესიად გავიხადეთ ქრისტიანული წესის დარღვევა: მკვდრებს საფლავში არ ვაყენებთ, მათ ძეგლებს ვანგრევთ, ცოცხლებს სიცოცხლეს უსპობთ. ამის მაგალითებია დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, სტალინი, ბერია, ილია ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია, ზურაბ ჟვანია, გურამ შარაძე და სხვანი. დროა დამთავრდეს ეს ბოღმა და ღვარძლი, ვაშენოთ ერთად ოცნების საქართველო და დიდი ადამიანების მაგალითებზე გავზარდოთ მომავალი თაობა. ნუ დაგვავიწყდება უნეტარესის ილია II სიტყვები: **„ბანა, სტალინი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ახლა ავტოკეფალია გვეძნებოდა?“**

ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი!

ლეონტი ბიწაძე,
ინჟინერ-ეკონომისტი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა სოჭში რუსები კიდევ ერთხელ დაამარცხა

ფაქტია, რომ საქართველოს რეგბისტთა ნაკრები უკიდეგანო რუსეთისათვის დღემდე დაუძლეველ ძალას წარმოაგდნეს!

23 თებერვალს, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა, სოჭში, რუსეთის ეროვნულ გუნდთან ევროპის ერთა თასის გათამაშების მესამე ტურის მატჩი გამართა და ანგარიშით 23:9 გაიმარჯვა. ერთიც უნდა აღინიშნოს – ობიექტური გულშემატკივრისათვის მისი საყვარელი გუნდის დამარცხება მიუღებელია და იგი ყოველი ვერსიის მოშველიებით ცდილობს საკუთარი გუნდის მარცხის გამართლებას. რუსული სპორტული პრესა კი აშკარად ობიექტურად განიხილავს საკუთარი გუნდის წარუმატებლობის მიზეზს და საკუთარი ნაკრების დამარცხების მიზეზად საქართველოს რეგბისტთა ნაკრების უდავო უპირატესობას მიიჩნევს.

მართლაც რომ შესაშური მონდომებით თამაშობენ ქართველი რეგბისტები ნებისმიერი ნებისმიერი გუნდის წინააღმდეგ, რაც აშკარად ჩანს მისი საერთო სამატჩო ბალანსიდან.

"ბორჯღალოსნებმა" შეხვედრის პირველი წუთები აქტიურად კი დაიწყეს, თუმცა მალევე აღმოჩნდა, რომ მასპინძლები ადვილად არაფრის დათმობას აპირებდნენ და მეტწილად, ქართველი მორაგბეების უხეში შეცდომების ხარჯზე, ახერხებდნენ ხიფათის შექმნას.

ანგარიში სწორედ რუსეთის ნაკრებმა გახსნა. მე-7 წუთზე იგორ კლუჩნიკოვმა საჯარიმო ზუსტად დაარტყა – 3:0.

გათანაბრება **"ბორჯღალოსნებმა"** ხუთიოდე წუთში მოახერხეს – მერაბ კვირიკაშვილმა შანსი ხელიდან არ გაუშვა – 3:3.

ამის შემდეგ ქართველების მცდელობებს შედეგი არ მოჰყვებოდა, სამაგიეროდ ზედიზედ ორი საჯარიმოს დარტყმის შესრულების უფლება მასპინძლებმა მიიღეს, თუმცა იმავე კლუჩნიკოვმ 19-ე და 24-ე წუთებზე მიზანი ვერ გაასწორა.

27-ე წუთზე საქართველოს ნაკრებმა ანგარიშში წინ გასვლა შეძლო – **"მეკომ"** საჯარიმო კვლავ ზუსტად დაარტყა – 3:6.

ეს იყო და ეს, პირველი ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ რუსებს გათანაბრება საჯარიმოთივე შეეძლოთ – კლუჩნიკოვმა კიდევ ერთხელ დააღალატა თავისიანები.

შესვენების შემდეგ კვლავ რუსებს მიეცათ საჯარიმოს შესრულების უფლება, თუმცა ამჯერად სხვამ – სერგეი იანუშკინმა აიღო საკუთარ თავზე დარტყმა, თუმცა ვერც მან ივარგა.

62-ე წუთისთვის ქართველ მორაგბეთა იერიშის შეჩერება მასპინძლებმა ჯარიმით შეძლეს – 22-მეტრიანი ხაზის სიახლოვედან **"მეკომ"** დაჰკრა, მაგრამ ააცილა. სამიოდ წუთში კი ლაშა ხმალაძემ კარგად გაჭრა მოწინააღმდეგის დაცვის ხაზი, წამოეხმარნენ მას მამუკა გორგოძე და თედო ზიბზიბაძე, საბოლოოდ კი ვიქტორ კოლელიშვილმა ლელო დადო.

კვირიკაშვილის გარდასახვა ზუსტი იყო – 3:13, საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ.

მალევე საჯარიმოთი ანგარიშის შემცირების შანსი იანუშკინმა ვერ გამოიყენა. ტაიმის შუაწელს კონსტანტინე მიქაუტაძე გააძევეს, მალევე კი მასპინძლებმა ჯარიმა გაიტანეს – იანუშკინმა ამჯერად ზუსტად დაარტყა – 6:13.

72-ე წუთისთვის საქართველოს ნაკრებს მორიგი 3 ქულა კვირიკაშვილმა საჯარიმოთი მოუტანა, სამი წუთის შემდეგ კი ალექსეი შერბანმა საპასუხო ჯარიმა გამოიყენა – 9:16.

მატჩის მიწურულს, მეტოქის 22-იან ხაზთან ჩვენი დერეფნის მოგების შემდეგ, მოკლე ფრთაზე კოლელიშვილი გაიჭრა, იერიში კი მამუკა გორგოძემ ლელოთი დაასრულა. კვრიკაშვილმა გარდასახვა ზუსტად შეასრულა, რითაც მატჩის ბედი იქვე გადაწყვიტა – 9:23.

შეხვედრის ბოლო წუთებში მასპინძლებმა იძალეს, თითქოს ახლოსაც იყვნენ ლელოს დადებასთან, მაგრამ "მეკომ" ბრწყინვალედ აღკვეთა იერიში და საქართველოს ნაკრებმა ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში მესამე გამარჯვება მიითვალა.

"ბორჯღალოსნები" რუსთა გუნდს თექვსმეტჯერ ეთამაშნენ. აქედან 14 მატჩი ქართველებმა მოიგეს, ერთი წააგეს და ერთიც ფრედ დაასრულეს.

ამრიგად, კვლავაც გრძელდება 20-წლიანი ტრადიცია – რუსებს **"ბორჯღალოსნებისთვის"** 1993 წლის შემდეგ არ მოუგიათ. საქართველოს და რუსეთის ნაკრებებმა ერთმანეთის წინააღმდეგ სულ 17-ჯერ ითამაშეს, საიდანაც **"ბორჯღალოსნებმა"** 15 მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და ერთხელ დამარცხდნენ.

მ. შარაბიძე

ლიონელ მესიმ ლიგის მე-15 ტურში გადამწყვეტი გოლი გაიტანა

ლიონელ მესიმ ზედიზედ მე-15 ტურში გაიტანა და **"ბარსელონას" "სევილიასთან"** მძიმე მატჩში მოაგებინა – 2:1.

პირველი ტაიმი სტუმრებმა მოიგეს: **"ბარსას"** აღზრდილის, ალბერტო ბოტიამ ტაიმის მიწურულს კოკეს ჩამოწოდება გამოიყენა.

ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში დავიდ ვილიამ დანი ალვეშის ჩაწოდების შემდეგ გაათანაბრა, ხოლო მესის საგოლე პასი კრისტიან ტელიომ გადააწოდა.

სხვათა შორის, ვილიას გოლამდე **"სევილია" "მილანის"** სტილში (როგორც იტალიური გუნდი **"ბარსას"** ეთამაშა გასულ ოთხშაბათს) თამაშობდა და ამას შედეგი საპასუხო გოლამდე მოჰქონდა.

მესიმ სეზონში 19 მეტოქე გუნდიდან 18-ს უკვე გაუტანა, დარჩა მხოლოდ **"სელტა"**, რომელსაც **"ბარსა"** 31 მარტს შეხვდება.

სამწუხაროდ, საქვეყნოდ აღიარებული ფეხბურთელი ლიონელ მესი მუკანასკნელ პერიოდში მაინცადამაინც სტაბილურად კარგად ვეღარ თამაშობს. მაგალითად, მან თავი ვერაფრით გამოიჩინა **"მილანთან"** მატჩში, რაც საკმაოდ ძვირად დაუჯდა **"ბარსას"** – მან ეს მატჩი ანგარიშით 0:2 წააგო.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი



ეროსი მანჯგალაძის გარდაცვალებიდან 31 წელი გავიდა

მართლაც რა ელვისებურად გარბის დრო – თითქოს გუშინ იყო, ჩემი ტოლ-სწორები რომ რუსთაველის თეატრისაკენ მივიჩქაროდით, რათა ალბათ ორმოცდამეათეჯერ მაინც გვეხილა ზიმზმოვის როლში ჩვენი საყვარელი მსახიობი ეროსი მანჯგალაძე!.

დიახ – ოროცდამეათეჯერ, რადგან არცერთი მისი როლი, სპექტაკლიდან სპექტაკლში, არ მეორდეოდა.

მსახიობი მხატვრული პლასტიკით, განუმეორებელი ხმით, გარდასახვის სასწაულებრივი უნარით ახერხებდა, რომ სულ ახალ-ახალი კომიკური შტრიხები დაემატებინა ზოგჯერ ასგზის უკვე ნათამაშევი როლისათვის!

სწორედ ამაშია მსახიობის ნიჭის საიდუმლო!

ახლახან დიდი ქართველი მსახიობის, ეროსი მანჯალაძის გარდაცვალებიდან 31 წელი შესრულდა.

ეროსი მანჯგალაძე 1982 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა – 57 წლის ასაკში.

საქართველოს სახალხო არტისტი ეროსი მანჯგალაძე დაიბადა 1925 წლის 3 მარტს, თბილისში. 1947 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, პედაგოგ დ. ალექსიძის ხელმძღანელობით. მუშაობდა კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის თეატრში. სამსახიობო კარიერა დაიწყო 1948 წელს შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში, კინოკარიერა – 1958 წლიდან.

სხვადასხვა დროს ეროსი მანჯგალაძემ შექმნა საინტერესო სცენური სახეები: პეშეკი (ი. ფუჩიკის **"ადამიანებო იყავით ფხიზლად"**), ზიმზიმოვი (სუნდუკიანის **"პეპო"**), ლოპესი (ფლეჩერის **"ესპანელი მღვდელი"**), ოიდიპოსი (სოფოკლეს **"ოიდიპოს მეფე"**), დათვი (ნახუცრიშვილის **"ჭინრაქა"**), გვადი ბიგვა (ლეო ქიაჩელის **"გვადი ბიგვა"**),

თავადი ვანო (ცაგარელის **"ხანუმა"**), ოთარბეგი (სუმბათშვილის **"ღალატი"**) და სხვა.

როგორც მსახიობი, ეროსი მანჯგალაძე გამოირჩეოდა გარდასახვის არაჩვეულებრივი უნარით, მასშტაბურობით, განუმეორებელი ელინური ხმით, მის მიერ განსახიერებული გმირების თანამედროვეობის შეგრძნებით. კინოში შესრულებული აქვს როლები: ალექსანდრე **("წარსული ზაფხული")**, ვარდენი **("შეხვედრა წარსულთან")**, მილიციის რწმუნებული **("ქვევრი")**, გეორქ გეორქოვი **("ვერის უბნის მელოდიები")**, ჩორეხი **("ნატვრის ხე")** და სხვა.

ეროსი მანჯგალაძე დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

მსახიობი ეროსი მანჯგალაძე იყო საქართველოს სახალხო არტისტი. იყო რადიოსა და ტელევიზიის დიქტორი და კომენტატორი. პრინციპულად მიჰყავდა მხოლოდ ფეხბურთის გადაცემები. დღეს მის სახელს ატარებს სპორტული სტადიონი სამტრედიაში.

როლანდ ჯალაღანია

გამოვიდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალ "აია"-ს 2013 წლის პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი გიორგი სიჯინავა. ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, მარტვილში და აბაშაში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლებთან.

თბილისში – ტაშკენტის ქ. №25, I სადარბაზო, ბინა, 1.

ფასი 4 ლარი

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge